

ლიტერატურული გაზეთი

№5 (381) 14 - 27 მარტი 2025

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

ეთერ თათარაიძე

ჩემ ჯვარ-ხატის იმედზე
განაწირალ დანოო,
წყენა ნისლად მიფენილ
დანაჩუმარ მთანოო,
თეთრ, ფუფქ თოვლით წაშლილ
სათუშეთო გზანოო,
ერთიმ ახლ მანდ მამყოფ...

საფარველი, მარა'ი
აეს დალოცვილ მიწისყრად,
ერთფერაა'დ დამალველ
ცოდვილისი-დ მდიდრისაჲ,
ერთნაირად შემწახველ
სიგიჟისაჲ-სიბრძნისაჲ,
ერთფერაა'დ გამღეჭველ
ატლასისი-დ მიტკლისაჲ,
მიწა მოურეველი
ველურთიან მიმსრისაჲ...

ვის რა' აღარ ანუხებს,
ვის რა' აღარ სტკივის,
ცასაც სისუ შეპარულს
უსახვევროდ სცივის.
არნივ ბაჭალა' მომკვდარ
გულსაგმიროდ წივის,
კრუხს წიწილა' ქორმ გასტაც,
მიშველეთაჲ, ჭყივის.
ირემ ნუკრ ანართვამალ
გმინავს, ოხრავს, შხივის,
რა' ჩამოსთვლის სამზეოს
ვის რა' სწამლავს, სტკივის.

IV-V

სოსო მეშველიანი

ბოსხის სიზმარი

ერთის მხრივ თითქოს კარგია, საშინელი დაღლილობისგან ისე რომ გიჩლუნგდება სხეული, ფიქრის თავიც არ გაქვს, თუნდაც ლექსების ზეპირად კირკიტის, რომელმაც ისეთი ჩათრევა იცის, მთელ ღამეს კოშმარად გიქცევს. მე კი ძილი მინდა, ენერგიის აღდგენა, უფრო მძიმე დღის მომლოდინეს. თუმცა, ასეთი დაღლილობა დაძინებაშიც ხელის შემშლელია. ქვასავით უგრძნობ სხეულს მხოლოდ გარედან თუ ეკიდება ხავსივით, წარმოუდგენლად უცნაური განცდაა. წამოწოლილმა შუბერტის „სერენადა“ ჩავრთე, მაშინვე შემოაღწია ჩემში ამ მაგიურმა მუსიკამ, ჩამეძინა. ეტყობა, ისე ღრმად შემოაღწია, სიზმარიც ამ მუსიკასავით დიდებული იყო. პირველად არ ვხედავდი ამ სიზმარს, მაგრამ ამჯერად განსხვავებული გამოდგა — უფრო ფერადი, უფრო დახვეწილი, ის სიყმანვილის დროინდელი მთის ქოხმახიც (უფრო უფანჯრო ქვის მინური) უფრო ნათელი, უფრო მოდერნიზებული, კომფორტული; მეც გვიმრის ლეიბის ნაცვლად რაღაც სქელ, რბილ ქსოვილზე ვწევარ: შორიდან მომავალი ჩანჩქერების იგივე ხმაა, უამრავი სხვადასხვა ფერისა და ზომის ჩიტების ყლურტული, დეკიანი ქედის გაღმიდან მომავალი მოზურავე ხარების ხმები — ქარი, ყვავილები, პეპლები, ყველაფერი თითქოს ერთნაირი არის და განსხვავებულიც.

რაღაც ყრუ ფხაკურმა კარის ზღურბლის კენ გამახედა. შევცბი. ეს ზღაპრული ფერადოვნება აიძვრა, განაცრისფერდა. ორი უზარმაზარი შავად მოლაპლაპე გომბეშო შემოხტა შიგნით, ერთი ახტა და ყველის ამოსაყვანი ქვების თავსახურზე დახტა, თავსახური ოდნავ გვერდით გაცურდა, გამოჩნდა თეთრი გამკვრივებული სითხე. ამ დროს მეორე ახტა, იმ პირველს დაახტა ზირფზე და ორივე ქვაბში ჩაცვივდა; საინტერესოა, რა განცდა უნდა დამუფლებოდა, ასე უცებ რაღაც საშინელ ხმაურს რომ არ გავვლვიძებინე. ისევ ის ბოლივიელი წყვილია, ვისგანაც ეს ოთახი ვიქირავე, ისევ უგონო მთვრალეები (ლუდით ილეშებიან). ჯერ ლამის კარი ჩამოიღეს, მერე რაღაც ნააქციეს — ჩხუბობენ, ყვირიან, ღნავიან, ადამიანის სახე აქვთ დაკარგული. მერე იცინიან.

მღერიან, მერე ისევ ჩხუბს იწყებენ. უცებ ჩუმდებიან, რაღაც ყრუ ხრიალი ისმის — შემეშინდა, ერთმანეთი არ დაახრჩონ. წამოვხტი, საცვლების ამარა გავექანი სამზარეულოსკენ, საიდანაც ხმაური მოდიოდა. იქ ასეთი სურათი დამხვდა — ნელზემოთ შიშველი, ფაშვგადმოგებული მსუქანი კაცი გულაღმა წევს იატაკზე, ასევე მსუქანი დაბალი ქალი მუცელზე აზის და კათხიდან ლუდს ასხამს პირში, ეს უკანასკნელი ხრიალებს და უკან ამონთხეული ლუდი ყურებში ეღვრება. უცნაურია, საშინელმა სიბრაზემ უცებ გამიარა და მხოლოდ სიბრალულის განცდა დამრჩა, და სინანულის, აქამდე რომ ვბრაზობდი და მთელი დღეები ვლანძღავდი. ნადი რა, შე დალოცვილო, მოშორდი აქაურობას...

VI-VII

ჯუანშერ ტიკარაძე

ხალხურ მოტივებზე

უფანდუროდ ნაფანდურალი

ბედმა მიმუხთლა, მიგანა
(ან აქამდე ხო მწყალობდა!),
მწარედ ვსთქვი: ჩემო თაო და,
ამქვეყნად რამ მოგიყვანა?!
გული მზისგულშიც მიზრება,
კვესს გავკრავ — სხვისთვის იალებს...
შენკენ მოვდივარ, სიზმრეთო,
ბამბას მანდ ავაჩხრიალებ.

IX

ის დღეც სხვა ჩვეულებრივი დღეებივით დაიწყო. მოგვიანებით ეს ამბავი ცოტა ცინიკურად მოეჩვენა. „დამცინი?“ — ჰკითხა და ცას ახედა. ან იქნებ, თვითონ უყურებდა ყველაფერს ზედმეტად სერიოზულად? ეს ხომ ჩვეულებრივი ცხოვრება იყო, ჩვეულებრივი დედამინური ცხოვრება.


ჯერ ისევ ბინდი იდგა, მალეიძარამ რომ დარეკა. ადგა. აბაზანაში გავიდა. სამზარეულოში სინათლე აანთო და ჩაიდანა ქურაზე შემოდგა. საძინებელში შებრუნდა. სკამზე გადაკიდებული, წინა ღამით გაუთოებული თეთრი პერანგი აიღო და ჩაცმა დააპირა, რომ ივა შეიშუმუნა, საბნიდან მკლავები გამოყო და ნელზე შემოეხვია. დაწეკი რა, ჩაიბურღლუნა, ცოტა ხანს დაწეკი. დამაგვიანდება, ლოგინზე ჩამოჯდა და ნამძინარეც სახეზე დამნაშავესავით მიაჩერდა. ივამ მის სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია და თავისკენ მთელი ძალით მიიზიდა. გაუძალიანდა, მაგრამ მკლავები თითქოს ლითონისა ჰქონდა, ძვრა ვერ უყო. დამაგვიანდება, კიდევ ერთხელ ამოიჩურჩულა, რომ ივამ მისი გამხდარი ტანი ხელებში ნადავლით გათამამებული ავაზასავით მოიქცია. აღარ გაძალიანებულა, თვლები დახუჭა და სიამოვნებისაგან გაიტრუნა. ყველაფერი თითქოს სწრაფად დამთავრდა, მაგრამ ლოგინიდან რომ ადგა, უკვე ცხრის ნახევარი ხდებოდა. თეთრ პერანგს ხელი წამოავლო და აბაზანაში გავარდა. იქიდან ნიკას ოთახში შევიდა, ადექი, გვაგვიანდებაო, უთხრა და სამზარეულოსკენ გაიქცა. ჩაიდანა გარბოდა, ფანჯრის მინები ორთქლს დაეფარა. გათენებული იყო, მაგრამ ეტყობოდა, მზე დღეს ამოსვლას არ აპირებდა. ყავის დაღევას, რა თქმა უნდა, ვერ მოასწრებდა, გაზქურა გათიშა და ისევ ნიკასთან შევიდა. თავჩალუნული ლოგინზე იჯდა და შარვალს იცვამდა. ფეხზე ააყენა, შარვალი აუწია, ხუჭუჭა თავზე ირმებიანი ჯემპრი ჩამოაცვა. აბაზანაში მთვარეულივით გაიყვანა, შემოსასვლელში სკამზე დასვა, ბათინკებზე თასმები შეუკრა, ქურთუკი ჩააცვა, მერე პალტო აიღო და სახლიდან გავიდნენ.

ალვის ხეივანს რომ მიუყვებოდნენ, სიზმარი გაახსენდა: ძველ სახლში იყო, მშობლების სახლში. სიზმრებში მარტო ამ სახლს ხედავდა. დიდ ოთახში ჭაობისფერ დივანზე იჯდა. სახლი ნელ-ნელა ხალხით ივსებოდა. ეზოს ჭიშკარი ღია იყო და ქუჩიდან ხალხის ნაკადი მღორე მდინარესავით მოედინებოდა. დიდ ოთახშივე, ფანჯარასთან, სცენას აწყობდნენ. ამდენი ხალხი რისთვის მოდიო, იკითხა. როგორ თუ რისთვის, სადაცაა ლენი კრავიცის კონცერტი დაიწყებაო, ვილაცამ უპასუხა. ჯერ გაუკვირდა, მერე გაუხარდა. ამ კონცერტზე წასვლა უნდოდა. რას წარმოვიდგენდი, მთლად ჩემს სახლში თუ იმართებოდაო, ფიქრობდა. აბრეშუმის ყვავილებიანი ხალათი ეცვა, ფეხი ფეხზე გადაედო და ჰაერში ჩუსტს იქნევდა. ლენი კრავიცი უკვე „სცენაზე“ იდგა, მადონას სადილისა და ყავის სერვისებით გამოტენილი სერვანდის გვერდით რომ იყო მოწყობილი და მიკროფონებს ამონებდა. გაელიმა. უნდოდა, სიზმარი ნიკასთვის მოეყოლა, მაგრამ ბალის ჭიშკარი გამოჩნდა და გადაიფიქრა.

სამსახურში 25 წუთით დააგვიანდა. სიცოცხესაგან აბუზული გოგოები მალაზიის კართან უცდიდნენ.

— მაპატიეთ, — უხერხული ღიმილით მიუახლოვდა, კარი გახსნა და სიგნალიზაციის ხმის ჩასახშობად ხმამალა გააგრძელა, — გამომშვიდობებისას ნიკას მუზა ეწვია და ვიდრე თავისი მუთხული ერთ-ორი ლექსი არ წამიკითხა, არაფრით გამომიშვა.

გოგოები მეორე სართულზე ავიდნენ. სანამ ტილოებითა და წყლით სავსე სათლებით ისევ უკან ჩამოვიდოდნენ და მალაზიის დალაგებას დაიწყებდნენ, სალაროსთან მივიდა, ჩანთა კარადაში შეაგდო და პალტო გაიხადა. კიდევ კარგი, მალა არ მხედავსო, გაიფიქრა. „მეწევერები არ იგვიანებენ“, გამოაჯავრა და კომპიუტერი ჩართო. ვიდრე სალაროს პროგრამა ჩაიტვირთებოდა, ფბ-ზე შეიჭყიტა, 10 ნაუკითხავი შეტყობინება დახვდა, ათივე პავლესგან. „შემხვდი“, რამდენჯერმე მეორედბოდა. „შენი ნახვა მინდა“ — ესეც. „წესიერი ფოტო არ გაქვს?“, ამ მესიჯზე შეცბა და ფოტოზე თავის თავს დააკვირდა. მალაზიის გახსნის დღეს ჰქონდა გადაღებული. ლურჯი კოსტიუმი ეცვა, თმა სალონში ჰქონდა დავარცხნილი, მეზობელი კორპუსის მეორე სართულზე რომ იყო და რატომღაც „საკურა“ რომ ერქ-



ნესტან ეგეტაშვილი

გვასაჭიროება გამყიდველი

ფრაგმენტი მომავალი მოთხრობიდან



ვა, ფერნასული და თვალეზამოღამებული ნაძალადევად ილიმებოდა. მართლა მჭირდება ახალი ფოტოო, გაიფიქრა. გაახსენდა, ამასწინათ უზნის ბირჟავიკმა რომ უთხრა, შენი ცხოვრება „ზავოდ-კრაფოტია“, გენაცვალე, ასე როგორ შეიძლებაო. მაშინ კი ეწყინა, მაგრამ, მგონი, ის კაცი მართალს ეუბნებოდა. ამოიოხრა და კიდევ ერთი ნაუკითხავი მესიჯი გახსნა: რომ გნახავ, მე გადაგიღებო, პავლე სწერდა. სალაროს მაკა მიუახლოვდა, დღეს განათებულ კედელსაც ვნმენდით? ჰკითხა. ფბ უცებ ჩაკეცა. დღეს ოთხშაბათია, ხუთშაბათის ვნმენდით, უპასუხა და საათს დახედა. ათს ოცი აკლდა. ათზე მალაზია უნდა გაეხსნა. კართან ხნიერი ქალი უკვე წრიალეზდა. ამ დილაუთენია რა მოარბენინებდაო, გაიფიქრა. მერე უჯრიდან ნაწერი გადავსებული სქელი რვეული ამოაძვრინა, გადაშალა და წერას შეუდგა. მთელი ცხოვრება მწერლობაზე ვოცნებობდი, ბედად კი მალაზიაზე წიგნის დაწერა რატომ მერგოო, ამოიჩურჩულა. წიგნს მართლა მალაზიაზე წერდა. თვეზე მეტია, აღწერდა, როგორ აღებდა კარს, როგორ კრეფდა სიგნალიზაციის კოდს, საიდან ანთებდა შუქს, როგორ რთავდა კომპიუტერს, ტვირთავდა სალაროს პროგრამას, ყიდად თითოეულ კაბას ან უკან აბრუნებდა. დღის ბოლოს სალაროს აპარატიდან როგორ არტყამდა ზეტა ქვითარს და მთელი დღის ნავაჭრს აჯამებდა. დაწერილებით წერდა თითოეული თანამშრომლის მოვალეობას, მალაზიის დასუფთავების გეგმას — რომ ორშაბათს მაგიდებს წმენდნენ, სამშაბათს — საკიდებსა და თაროებს, პარასკევს — ვიტრინას ასუფთავებდნენ, კვირას საწყობში აღწერას ატარებდნენ. წიგნის დაწერა თავად კომპანიის მფლობელმა დაავალა. დიშკა უკანასკნელად მალაზიის გახსნის დღეს ნახა, თუმცა ბულგარეთიდან საქართველოში ყოველდღიურად კი არა, ლამის ყოველწამიერად აკონტროლებდა. წიგნის წერას კი ერთადერთი მიზანი ჰქონდა — ვაიდა, ყველა თანამშრომელი ერთ დღეს გაფიცულიყო ან განყვეტილიყო, მალაზიას მუშაობა ხომ მაინც უნდა გაეგრძელებინა? იმ დღესვე ჩამოფრინდებოდა „თურქიშით“ დიშკა, გახსნიდა მალაზიას, აიყვანდა ახალ თანამშრომლებს, მერე კი გადამლიდა მის დაწერილ წიგნს და ზუსტად იმავეს გაიმეორებდა, რაც მანამდე ხდებოდა. ახალი თანამშრომლები შეისწავლიდნენ საქმეს, წიგნი კი ისევ მალაზიაში დარჩებოდა დიშკას ბიზნესის წარმატების გარანტიად. დიშკა თითქმის ყოველდღე სერიოზულად ეკითხებოდა, წიგნზე მუშაობა როგორ მიდისო. ისიც თითქოს მომავალ ბესტსელერს წერდესო, ბრწყინვალედო, სერიოზულადვე პასუხობდა. თუმცა დიშკა ცარიელ სიტყვებს არ ენდობოდა, ამიტომაც ფაქსით სოფიაში, კომპანიის სათავო ოფისში, თითო ახალი თავის ასლს აგზავნიდა. რამდენიმე გვერდიც და სამუდამოდ მოუღებდა ბოლოს, მერე კი ვინ იცის, იქნებ ნამდვილ წიგნზეც ეფიქრა.

მალაზიის კარი 10-ზე ვერა, მაგრამ თერთმეტის 10 წუთზე გახსნა და იქ გამეფე-

ბულ ჰარმონიაში შუა ხანს გადაცილებული ქალი მალევე შეიჭრა. მოკლე, ქუდიისაგან ალაგ-ალაგ დატკეპნილ, ჭალარა თმას სიცივისაგან აწითლებული ხელით ისწორებდა. კარგად მოღეჭილი ყავისფერი პალტო ერთი ზომით პატარა ჰქონდა. მოღრეცილქუსლიანი შავი ჩექმები სწრაფად სიარულის საშუალებას არ აძლევდა. საკიდებზე ჩამოკონწიალებულ კაბებს შორის ღია ფერის თვალებს ნერვიულად აცეცებდა. ეტყობოდა, რალაცას ან ვილაცას ეძებდა. უცებ თვალი მოჰკრა, სალაროსთან თავჩალუნული რომ იდგა და მალაზიაზე წიგნის ბოლო თავს წერდა და მისკენ წავიდა.

— ხომ არ დაგეხმარო? — წინ შავ კოსტიუმში გამონკეპილი, რა თქმა უნდა, მალალი და გამხდარი კონსულტანტი გადაელობა. შემცბარმა შეხედა, თითქოს დაავიწყდაო, სად იყო ან რა უნდოდა. ჭალარა თმაზე ხელი ნერვიულად გადაისვა და მენეჯერის ნახვა მინდაო, ისეთი ჩახლერილი ხმით თქვა, თითქოს წლებია, არაფერი ეთქვა.

კონსულტანტმა ც სალაროზე მიუთითა და მისკენ უფრო გაბედულად წავიდა. ცდილობდა, რაც შეიძლება გასაგებად დაეწერა, როგორ ხდებოდა ორ კვირაში ერთხელ ახალი საქონლის განბაჟება და რა პროცედურების გავლა იყო ამისთვის საჭირო, რომ ჭალარა ქალი მიუახლოვდა, პალტოს ჯიბიდან მოკლეთარიანი დანა ამოაძვრინა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ფერდში დაარტყა. გაოგნებულმა შეხედა. მაშინვე იცნო, ის არისო, გაიფიქრა. ქალმა დანა ახლა მუცელში გაუყარა და ისე იღრიალა, თითქოსდა მის მაგივრად ეტკინა. სისხლმა თეთრი პერანგიდან ნელ-ნელა გამოჟონა, ხელზე ჩამოეწვეთა და რვეულის ფურცლები წამში შეღება. ნუთუ ეს არის, ასე უცბადო, გაიფიქრა, ტუჩები გაუფითრდა, თვლებში დაუხებელდა და იატაკზე ჩაიკეცა.

სასწრაფო დახმარების მანქანის ხმა შორიდანვე მოესმა. ჯერ აქ ვარ, არაფერი დამთავრებულაო, ფიქრობდა. მალაზიის იატაკზე სისხლის გუბეში ინვა, თვლები ღია ჰქონდა, მაგრამ ვერაფერს ხედავდა. მერე საკაცზე დაწვინეს, სასწრაფო მანქანაში შეიყვანეს, საავადმყოფოსკენ გააქროლეს. თვლები დახუჭა და თითქოს შეიდას ოცდასამი დღე შეიდას ოცდასამი წამი ყოფილიყო, ყველაფერი თავიდან გაახსენდა:

შუალამა. სახლში ბრუნდება. — წარმოვიდგენია, როგორ გამიმართლა? — უმეორებს ივას და ალტაცებული უყურებს, — ამდენი ძეხნის შემდეგ, როგორც იქნა, ნორმალური რალაც გამოჩნდა, ფულს მოვაგროვეთ, მანქანას ვიყიდით, სამოგზაუროდ წავალთ. ივა ხმას არ იღებს. სამზარეულოს მაგიდასთან ზის და ყავას სვამს. — ახლა ვიგრძენი, რომ მშია, მთელი დღე არაფერი მიჭამია, — მაგიდასთან ჯდება და პურს ყუას ატეხავს. — აკი რესტორანში ვიყავიო? — მალაზიის მეპატრონეებმა დაგვპატ-

იყეს, კონტრაქტის გაფორმება აღვნიშნოთო.

— მერე? — რა მერე, მთელი დღის დაღლილ-დაქანცულს სადღეგრძელოებს მათარგმინებდნენ.

— ვერ გავიგე, ეგეც თარჯიმნის მოვალეობებში შედიოდა?

— ქეიფს რომ მორჩნენ, ქართველებმა ახლა ქალაქი უნდა დაგათვალიერებინოთო, კიდევ კარგი უცხოელებმა უარი უთხრეს, თორემ მერე გენახა ჩემი დალლა. ნიკა როგორ არის?

— სამი ზღაპარი მოვუყევი, მაინც არ იძინებდა, დედას დაველოდებო, იმეორებდა.

— მოკლედ, ორნი არიან ჩამოსულები, — პურს ჭამს, თან ცდილობს, ყველაფერი სწრაფად თქვას, — ქალის ტანსაცმლის მალაზიის გახსნა უნდათ. მთელი დღეა, დავდივართ და ფართებს ვათვალიერებთ. სად აღარ ვიყავით, ჯერ ხომ განცხადებები მაკითხვინეს და მათარგმინეს, მერე სადაც კი რამე ქირავდებოდა, ყველგან მიმიყვანეს. ერთი კარგი ტიპი შეგვხვდა რუსთაველზე, პირდაპირ თეატრის გვერდით აქირავებდა უზარმაზარ ფართს. ეს რა პონტიაო, მითხრა, თარჯიმანიც შენ ხარ და მაკლერიცო? არა უშავს-მეთქი, რომ ვუთხარი, თავზე არ დაისვა, ამათგან მაქვს ყველაფერი ნასწავლი, რამდენიმე წელიწადი აღმოსავლეთ ევროპაში ვიმუშავე და ამ ხალხს კარგად ვიცნობო. დღის ბოლოს, უკვე იმდენი რომ გვექონდა გადამწერილები, ნაჭრების და ლიწების ძველისძველი მალაზია რომაა რუსთაველზე, გახსოვს, საქორწილო კაბისთვის ნაჭერი რომ ვიყიდე, იმაზე აიჩემეს, გინდა თუ არა, გაქირავდებო. ვეუბნებოდი, ეს მალაზია წლებია, მშვენივრად მუშაობს, არ გაქირავდება, თან არც წარწერა აქვს-მეთქი, მაგრამ ნაჭრების მალაზიების დრო წავიდა, დარწმუნებულები ვართ, ქირავდებო. კი მერიდებოდა, მაგრამ შევედი და ვიკითხე. აღმოჩნდა, რომ მართლა ქირავდებოდა. ეტყობა, ილბიანი გოგო ხარ, ასე რომ გაგვიმართლაო, მერე მითხრა. საიდუმლოც მაკლერები გაჩნდნენ, თავიანთ ოფისში წაგვიყვანეს, ათწლიანი კონტრაქტი გააფორმეს დიშკასა და მეპატრონეებს შორის. მეპატრონეებს, ეტყობა, ეგონათ, რომ ფართი მაკლერებმა გვაპოვნინეს, ჩვენც აღარ ვთქვით არაფერი. უკვე სახლში მოვდიოდით, რომ დიშკამ შეუწვევრა შემომთავაზა. თავიდან უარი უთხარი, არაფერი გამეგება-მეთქი მაგ საქმის. უცხოელი სპეციალისტი ჩამოვა და ყველაფერს გასწავლისო. ვიფიქრე და დავთანხმდი.

— და ბავშვი? — ივა ყავის ბოლო ყლუპს სვამს და ფეხზე დგება.

— არა მგონია, ძალიან დაკავებული ვიყო, დღეში 8 საათს იმუშავებო, ასე მითხრა დიშკამ. თუ რამე, ძიძას ვიპოვით.

— გილოცავ, — შუბლზე კოცნის, მაგიდიდან სიგარეტის კოლოფსა და სანთებელას იღებს და ოთახიდან გასვლას აპირებს.

— სად მიდიხარ? — სახელოსნოში, რალაც მაქვს დასამთავრებელი...

წვიმს. ტაქსიდან გადმოდის, საბავშვო ბალის ეზოს ქოლგის გარეშე გადარბის და დარბაზისკენ მიეშურება. ყვითელ-წითელი ფოთლებით, სოკოებითა და გირჩებით მორთულ სცენაზე შავი როიალი დგას, მის წინ სკამები ხალხითაა სავსე. ზეიმი წუთი-წუთზე უნდა დაიწყოს. ამ დღისთვის საგანგებოდ გამოწყობილი ბავშვები სცენაზე ასასვლელ კიბესთან დგანან და ცელქობისგან თავს ძლივს იკავებენ. ნიკაც იქ არის. თვალს მოჰკრავს თუ არა, მისკენ გამორბის.

— ჩემი დედიკო მოვიდა, — ყვირის და ფეხებზე ეხვევა.

კოცნას ძლივს ასწრებს, რომ მასწავლებელი ეწვეა და უკან აბრუნებს.

რიგებში თავისუფალ ადგილს ხედავს და იქით მიდის. ნიკა ისევ ბავშვებთან დგას და ცქმუტავს, თან დროდადრო მისკენ იყურება, აინტერესებს, სად დაჯდება. სცენაზე ახალგაზრდა ქალი ადის, შავ როიალთან ჯდება და უკრავს. მერე ბავშვებიც ადიან და მწკრივში დაწყობილ სკამებზე სხდებიან. დროდადრო მუსიკა წყდება, ბავშვები ფეხზე რიგ-რიგობით დგებიან და ლექსებს ამბობენ. ნიკას ჯერი ჯერ არ დამდგარა, მისი მობილური რომ რეკავს:

— სად ხარ? — დიშკაა.

— საბავშვო ბაღში, ბატონო დიმა, ხომ გაგაფრთხილეთ?

— რა საბავშვო ბაღში, დანი, თამაშის დრო მაქვს? — გაანჩხლებული ჩანს, წამით თვალწინ მისი ნაყვავილარი, ბრაზისაგან აწითლებული სახე უდგება, — უნდა მოხვიდე, ბუღალტერთან დაკავშირებული პრობლემები გვაქვს.

— კი, მაგრამ...
— რამდენ ხანში იქნები?
— თხუთმეტ წუთში, — განზილებული პასუხობს და ფეხზე დგება.
გასასვლელში მასწავლებელს ეჩეხება.
— სამსახურიდან დამირეკეს, უნდა წავიდე.

— სულ 30 წუთს გრძელდება, იქნებ დაელოდო, ბავშვებს მშობლებისთვის სიურპრიზები აქვთ მომზადებული.

— ვერ დავრჩები, უფროსმა დამირეკა... ამბობს და გადის.

გარეთ ისევ წვიმს. ეზოს გადარბის და ტაქსიში ჯდება. მანქანა ადგილიდან იძვრება თუ არა, ტელეფონი ისევ რეკავს. გონია, დიშკაა და ათ წუთში ადგილზე ვიქნებიო, უნდა რომ უთხრას, მაგრამ წელან კართან რომ შეეჩეხა, ის მასწავლებელია:

— იქნებ დაბრუნდე, დაინახა თუ არა რომ წახვდები, ატორდა, სცენიდან ჩამოვიდა, აღარც ლექსი თქვა, ვერ ვაწყნარებ.

— ვერ დავბრუნდები, სერიოზული პრობლემაა, ეტყობა.

— კარგი, კარგი, — მასწავლებელი ნაწყენი ხმით ეშშივლობდა.

მალაზიაში პრობლემა მართლაც სერიოზულია: ბუღალტერი, ქალბატონი ნაირა, რომელთანაც სულ რამდენიმე კვირის წინ გააფორმეს ხელშეკრულება მხოლოდ იმის გამო, რომ მისი ოფისი მალაზიის უკან, იტალიურ ეზოში მდებარეობდა და თან არც თუ ისე დიდ გასამრჯელოს ითხოვდა, ერთ-ერთი კლიენტის ფინანსური მაქინაციების გამო, დროებითი დაკავების იზოლატორშია გადაყვანილი. მისი პანანინა, გამუდმებით კლიენტებით გადაჭედილი ოფისი დაყადაღებულია, მათი ფირმის ყველა საბუთი კი — დაღუქული. დიშკა გაცეცხლებულია და საფინანსო პოლიციის პუტყუნა ინსპექტორის პირიდან გაგონილი სიტყვები — „დაყადაღება“, „ჯარიმა“, „დაპატიმრება“ — აფორაჯებულ სახეზე მუწუკებივით აყრის.

მთელი კვირა დიშკას დამშვიდებაში, პუტყუნა ინსპექტორთან საუბარში, პოლიციაში მისვლა-მოსვლასა და ოფიციალური წერილების წერაში გადის. კვირის ბოლოს ინსპექტორი საფინანსო პოლიციაში იბარებს და ფირმის ყველა საბუთს ხელში აწვდის. ტაქსიში ზის, კალთაში საბუთები უდევს და ზემოდან შვებით დასცქერის. როგორც იქნა, ფიქრობს, მალაზია დათქმულ დღეს გაიხსნება, დიშკას ნერვიულობისაგან აფორაჯებული სახე დაუშმვიდდება.

სალამოხანს დღის წესრიგში უკვე სხვა რამ დგება: ფირმას სასწრაფოდ ახალი ბუღალტერი სჭირდება, რაც მიუხედავად ამ პროფესიის ადამიანების სიმრავლისა, საკმაოდ რთულად შესასრულებელია, რადგან დიშკას ისევ ორი აუცილებელი პირობა აქვს წაყენებული: ბუღალტერს ოფისი მალაზიასთან ახლოს უნდა ჰქონდეს და მომსახურებაში მცირე გასამრჯელოს ითხოვდეს. ამას ისიც ემატება, რომ მალაზიის რემონტი, მთელი ზაფხული და ნახევარი შემოდგომა რომ გრძელდებოდა, დღე-დღეზე სრულდება. საჭიროა მის დასუფთავებაზე ზრუნვა. მერე — ბინის მოძებნა უცხოელი კოლეგისათვის, რომლის თბილისში ჩამოსვლა მალაზიის გახსნისთვის იგეგმება. კონსულტანტების ასარჩევი გასაუბრებაც კარზეა მომდგარი. თვეზე მეტია, რაც მსურველებს თავიანთი ბიოგრაფიები მასთან სახლში მიაქვთ. ამ უცნაური გაუგებრობის მიზეზი კი ის არის, რომ დიშკას გადაწყვეტილებით, გაზეთში გაკეთებულ განცხადებაში მისი ბინის მისამართი წერია. მსურველთა ალბათ 99 პროცენტი თავიანთ ბიოგრაფიებსა და, შესაბამისად, ამ საყოველთაო უმუშევრობაში სამსახურის დაწყების პერსპექტივას, საქართველოს ფოსტას, რატქმა უნდა, ვერ ანდობს და წერილები განცხადებაში მითითებულ მისამართზე თავად მიაქვს. ეუხერხულება, მაგრამ მოსწონს კიდევც, მეზობლები ახლა უკვე სხვანაირი ინტერესით რომ ხვდებიან, მოწინებით ესალმებიან. ზუმრობა ხომ არ არის, მათ კორპუსთან დღეში 5-10 გოგო მაინც მიდის და ყველა ქალბატონ რუსუდანს კითხულობს. მეზობლები არც იმას უმაღავენ, რომ მომსვლელებს ცოტა უკვირთ, რატომ არის ცნ-

ობილი უცხოური ფირმა, ახლა უკვე საქართველოში რომ იწყებს საქმიანობას, ჩეხური პროექტიტი აშენებული კორპუსის სამოთახიანში, თუმცალა ზედმეტ კითხვებს ერიდებიან, ბიოგრაფიებს ტოვებენ და უკან ცოტა დაეჭვებულები ბრუნდებიან.

რადგან ის და ივა მთელი დღე სახლში არ არიან, ბიოგრაფიების შეგროვებას თავის თავზე კარის მეზობელი, ბიძია გურამი, იღებს. ამ ნაბიჭვარ დიშკას მაგრად უმართლებს, ეტყობა, ძაღლის ბედი აქვსო, იღრინება ივა ყოველ ჯერზე, როცა კი მათთან ფურცლებით 70 წელს მიტანებული, გამხდარი, თეთრთმიანი, თუმცალა ჯერ ისევ შავულვამიანი მეზობელი შედის.

— მთელი თავისი დღე და მოსწრება მთავრობის კანცელარიაში მუშაობდა, — ეუბნება ივა, როცა გურამი გადის, — სულ რამდენიმე თვის წინ გავიდა პენსიაზე და ეტყობა, უსაქმოდ ყოფნას ვერ ეგუება.

კონსულტანტობის მსურველებს ზოგჯერ გურამი ეზოშივე ხვდება, ნარდის თამაშს თავს ანებებს, ბიოგრაფიებს ართმევს, ასაკისა და გამოცდილების მიხედვით ახარისხებს და ცალ-ცალკე საქალაღდეებში ალაგებს. საღამოს კი, როცა შინ მისულს დაიგულვებს, ბიოგრაფიები შეაქვს და გულახდილ რჩევებსაც არ იშურებს:

— ერთი ძალიან კარგი გოგო მოვიდა, ისეთი სხარტი და ცოცხალი ბავშვი იყო, აი, მისი ბიოგრაფიაა და დაიმახსოვრე. ეს ლამის დეიდაჩემის ხნისა იყო, რალა დროს მაგის გამყიდველობაა.

ბიოგრაფიების მიღების დრო რომ იწურება, ჯდება და გურამი ძიას მოგროვილ სივებს დიშკასთვის სულ სათითაოდ თარგმნის. დიშკა მის გადათარგმნის რამდენიმე დღე ჩაჰკირკიტებს, მერე კი რჩეულთა სიას აწვდის და გასაუბრებაზე მათ დაბარებას ავალებს. გული სწყდება, რომ სიაში გურამი ძიას ნათესავი არ არის. გასაუბრებაზე მაინც დავიბაროთო, დიშკას რამდენჯერმე შეაპარებს, მაგრამ ის ქვას ააგდებს და თავს შეუშვერს, დედაჩემსაც რომ გამოეგზავნა სივი, ნაცნობობით არც იმას მივიღებდნო. ძია გურამი მას და ივას ეზოში უწინდებურად ეგებება, მაგრამ ივა ადრინდელზე მეტადაა გაბრაზებული:

— კაცი მთელი ზაფხულია ამ ბიოგრაფიებს აგროვებს, იმ ახვარმა კი ეს გოგო გასაუბრებაზეც არ დაიბარა.

უცხოელი მენეჯერის ჩამოსვლის დრო რომ დგება, მიძინარე ნიკას ივასთან ტოვებს და ლამის ორ საათზე ტაქსით აეროპორტში მიიჩქარის. რა აუცილებელია, რომ დახვდე, ივა ოთახში წინ და უკან დადის. კარგი რა, გთხოვ, ნაწყენი თვალებით უყურებს და პალტოს იცვამს. მანამდე მალაზიასთან ახლოს, ახალ აშენებულ კორპუსში, უცხოელი კოლეგისთვის მშვენიერ ბინას ქირაობს და რაც მთავარია, შეღვათიან ფასად. ბინის დასალაგებლად ივას შორეული ნათესავი მიჰყავს, მაგრამ მარგო დეიდას სახსრების პრობლემა აქვს და ხელის ყოველ გაქნევაზე გულისმომკვლელად კვნესის. სხვა გზა არ არის, სახელოებს იკაპინებს და ბინას თავიდან ბოლომდე თვითონ ალაგებს. მარგო დეიდა ცდილობს, დაეხმაროს და თან ისე წუხს, დღის ბოლოს ფულს ხელს არ კიდებს, სანამ ჯიბეში არ ჩაუტენის. მერე ბაზრობაზე მიდის და ბინისთვის ჭურჭელს, საბანს, თეთრეულს ყიდულობს. საღამოს დიშკას დაწვრილებით სწერს, რაში რამდენი გადაიხადა. დიშკა ანგარიშობს. როგორ მოხდა, რომ იმაზე მეტი დახარჯე, ვიდრე დაგიტოვეო, ეკითხება. უცნაურია, მაგრამ დიშკას ჩაბრებული თანხიდან რალაც რაოდენობა ისევ აქვს. რა კარგი გოგო ხარ, დანი, შენს ხელში ფული კი არ იკლებს, იმატებსო, სწერს დიშკა და ეს გაუგებრობაც ამით მთავრდება. მერე საკუთარი ინიციატივით უცხოელი მენეჯერისთვის თეთრ ვარდებს ყიდულობს და მრგვალ მაგიდაზე დგამს ლარნაკით.

თვითმფრინავი ერთი საათით იგვიანებს. რკინის სკამზე ზის და ყვინთავს. როგორც იქნა, ქერათმიან, ლამაზ ქალს ხედავს. ეს იქნებაო, ფიქრობს და უახლოვდება. მილა ცივად ხვდება. თქვენ ხართ რუსუდანი? კითხულობს და სახეზე უკმაყოფილება აწერია. დიახო, თვალბეგაბრწყინებული პასუხობს, ის კი ტუჩის კუთხეებთან ნაძალადევი ღიმილით ესალმება. მერე ტაქსის აჩერებს და სახლამდე მიჰყავს. სახლში შესული მილა პირველი რასაც აკეთებს, ლარნაკიდან თეთრ ვარდებს იღებს და სანაგვეში ყრის. ოთახებს უკმაყოფილოდ ათვალიერებს, მერე კართან ატუზულს უახლოვდება

და ბრაზიანი მასწავლებელივით აფრთხილებს:

— გელოდები დილით ცხრაზე, არ დააგვიანო.

დაძინებას, რატქმა უნდა, ვერ ასწრებს. ნიკასთან შედის და გაუხდელად გვერდით უწევბა. ჩასთვლემს თუ არა, მალეიძარა რეკავს. ნიკა თვალებს ახელს, უღიმის და ბაღში ხომ შენ წამიყვანო, პირველი ამას ეუბნება. კიო, თავს უქნევს. ბოლო დროს ისედაც ბავშვთან მხოლოდ იმ დროს ატარებს, რაც სახლიდან ბაღამდე ალვის ხეივნის გავლას სჭირდება. მაგრამ იმ დილას სულ სირბილ-სირბილით გადიან ხეივანს და ნიკა ვერაფრის მოყვას ვერ ასწრებს. ბაღში ოთახის ჩუსტებს აცმევს, ოქროსფერ კულულებს უსწორებს და გაიქეციო, ეუბნება.

— დღეს შენ წამიყვან? — ნიკა არ ჩქარობს.

— არა მგონია, მძიმე დღე მელის.

— გთხოვ, — კისერზე ეხვევა. მერე ხვდება, რომ არაფერი გამოუვა და მოთხოვნას არბილებს, — მაშინ ფერადი ფანქრები მიყიდე და ცხოველები ერთად გავაფერადოთ.

— კარგი, გაიქეცი.

— იცი, გუშინ ეზოში რა მოხდა? — ისევ კისერზე ეხვევა და გაოცებული თვალებით უყურებს.

— სწრაფად მითხარი.

— ლოკოკინამ ამლოკა აი, ზუსტად აქ, — ხელს ყელზე ისვამს.

— საიდან მოიგონე, შე ფანტაზიორო, — გულიანად კისკიენს და ლოყებზე კოცნის. წამით ყველაფერი ავიწყდება, მარტო მის დიდ თვალებს ამჩნევს, — გაიქეცი ეხლა, თორემ დამაგვიანდა.

*

9 საათსა და 7 წუთზე მილას ბინის კართან დგას. ის უკვე მზადაა. ისე ცინცხლად გამოიყურება, ვერავინ იფიქრებს, რომ მხოლოდ სამი-ოთხი საათი ეძინა.

— რომელი საათია? — საღმის მაგივრად კითხულობს და თვალს თვალში უყრის, — გახსოვდეს, მენეჯერები არ იგვიანებენ, — და გაბრაზებული კარს იჯახუნებს.

არაფერს პასუხობს, ნერწყვს ნერვიულად ყლაპავს და ცდილობს, წყენა არ შეიმჩნიოს.

ქუჩაში გადიან თუ არა, მილა მხიარულდება, ხელკავს მეგობრულად უყრის და შეცვლილი ხმით ეკითხება:

— აქ სად შეიძლება კარგი ყავის დაღევა?

მალაზიის გვერდით კაფე „ტანგო“ ჯერ ისევ ცარიელია. ბარმენს ტელევიზორი აქვს ჩართული და ახალ ამბებს უსმენს. ლალიც ბართან ზის და ნამძინარევი თვალებით ქუჩაში გამვლელ-გამომვლელს ათვალიერებს. მათ შესვლისთანავე ფეხზე დგება.

— გაიცანი ჩვენი კოლეგა — მილა.
— სასიამოვნოა, — ლალი იღიმება, — რა მოგართვათ?

— ერთი კაპუჩინო და სანთებელა, თუ შეიძლება, — მილა ინგლისურად პასუხობს და მაგიდასთან ჯდება.

ლალი ბარისკენ ღიღინით მიდის.
— ტელევიზორი გამორთე და მუსიკა ჩართე, — ბარმენს ეუბნება.

— ეს ქუჩა მომწონს, ხალხმრავალი ადგილია. წესით მალაზიამ კარგად უნდა იმუშაოს, — მილა ყავას სვამს და ათასი საიდუმლოთი სავსე ლურჯ თვალებს ტროტუარს არ აცილებს, — ერთ წელს ბუქარესტის გარეუბანში გავხსენით, მალევე დავკეტეთ, არ იმუშავა. მას მერე დიშკას დავვიზია, რაც უნდა მაღალი იყოს ქირა, ფართი მხოლოდ ცენტრალურ ქუჩებზე დაიქირაოს.

— ეს ადგილი დიდი ექსპერიმენტის შე-

დეგად ავარჩიეთ. დაახლოებით 30 წუთის განმავლობაში, ქალაქის რამდენიმე პუნქტში, დილას, შუადღისას და საღამოს ვდგებოდით და გამვლელ-გამომვლელს ვითვლიდით. ამ ტროტუარმა ყველას აჯობა.

— ჩვენი ტაქტიკაა, — მილა თვალებს ატრიალებს და ოხრავს, — ხვალ დიმა ჩამოდის, ამიტომ ჯობს, დღეს დავისვენოთ, საქონელიც თბილისში იქნება, მალაზია უნდა გავანყოთ, მძიმე დღე გველის, — მერე უცნაურად ამტერდება და — ქმარი გყავს? — ეკითხება.

ტელეფონში ივას და ნიკას სურათს აჩვენებს.

— რა სიმპათიურია, ნამდვილი ჯეიმს ბონდი გყოლია ხო იცი და რას საქმიანობს?

— მოქანდაკეა, მაგრამ ჯერჯერობით არ უმართლებს, ნიჭიერი კია, მაგრამ... — მილას გულახდილობა ცოტა აბნევს და გაურკვევლად ლულულუებს.

— ჩემს ყოფილს გავს, ამ ზაფხულს დავშორდით. ამიტომაც, როცა დიშკამ ეს სამსახური შემომთავაზა, უყოყმანოდ დავთანხმდი. კავკასიელ კაცებზე ბევრი მსმენია...

— ეშმაკურად იღიმის, — იცი, დიშკამ რომ მითხრა, საქართველოში ჩვენს კოლეგა რუსუდანთან ერთად იმუშავებო, კაცი მეგონე. იმედოდ მქონდა, თბილისში სიმპათიური ქართველი მამაკაცი დამხვდებოდა, რომელიც ჩემს ცხოვრებას თავდაყირა დააყენებდა, ამ დროს კი აეროპორტში ერთი გამწლიკული გოგო არ დავინახე?!

— ცრუ მოლოდინებს კარგი არაფერი მოაქვს, — გულიანად იცინის, ახლა უკვე იცის, თუ რა იყო წუხანდელი უცხვირპირო შეხვედრის მიზეზი.

— ქმარი სად გაიცანი?

— სახელოსნოში. მაშინ მიტოვებულ, ნახევრად დანგრეულ ბიბლიოთეკაში ჰქონდა მეგობრებთან ერთად მოწყობილი. ისინი ხატავდნენ, მუსიკას წერდნენ, უკრავდნენ, ეს აქანდაკებდა. ახლაც მშვენიერ ქანდაკებებს აკეთებს. იქ მეგობრებმა წამიყვანეს. დანესტიანებულ წიგნებს ვაშრობდით, თაროებზე ვაწყობდით, ბევრი კარგი წიგნი გადავარჩინეთ, მერე დავმეგობრდით და თითქმის ყოველ საღამოს სახელოსნოში ერთად ვატარებდით. ივამ ყველა მეგობრის მინიატურული ქანდაკება გააკეთა, მარტო მე დავრჩი. ვბრაზობდი, ვეჭვიანობდი. ვფიქრობდი, რომ საერთოდ ვერ მამჩნევდა, მისთვის არ ვარსებობდი. თურმე განგებ გაბრაზებდა, არადა, პირველი შეხვედრიდანვე მოგწონებოვარ.

— საბოლოოდ გამოგაქანდაკა? — მილა სიგარეტს აქრობს და ცნობისმოყვარედ უყურებს.

წითლდება და ბევრჯერო, ენის ბორძიკით ამბობს...

*


მალაზიაში მილა ისევ სხვა ადამიანი ხდება. შენიშვნებს შენიშვნებზე აძლევს, დაბნეულ კონსულტანტებს უმიზეზოდ უყვირის და კიდევ უფრო აბნევს. რალაც შემოთავაზებებით მოსული ბანკის თანამშრომელიც უხერხულად იღიმის და რატომ არის ასე გაბრაზებულიო? ეკითხება. დღე ჯოჯოხეთურად იწელება. საღამოხანს ივა რეკავს, მაგრამ ვერ პასუხობს. მილასგან ფარულად სწერს, რომ ნიკა მან გამოიყვანოს.

როგორც იქნა, ბინდდება და მალაზია იკეტება. ერთი სული აქვს, დაემშვიდობოს და სახლში წავიდეს, მაგრამ მილა ხელკავს ისევ მეგობრულად უყრის და არ მინდა სახლში წასვლაო, აცხადებს.

— იქნებ ერთად ვივახშმოთ, სად ამზადებენ აქ ყველაზე გემრიელ კერძებს?

„და ნიკა?“ — ფიქრობს — „აღბათ მელოდება“.

ფერადი ფანქრები ახლალა ახსენდება...



ეთერ თათარაიძე



ქვიშხეთურ სიზმრებს ვხედავ,
წმიდა ილია მართალ ცაცხვნარში რო შემოდის,
იმის მშვიდ საობრის დროს ანაწვიმარ ცაზე რო
დანამშვრალ მზე მოდის...

ჩამომხედ, ჩამომეშველ,
ზეცას მყოფელ უფალო,
ჩემ სამშობლო მტვრადგაყრილ
უწმლო — უხანჯრ — უფაროდ,
მომეშველედი მიძლიერ,
ნუ გამიქრობ უკვალოდ...

უუფლოდ არაფერ ქნულ,
სუ სცდის უფალ სულდგმულს,
ეთერო, ყველა' დილიზდ
მადლწდით ცისკ ხყევ სუმბულს.

გარევ სიტყვის თეთრ ფარებს
ჩანაქანცარ ვმწყემსავ,
შიგ მონაწელ ბგერებით
ჩემ ლლილ ლექსებს ვხკემსავ.

თუკი უფალ დამაცდის,
წელნანერ წიგნს მოგიძღვნ, —
შენზე კაი თუშურით ცხვა ვინ წი' კითხავს.

ი'ქ ვინ არ შეგეყრების — კდეზე საფხაჭა ძროხებ,
შენ რო დაღესტანითა გადმოიკეცას უპირებდ.
ალარ როა მიმკითხავ

შენ სოფლის ადგილები-დ,
შენ სოფლის მჩქეფარ წყაროა,
ი'ქ ბევრს წი' კითხავ...

თუკი უფალ დამაცდის,
ერთ წელნანერ, შენდ მოძღვნილ
წიგნს ხო ჩი' კითხავ.

ვიც, სულგრძელად მე'ქცევიდ
სამუდამო სამყოფლოს
წი'ლიდიდ, ნუ გი' კითხავ...

მთელ ჩემ ანდერძ აეგე...

თავზე საყრელად მაქვის
საფიქრალიდ სატანჯველ,
ვითომ „ბედნიერ“ ვარივ,
პირს ღიმილის საფარველ,
თქვენ რა'ზე გაგადარდოთ,
ჩემზე დარდად სი გცალისთ?

ჯურა-ჯურა სალონრით
გულ გამეგალ, უფალო,
როდიმდ გავიძელ საბნელოს
ჯდომა უკარ-უსარკმლოს.

ცოფშესმულ ბოროტს ვემბლრევ,
ქრებ რო დანაჲ უტაროჲ,
მე ნიავეს სახეს უშვერ
უღონკროა' — უძალოჲ.

სამზეოს კატებ ხყეფენ
სოფელს ნანირს უძაღლოს.

*„ამბობენ, კაი დრო მოვა,
ლოდინით დავიღალეო“.*
ხალხური

გან დავიღალ, ქანც გამიწყდ
სიბაღლითა — სიბერემდ
კაი დროის ლოდინში.

სიაცა მოვემზადებ
ან მიწისაკ პირქნადად
ან ვსაბუდრდებ ლოგინში.

ამბობენ, კა დრო მოავ,
არავინ არ დი'ჯეროთ
წუთისოფლის ყმობილში.

გან დავიღალ, ქანც ჩამომწყდ
კა დროს მოსვლის ლოდინში...

დრო და დრო მომვარდების
შენ შეხვედრის ნატვრაჲ,
მომინდების თავმოკვლაჲ,
გულის გამოფატვრაჲ.

რა'გვერ გავიძელ უშენოდ,
ბედმწერლიზდ მაქვ ტატვნაჲ,
რად გამიმეტ, რა' ვაშავ
სიმარტოვით თავნთქმაჲ.

დრო და დრო მომვარდების
შენ შეხვედრის ნატვრაჲ.

არ მისც თავ, არ, სასევდარს,
გულ არ გი'მეტვ სახავსოდ,
გამოდიდ მზე გამი'ყოლ
საქვეყნოდა-დ სახალხოდ,
ერთხენ მოვეით სტუმრად,
დარდ ნუ შეგეჭამს საყასბოჲ.

არც ცა გაზომილ მტკავლით,
არც ქვეყანა ცილით,
ვერც ვერვინ სიკვდილს ღმალვი
გულზე ცემით მჯილის,
სამზეოს უთელიხარ
გულზე ბიჯვა-ბიჯვით...

სითბონანატრ ჩიტების
ულელელ ჭიკ-ჭიკს ვისმენ,
მეაც ცისაკ აჭრა მინდ,
ვითმენ, ველარ ვითმენ.

აბურახდებ ეზოებ,
აშამბნარდებ ბილიკებ,
სიჩუმის ზირნუ მე'დებ
სოფელს, ეშმათ ქილიკებ.

თავზე ნაგლეჯ-ნაგლეჯად
ცას ნავ ღურბლის წილიკებ,
ვაი, დაცლილ სოფლები-დ
ვაი, ნაუქმ ბილიკებ...

ჰო, თოვლის ქვეშ მონაყოლ
იას ღგავის იმედ...

ჩემ გულ დარდის ზღვას ერევ,
საშველ არსიითი...

„გან ვერ ამოალ ერთ ზამთრის თუშეთ...“
ეთერო

ველარ ამოალ ერთ ზამთრის თუშეთ,
ველარ აგინთებ მე ბუკენის შუქებს.
ველარ გადმოგყვებ ძროხათ ცვლად ხუშეთ,
ველარას ჩავხფენ ქამბლებში ქუჩებს.
ველარ ავიტან ღამეებს რუხებს,
ვერც მთებს გომენრის, თოვლიანს, ქუშებს.
ვერც ბაშტეს მოალ ძროხათ მონველად,
ვერც გორანა'ის ხავინს გიდულებ.
ვერც ყვა'ს გაგიზელ, ველარცრას არაყ
დილის დაზრომას ვერ მოგიშუშებს.
ამერ-დამერევ, წევში ვერ წავალ,
თუნგიტ ძველ წესსადწყა'ლს ვერ მოვიღებ.
კუჭურა'ს ველარ დავიხურავად
შენ ბებოს ჟღარლთაც გულს ვერ მოვიბნევ.
ვერ, ველარ გავზძლებ ერთ ზამთრის თუშეთ,
ველარ მოვახვევ ხინკალა' ჭუნჩებს.
ველარ გიდულებ თუშურა' ჩავეს,
ველარ გავლენწავ კალოში ჩაღებს.
ველარ მივხედავ ზიან ჩხუტ-ბრუნელს,
ველარას დავსწწავ პიტნა'ის სურნელს.
ველარ დავსჭვარტლავ გოგრულთ ბოსელს,
ველარ ვაკოცებ ჭრელ-ჭრულა' ბორცვებს.
ველარ ამეწვდრდებ გიჟმაჟა' ცხენზე
ველარ ვაჭენებ წელწვრილა' გზებზე.
ველარ ვიმღერებ, ვერც ვითამაშებ,
ველარ გამუ'რევ თავგიჟა' წყლებზე...
ველარას დავდგებ ერთ ზამთრის თუშეთ,
ველარ გადმოგყვებ ძროხათ ცვლად ხუშეთ...

ჩემდ გლოვისფერ დი'დგ წინავე ნალურჯ ცამ,
არ ნადინ-ლოდნას მრუმ ჯანდ ხფევ თუშეთს...
ველარ ამოალ ერთ ზამთრის თუშეთ,
ველარ აგინთებ მე ბუკენის შუქებს...

ქვეყანაიც სევდაში,
მეაც დარდის მორევში
ვიხრჩვებით, თავს ვერ ვშველთ.

დედაო მარიამო,
ღვთიურ ძალნო, მოხედეთ,
ლახვარ თქვენგან ჩვენ მტერთ.

მიეცით ჩემ სამშობლოს
ლურჯ ცაზე ლაღად ფრენაჲ —
უქათქათეს თეთრ მტრედთ.

უფალო, სამშობლო მიცოცხლ...

ხანთხან თავს რო დამადგებ
უფლის ნათლის სვეტ,
მუ'ხილველს რო მახილვევს
ყველა'ის ცას მწყვეტ.

წუთით რო გამარიდებს
ნაჭუჭყ სოფელს ყმედს,
ხანთხან თავს რო დამადგებ
უფლის ნათლის სვეტ.

მიმიე ჯაჭვებ ფეშებს მბულ
ყმედ აღმართზე ავდიოდ,
ერთ ნაბიჯ რო მაღლ ავდგიდ,
სამით ქვე-ქვე ჩავდიოდ.
წელში ჯვარი-დ კვარ მეჭირ,
მწარზე მზის ცვარ დამდიოდ,
შუ'წყვეტელად ვლოცულობდ,
ცხვა არაფერ ჩამდიოდ.

წვალეების მემრ ცერს ავედ,
ფეჭით სისხლებ გამდიოდ,
ლურჯ ცას წითელ მზე ეღვარ,
უენოდ დავდიოდ,
სხეულითას სულს ვიძვრენდ,
ცხვა სამყოფელს გავდიოდ.

რა'ს მახილვევ, უფალო,
სი ნამყოფ სი წავდიოდ?..

თენგიზს

დამიჯერ, ძნელზე-ძნელი,
უერთგულეს მეგობარ როცა მოგიკვდების,
ი'მას ღგავის, ხეზე რო დიიდ
ტოტ მოგიტყდების,
ჩიტად ქცეულს იმ ტოტზე
ჩიტადავ ქნილ მსმენელ რო მოგიჯდების,
ველარც რო შენ შემჩივლებ,
ველარც თავის სადარდელს ის ვერ მოგიყვების.
იცეი, თავადა' რო რმჩებ მეგობარ რო მოგიკვდებ,
მზე ვერ მოგითბების,
ფუძე ეცლებ სამზეოს, როცა ი'მას წაგართვამს,
ვინც შენ მოგიკვდების...

ტანნაძვიან სოფლის ძირ
არ გესიზმრებ, გიჭმობსა,
ან სოფლისპირ მჩქეფერ წყაროა
დამლიევ არ გიტკმობსა?

ან შენ სოფლის ცას აშლილ
მასკვლავ ძილს არ გიმთხობსა
ნეტა აამ ედემის მემრ —

ცხვათ მიწაზე რა'გვერ ზძლებ?..

ჩემ ნატკივნოდ ნაქანცო,
ჩემ უტკმილეს მამულო,
მტრიანობით დამშვრალო,
სუ თვალ გადანამულო,
შენ დროიც კი მოალის,
მოალის, თვალნამულო...

ნელ-ნელა მწრებს იჭუჭკავს,
საიმსოფლოდ ემზადებ,
მხედველობა ნამეჩხრალ
თვალბრმა ფრინველს ემგვანებ.

მთელ დღეებ ნამდუმარალ
ხანთხან ძველ დროს გე'ტანებ,
ხან წასულს გვირგვინს ადგამს,
ხან გე'გველებ — გე'მჭყალებ.

ხანთხან ჩანაფერფლ არც ჩინს,
ხან ნაფოფრ ლომს დე'მგვანებ,
ხან ფარ-ჭმალ ყრილ დარჩების,
ხან სიკვდილს მზად გე'მზადებ

ცხვა ვინ ღრევი ღრძეუ სიკვდილს,
ჟესეც ერთ დღეს გე'მგზავრებ...

ბევრიღ გაზაფხულ მოგვივ,
დამიჯერ, ამირანო.
მამ რად, ავად რო იყავ,
გვრიტ უწყვეტელად გიმღერდ
უტკმილეს მელოდიას,
იმედიანს, თან ლალს.

მკითხ, რომელ ჩიტ მღერისავ...

აი, მალ ხეში ჩადგებ
ფესვში კამკამ წყალ,
აი, მალ წავალს და'ტყობს
ნამქერს ჩიტის კვალ.
ბუდეს დი'დგამს დაუშლელს,
არ მოშორდებ თვალ,
მალ მოგვწვდების სიმღერის
მოგუგუნე ჳმაჲ!
„თებერვალი დადგაო,
ხეში წყალი ჩადგაო,
ჩიტმა ჩიორამაო,
საძირკველი გადგაო“...
ბადაგნარეე ჳმაჲ,
არვის მგვანე ჳმაჲ!



ლაბაღება

ჩვენ, პოეტები, რჩეულები ვართ.
ახლა ამაზე არავინ დავობს.
მამულზე ფიქრით აღსავსე თავო,
შენც იბადები ჩვეულებრივად.

პატარა ქალაქს ბედის ეტრავი
შეატყობინებს ჯადოსნურ ენით,
რომ იამაყებს ოდესმე შენით —
ერთი ყარიბით, დედისერთათი.

იყნოსავ, როგორც ქალი,
ტესტოსტერონის სუნს.
ვნების გედება ალი
და კაცის ხელი გსურს,

რომელიც კაბას გაგხდის
და დაგანახებს ჭერს.
იმის მხილველსაც გაგხდის,
რაც არ გინახავს ჯერ.

მოყვასისადმი

„წინწყარო ჩამოვიარე...
წინ შემხვდა ქალი ლამაზი“.
ხალხური სიმღერა

მოყვასო, აჰა, მეც 86-სა
მოვეყრილვარ, დამწერი ისეთი ლექსისა,
პარნასის დაგმანულ კართან რომ სულ იცდის
და არის: საღბუნი ნატკენი სულისთვის,
ნუგეში ორთავხელმოცარულისა და
ფარივით ამსხლეტი მონამლულ ისართა.
შენ თუ ფესს ვერ უწყობ ცხოვრებას დაფერდილს,
ქე მაინც „წინწყაროს“ ღიღინით დაბერდი.

მეძგერა ლექსი — აფთარი,
ნეტავ რის ვარიანტია?
მხრჩოლავი კვარი ანთია
ჩემს სულში თუ კელაპტარი.
გული, თვალი და ტვინი ხომ,
ღმერთო, იმისთვის მომეც, რომ
მეცოცხლა და გამომეცნო —
ცისკრის ვარსკვლავი ვინ იყო.

„ზაბაიკალიემ — მღეროდა მამა
და მე ვთარგმნიდი — ბაიკალს იქით“.
მურმან ლებანიძე

ჩემი სიკვდილი რამდენიმე მაიმუნს სურდა.
ზოგი თვით მოკვდა, ზოგი ისევ გარემოს სწამლავს.
მკითხველო, ამის ჩაძიება მიგიყვანს შურთან.
მე მიხარია. ვამაყობ, რომ ათასებს ვწამვარ.
მურმანის ლექსი აღტაცებას მგვრიდა, არა შურს,
ტალის შემყურეს მეც მასავით მსურდა თამაში.
იყო დრო,
მკვდრის მზეს ვუმღერდი და მთვარეს ლავაშურს,
დღეს სიმღერები გადავზარდე სულთათანაში.
ვინც არ მიყვარდა, იმასაც კი ლექსს ვუნწონებდი,
თან ოცნებების კოშკს ვაგებდი უშენ ადგილას.

ჯემალ ინჯია

კაცის კვლისკენ არ მიდრეკილა ჩემი სონეტი,
მიტომაც მოსწონს ის პირუთვნელ გულშემატკივარს.

უფლისციხის თეატრი

შენ საიდანაც დალოცვილ საქართველოში მოფრინავ,
იმ ქვეყანაში, ხომ იცი, მე არასოდეს ვყოფილვარ.

ის რომ სამშობლოს გიჯობდეს,
ვინ დამარწმუნებს ამაში,
ან დაგვიწყნოდეს ლექსებთან
სისხლხორცეული თამაში.

სად არ გვიგვრძენია ქართული
მიწის მაღლი და სიკეთე.
შეხე, მერცხალი ბუდეს აქ,
ისევ თეატრში იკეთებს.

არ იქნებოდა თეატრი უჰანგოდ და უპიესოდ.
ეს რომ გაიხსნა, არ იყო დაბადებული იესო.

მახსოვს, აქედან თითქმის მთელ
შიდა ქართლს გადავყურებდით,
ჭადრაკის დაფებს რომ ჰგავდნენ
მინდვრები გადახნულები.

სადლა არ გვიტარებია დრო, მძიმედ მოზოზინე დრო,
რომ ვეშმაკობდით, ჩვენს გზა-კვალს
არ ვუთანხმებდით სინედრონს.

პატივს დავდებდით სტუმრობით
სახინკლე-სალობიესაც...
შევნატრი კაცს, ვინც დაწერა ამ თეატრისთვის პიესა.

ჩემი ნაშუარტიტი

ბარში, თეატრში, ტყეში? — ნეფერტიტს
ვკითხე, სად სურდა, რომ შემეყვანა.
არ შეგაშინოთ უცხო მიდამომ,
რით დაინყებდით, სად ინებებდით —
თქვენ წინაშეა მთელი ქვეყანა.
მან მიპასუხა — ყველგან მინდაო.

ქაქაშკაშის ციხიანობრაზა

როცა ხმები მიწყდა ზღაპრულ ოჩოკოჩთა,
ნანგრევებში შემაცოცდა ჯოჯო კოჭთან.

ქარმა ჭორი დამავიწყა ყურმოკრული,
პერანგი რომ ამიჩეჩა კუბოკრული.

მეტნაკლებად როცა ჩადგა ნიავ-ქარი,
მე ავუშვი სურვილების იალქანი.

ღამე ბნელი ტალანიდან იყურება,
როგორც ქაჯი ვირეშმაკა, დიდყურება.

ნეტავ ახლა პლენანოვზე ვიდგე მე და
ლუდს ვწრუპავდე პოეზიის დიდ გემებთან.

„ტია-ტიაც“ მოგვემატოს... — ბარო, ტია!
თუ კაცი ხარ, შემიფასე პაროღია.

სოფელი „მუსორკა“

ძალბაძე სამარადან რამდენიმე ათეული კილომეტრის დაშორებით, ვოლგის წყალსაცავის ჩრდილოეთით, ერთ დიდ დასახლებაში უზარმაზარი ნისქელი-კომბინატი შენდებოდა. იქ მოვეწყვეთ სამუშაოდ. უჩვეულოდ მონესრიგებული მომეჩვენა ეს, ერთი შეხედვით, მივარდნილი სოფელი. ხალხიც — განსხვავებული. მოგვიანებით მივხვდი მიზეზს, როცა ერთ ლამაზ გოგოს ვუთხარი, რომელთანაც ურთიერთობა გამიჭირდა:

— შენ დანარჩენ რუს გოგონებს არ ჰგავხარ!

— რა თქმა უნდა, არ ვგავარ, მე ხომ გერმანელი ვარ!

— გერმანელი?! — გავოცდი.

— კი. ამ დასახლებაში უმრავლესობა გერმანელები ვცხოვრობთ!

მეტი არაფერი მიკითხავს, ჩემითაც მივხვდი, რომ ყაზახეთში ჩასახლებული, მერე კი იქიდან აქ ჩამოსახლებული გერმანელები იქნებოდნენ.

— რუსები ისინი არიან, თქვენ რომ არყის სანაცვლოდ ტბის თევზს გიზიდავენ! — გადმოხვდა, სიცილიც განსხვავებული ჰქონდა, — ეგრევე შეგატყო უცებ, როგორ გავუცხოვდი შენთვის! — გააგრძელა გაღიმებულმა.

დავიბენი. მართლა როგორ შემატყო?! ის კი ილიმოდა და რაკი დაბნეულობაც შემამჩნია, უხერხულობის გასაფანტად სხვა რამეზე დამიწყო საუბარი. მოკლედ მითხრა, რომ მალე ის და მისი ოჯახიც სამშობლოში დაბრუნებას აპირებდნენ, მერე გადამკოცნა და გერმანულად დამემშვიდობა. ამის მერე ერთხელ ვნახე, შორიდან მომესალმა და გაქრა.

ქართველები ოთხნი ვიყავით, ნორმალური ანაზღაურება გვქონდა. ქალაქიდან სამი საათის სავალი იყო ავტობუსით, ამიტომ გადავწყვიტეთ, დროებით მაინც, რადგან მთელი ზაფხულის გატარება იქ გვინევდა, ადგილზე გვექირავებინა სახლი ან თავშესაფარი, მაგრამ გავიჭედეთ, გერმანელები არ აქირავებდნენ, დანარჩენები ისეთი აბდაუბდა ხალხი იყო, მივხვდით, მათთან არაფერი გამოვიდოდა. უფროსმა ინჟინერმა (რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ჩვენს მიმართ) საიდნალაც სპეციალური, საცხოვრებლად განკუთვნილი ვაგონი მოათრია; კი მოვთავსდით, მაგრამ საშინელება იყო იქ ცხოვრება, ერთი კვირა ძლივს გავძელობთ. სხვა გზა არ გვქონდა, რამე უნდა გვეღონა. ბოლოს შევთანხმდით, სოფლის განაპირას მდგარი მიტოვებული დიდი ხის მალაზია დაგვეკავებინა. კარგად გავასუფთავეთ, რალაც-რალაცები შევაკეთეთ, მინები ჩავასმევინეთ. დანარჩენზე თავად იზრუნეს — ძველი, მაგრამ კარგად მოვლილი ორი კარადა დაგვიდგეს, ასევე მაგიდა და პატარა ნახევრადფანგიანი მაცივარი. რამდენიმე დღე უშუქოდ ვიყავით, იატაკზე დაგდებულ ლეიბებზე გვეძინა, ერთ კვირაში კი ყველაფერი მოგვარდა, ახალი ჩქრმაქც კი დაგვიდგეს ეზოში. ერთი სიტყვით, შედარებით კომფორტულად მოვთავსდით. ყოველი კვირის ბოლოს რიგრიგობით მივდიოდით ქალაქში, ჩემი მეგობრებისთვის იქ წასვლა, თუნდაც ერთი დღით, დიდი შვება იყო. უცებ მოიწყინეს, მათგან განსხვავებით, ჩემთვის დიდი ფუფუნება აქ დარჩენა იყო. სოფელი თავისუფლების განცდა დამეუფლა. მათი კი მიკვირდა... იმ გაგანია რუსეთ-ჩეჩნეთის ომის დროს სისხლს გვიშრობდნენ ძალოვნები. სულზე იყვნენ ადგილობრივი პოლიციელები, როგორმე კავკასიელი დაეჭირათ, ეწვალეზინათ, დაემცირებინათ. მათ სულ ფეხებზე ეკიდათ, შენ პატიოსანი იყავი, ქურდი თუ დაქირავებული მკვლელი, მათთვის ყველა კავკასიელი ერთი ფეხი იყო, „ჩორნაჟოპი“ და მორჩა. ჰოდა, რა ძალა მედგა, მეც ვიყავი იმ სიმშვიდეში, ულამაზეს მოველურობუნებაში, უსწორმასწორო, მაგრამ უკიდევანოდ გაშლილ უხვმოსავლიან მინდვრების შუაგულში. ზოგან ტბები, ტბების ბოლოს კი ხშირი ტყე იყო, სოფელშიც ბლომად იდგა აკაციის და ცაცხვის ხეები. ზაფხულის დასაწყისში ის ტკბილი სურნელი, სოფლის ფერების მძაფრსუნიან ჰაერს რომ შერეოდა, უცნაურ გაცდებს იწვევდა ჩემში. ნატურალური სოფლის პროდუქტი ყელამდე გვქონდა. ქალაქიდან საქართველოდან გამოგზავნილი ჭაჭა ჩამოგვქონდა, აქ კი ნახევარლიტრიან ბოთლებში ვასხამდით, ასე ვანაწილებდით, შემდეგ დავარიგ-



სოსო მეშველიანი

ებდით. ზოგს ერთი ვედრო უგემრიელესი ცოცხალი თევზი მოჰქონდა, ზოგს — ბოსტნეული ან კარტოფილი, ზოგს კიდევ — რძის ნაწარმი. მოკლედ, ვცხოვრობდით და ვიყავით. ესენი კიდევ სულზე იყვნენ აქედან წასვლას. აქ თავს მაინც არავინ გვაძაღლიდა მათი რუსული წარმომავლობით. გერმანელების გარდა კიდევ ბაშკირები და ყაზახები ცხოვრობდნენ. მოგვიანებით ორი რუსი შემოგვისახლეს, არ გვანწყობდა, მაგრამ უარიც ვერ ვუთხარი, რადგან მათგან დიდად ვიყავით დავალებულნი. ფართი ისედაც დიდი იყო, ერთი კუთხე ცალკე გატიხრეს და იქ მოთავსდნენ. ისინიც მუშები იყვნენ, იქ მუშაობდნენ, სადაც ჩვენ — ნისქელი-კომბინატში ელექტრობა გაჰყავდათ. ორივე შუახანს გადაცილებული მამაკაცი იყო, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ხასიათებით. ერთს სმა უყვარდა, როგორც კი ფულს მოიხელთებდა, სულ გათიშული ეგდო. ერთხელ სახეგადატყაული დაბრუნდა შინ. რადგან მართა-მეთქი, ვკითხე. არ ვიცი, მხოლოდ ის მახსოვს, ჩვეულებრივად მოვდიოდი და ასფალტი ალიმართა ჩემს წინ კედელივით და დავეჯახეო, მიპასუხა. მეორე — პირიქით, სასმელს ვერ იტანდა, სუნსაც კი. თავისებური ტიპი იყო, სულ გახეთქილი იქექებოდა. ისედაც ძალიან ნაკითხი ჩანდა, ეტყობა, ერთ დროს სულ სხვა კაცი იყო და გაუთავებელმა ლოთობამ ელექტრიკოსობამდე დააქვეითა. ასეთი რამე ხშირად ხდება აქ. სასმელსაც, როგორც ჩანს, ამიტომ ვერ იტანდა. ასეთ შემთხვევაში იშვიათია ორი ასეთი განსხვავებული ხასიათის ადამიანის ერთმანეთთან თანაცხოვრება, ისინი კი ერთად ცხოვრობდნენ, ცხოვრობდნენ იმიტომ, რომ ძმები იყვნენ. მსმელი უფრო კარგი საურთიერთობო კაცი გამოდგა, მეორე რამდენიმე დღე არც კი გვესალმებოდა. ამის გამო ჩვენი ბიჭებისგან საყვედურიც მიიღო. მას მერე გამარჯობას კი ამბობდა, მაგრამ ზედაც არ გვიყურებდა, თითქოს მისთვის არც ვარსებობდით, სულ ტელევიზორს იყო მიმტერებული, ხან თუ გადი-გამოდიოდა სახელში, სულ რაღაც ეჭირა ხელში და კითხულობდა. მე მაინც ავანყე მასთან ურთიერთობა, რადგან ვგრძნობდი, რომ ნიგნიერი კაცი იყო. თითქმის დავემგობრდით კიდევაც. რადგან იცოდა, კიტრის მწნილი მიყვარდა, ჩემთვის სულ მოჰქონდა სახლიდან. ერთ დღეს ის და მისი ძმა პოლიტიკაზე საუბრობდნენ, აგრესიულად. კაცი, რომელიც არ სვამდა და ასეთი მშვიდი ჩანდა, ნერვებზე იყო აჭრილი, სულ ივინებოდა, ბოლოს ყვირილზეც გადავიდა. სულ ბოზის გაგდებულს ეძახდა მათ პრეზიდენტს, თუ რატომ არ ეხმარებოდა სერბებს, მათ მოძმე ერს, როცა მას ნატო და შეერთებული შტატები ასე დაუწოდებლად ბოძავდნენ. ივინებოდა, ერთ ამბავში იყო. როცა ორდნავ დამშვიდდა, გავბედე და ვუთხარი, რომ ამერიკასთან მოჭიდავედ რუსეთი არ ვარგოდა, იქ ცხოვრების დონე შეუდარებლად მაღალი იყო, არანაირი კორუფცია, მაღალი ანაზღაურება, მაღალი პენსია, აქ კი დიდი დაკვირვება არ არის საჭირო, როგორ ცხოვ-

რობს ხალხი. მეგონა, აგრესიულად მიპასუხებდა, მაგრამ სულაც არა, რალაცნაირად მშვიდად გადმოიხედა. თავიდან ვერ მივხვდი, რატომ შემოატარა მზერა ასე უცნაურად ოთახში — ჯერ ჭერზე ანთებულ ნათურას ახედა, მერე მაცივრისკენ გადაიტანა მზერა, მერე — ტელევიზორისკენ, თან პულტი შეათამაშა ხელში და დასძინა: „ეს ყველაფერი ხომ არ არსებობდა ერთ დროს, მაგრამ ვიყავით“. ამ პასუხის შემდეგ მივხვდი, რატომ შემოატარა მზერა იმ ნივთებზე, კიდევ იმას მივხვდი, რომ ასეთ ხალხთან კინკლაობას აზრი არ აქვს.

აშურთან ახლოს

აზრზე არ ვარ, ასე რატომ დამამახსოვრდა იმ კაცის სახე. ერთი უბრალო დაქირავებული მწყემსი იყო — შემუშებული სახე ჰქონდა; ეტყობოდა, ხშირად სვამდა, როგორც იქაური მამაკაცების უმრავლესობა. მე ცხენზე მჯდარი დამამახსოვრდა, უკან გადაზნექილს რომ რალაცნაირად წაეგრძელებინა კისერი. არა, სწორედ ამ წაგრძელებული კისრის გამო გამახსენდა. როცა გავიგე, რომ მინდორში თავმოჭრილი იპოვეს. გამახსენდა კი არა, სამუდამოდ ჩამრჩა გონებაში. ცხადია, არაფრის გამო, უბრალოდ გასართობად, ჯერ ბევრ ხანს სცემდნენ, სანამ სული არ გააფრთხიბინეს, მერე ადგნენ, თავი წააცალეს და ცხენს დაამაგრეს უნაგირზე, წარწერით „Всадник без тела“ (ალბათ უთავო მხედარზე ორიგინალური). მთელი არსებობის მანძილზე ძალადობრივ გარემოში გაზრდილი ყმანელი ამ შემზარავმა ამბავმა ლამის დამამუხჯა. იმ მხარეში (მცირე გამოწკლისის გარდა) ხანში შესული ადამიანები ლოთები იყვნენ კაციან-ქალიანად, ახალგაზრდები ნარკომანები და მოძალადეები ბიჭიან-გოგონიანად. ამის მიზეზს მოგვიანებით მივხვდი, მანდ ხომ მკვლელების და ბოროტმოქმედების შთამომავლები ცხოვრობდნენ — მათი, ვინც უმკაცრეს ლაგერებს, ციხეებსა თუ გულაგებს გადაურჩა და გათავისუფლების შემდეგ მანდ დასახლდა. ის გენეტიკა სად წავიდოდა — ხან შვილიშვილები იყვნენ, ხან — შვილიშვილში, შიზოფრენიასავით. სკოლა ახალი დამთავრებული მქონდა, ბიძაჩემმა წამიყვანა. მანამდე ქუთაისის არც ვიყავი გაცილებული, ამის შემდეგ, უცებ ათი ათასი კილომეტრით მშობლიურ კუთხეს დაშორებულს სამუდამოდ დაკარგული მეგონა თავი. ბლაგოვეშჩენსკი იყო, აშურის ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი, რომელიც თვით რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში მესუთე ხარისხიდან ქალაქად თუ ჩაითვლებოდა, რომელიც არცთუ ისე შორეულ წარსულში მხოლოდ სამხედრო პოსტი იყო, თუმცა მაშინდელ ჩვენს ქუთაისზე (ალბათ თბილისზეც) უფრო თანამედროვე, ცივილიზებულ და მონესრიგებულ ქალაქად მომეჩვენა. მის პირდაპირ, მდინარე აშურის მეორე მხარეს, ჩინეთის ქალაქი ხეიხე ჩანდა, ღამე — განსაკუთრებულად კარგად. ძლივს დამაჯერა ბიძაჩემმა, რომ

ის ჩინეთის ქალაქი იყო. აქვე, მდინარის გადაღმა. მერე ის მიკვირდა, ის ქალაქი ნამდვილი მეგაპოლისი იყო, ისეთი, მანამდე რომ არსად მენახა, აქ მომუშავე ჩინელები კი ასეთი მოუნესრიგებელი, დასაწყლებული და ჩამორჩენილები ჩანდნენ, თუმცა მერე როგორც გავარკვიე, ისინი ჩინელები კი არა, ჩრდილო-კორეელები იყვნენ. მეორე დღეს სადღაც წავედით ავტობუსით, არც ისე შორს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამ დასახლებაში ახალთ-ახალი, დაბალი კორპუსები იდგა ხის ძველ სახლებს შორის, ქოხებს რომ უფრო ჰგავდნენ, თან ყველგან ახლად მოასფალტებული გზა მიდიოდა; მაინც იმდენად მიგდებოდა, ველური და ჩამორჩენილი მომეჩვენა ცხოვრების დონით, პირველი, ბიძაჩემს რაც ვკითხე, ეს იყო — აქ რა გვინდა-მეთქი. მერე კი მივხვდი, ძალიან შემოსავლიანი მხარე იყო, საოცრად ნაყოფიერი მიწებით, ხე-ტყით თუ უგემრიელესი თევზებით სავსე მდინარეებით და ტბებით. დიდი დასახლება იყო, ფერმერობისთვის გადასარევი ადგილი, თუმცა იქაურებს ეს სულ ფეხებზე ეკიდათ, მაინც ვიღაც სომეხი ან ქართველი თუ იყოჩაღებდა. იქ, სადაც ასეთი ზარმაცი, ფეხებზემკიდა ხალხი ცხოვრობდა, ჩუმად შეიძლებოდა ფულის შოვნა. მარტო ერთი ლიტრი ჭაჭით შეგეძლო, საქმე აგენყო; ამ სიტუაციას გადასარევად იყენებდნენ ჩვენი ბიჭებიც. მაშინ ბავშვი ვიყავი და მიჭირდა ბევრი რამის გააზრება და ახლა, ამდენი ხნის მერე, ეტყობა, ამიტომ მომინდა, ამაზე რაღაც დამეწერა.

ახალწასულზე ყველა ჩვენიანი მაფრთხილებდა, მათთან ჩხუბს მოვრიდებოდი. თუ მარტო ვიქნებოდი, რაც უნდა ეთქვათ და ემოქმედათ, არ ავყოლოდი. მითხრეს, რომ ბოლომდე გადამივიდნენ, არ დამზოგავდნენ, შეიძლება, მოვეკალით კიდევ. არ ვიცი, ეს დარიგება მახსოვდა თუ არა მაშინ, როცა მე დამეჩვენა ბევრად უფროსი ჩემი მეგობარი (რომელიც ძმაცაცობდა კიდევ ბევრ მათგანთან) მივდიოდით სწორედ იმ ადგილის გავლით, სადაც მიტოვებული ხის ძველი სახლი იდგა — „ოზშიფიტო“, სადაც ბომბები ათევენდნენ ხოლმე ღამეს, უფრო სწორად, მათი დროებითი თავშესაფარი იყო. აქ მათ ერთგვარი ბირჟა ჰქონდათ, აქ შეეძლოთ, მოეხარშათ, მოენიათ, ეძალადათ, ვისზეც უნდოდათ. რომ მიეუახლოვდით, ჩემი მეგობარი შეცბა — ერთს გერმანული ნაგაზი ჰყავდა თან. არ ვიცი, პატრონმა წააქეხა თუ მისით გამოგვიხტა, ჩვენსკენ გამოვარდა. დაბნეულობისგან ადგილზე გავქცავდი, ჩემი მეგობარი მესერს გადაევლო. ძალღმა, როგორც კი გაქცეული კაცი დაინახა, მე ზედაც არ შემოიხედა და მას გამოუდგა. კარგა ხანს არბენინა, შემდეგ შეეშვა. რა ვიცი, ის უჯიშო ხალხი სულ „იოზ ტვიუ მატ“, „იოზანავოტ“, „იოზ... იოზ ხუი... ხუის გაიძახოდნენ ყველა სიტყვაზე, ჩემმა ერთმა „კაზიოლმა“, რომელიც ძაღლის პატრონის მისამართით ვთქვი, გადარია ყველა — გაგიჟდნენ, წამოცვივდნენ, ყველა მხრიდან შემომიტყეს. რაკი მათთან შედარებით სპორტულ ფორმაში ვიყავი, ვიგერიებდი, ვურტყამდი, ვერ წამაქციეს. შემდეგ მეგობარიც მომეშველა, მაგრამ ბევრნი იყვნენ. ვიცოდი, მთავარი იყო, არ წავეცეულიყავი. მაინც წამაქციეს. მერე ისე მოხდა, როგორც მაფრთხილებდნენ. ისეთ დღეში ჩამავდეს, ორი კვირა მარტო რძეს ვსვამდი — ყბის ძვალი მქონდა გაბზარული, ნეკნები ჩატეხილი, ფეხი ნალრძობი. ადრე უბნის პოლიციელმაც კი გამაფრთხილა, რომელიც ბიძაჩემთან მეგობრობდა, თუ იმათთან ჩხუბი მოგივიდა, არ დაზოგო, აილე, რაც ხელში მოგვდება და ჩაართყი, თუ გინდა, მოკალი, მერე ჩემზე იყო სო. ამაზე უცნაური რა უნდა მოისმინო კაცმა წესრიგის დამცველისგან. მეც, სანამ ბოლომდე გონებას დავკარგავდი, მესრის მსხვილ ნატებს დავავლე ხელი, უმისამართოდ, მთელი ძალით ვიქნევდი; ერთი-ორი, მახსოვს, თავგაჩეხილი დავავდე, მერე მეც ჩავიკეცე, გონება დავკარგე. მოგვიანებით ჩემმა დეიდაშვილმა მიაბა, რომელიც ათწლეულებია იმ მხარეში ცხოვრობს ოჯახთან ერთად, სოფელს, საიდანაც თვითონ იყო, დათვი შემოსწევია — თუ ვინმეს სკები ჰქონდა, გაუნადგურა. მას მიმართეს, მან კიდევ ორი მეზობელი რუსი გაიყოლა თან. ისინი თავიდან უარზე იყვნენ, შეეშინდათ, შემდეგ დათანხმდნენ, თუ დასალეხს იკისრებდა. ღამე წავიდნენ, ჩაუსაფრდნენ, იმათ კიდევ მოასწრეს დალევა მისაყოლებლის გარეშე, როგორც იქ ხდება ხოლმე. სასმელი მალე მოეკიდათ, თვითონაც უკვე

ჩაიქნია ხელი, რადგან დათვს მცირედი ჩქამიც აფრთხოვს, ამათ კიდეც ასეთი ამბავი აეტეხათ... ის იყო, წამოსვლა დააპირეს, რომ იმ მხრიდან, საიდანაც არ ელოდა, დათვი გამოჩნდა. მთვარის შუქზე დალანდა. მაშინვე ესროლა თავისი ორპირიანიდან, მოარტყა, მაგრამ სასიკვდილო არ აღმოჩნდა. ეს უზარმაზარი მხეცი ღრი-ალით ცერზე შედგა. უცებ ერთ-ერთი რუსი წინ გადაეღობა ყვირილით, „მოიცა, არ ისროლო, მე არ მომარტყაო!“ დანა დააძრო და ასე ხელდახელ ეტაკა დაჭრილზე ყველაზე საშიშ მტაცებელს. ერთხელ კიდეც გაიგონეს დათვის ღრიალი, რუსის ასეთი მოულოდნელი საქციელით გაოგნებული იმდენად დაბნეულა, ყველაფერი რომ მორჩენილა, დათვი რომ მიმალულა და თავის ქალა ახდელი რუსი მეორეს გამოუთრევია ჩირგვებიდან, მაშინაც გაუნძრევლად მდგარა. დათვისთვის მეორე დღეს შემთხვევით მიუგნიათ ტყის მჭრელებს, ხშირ წინვოვანში დანა ჰქონია გულში ტარამდე შეტეხილი. ეს მან სხვათა შორის მოყვა, როცა რუსებზე ჩამოვარდა საუბარი, მაშინ რუსეთ-უკრაინის ომი ახალი დაწყებული იყო; მოყვა, რომ რალაც მომენტში, რალაც სისულელის გამო, უკიდურესი სილანჩიდან შეიძლება, უკიდურეს სიმამაცემდე აღზევდეს რუსი ნებისმიერი შედეგის მიუხედავად.

ფარონ

შცნაური ჯიშის ღორები გვყავდა ადრე; ადრე, ჩემს ბავშვობაში — დიდები, შავები, ველურები. აკლებული ჰყავდათ მთელი სოფელი, მესრის მყარი ღობეც კი მოჩვენებითი ბარიერი იყო მათთვის. თუ მოუნდებოდათ, რკინის ჭიშკარსაც ჰაერში ანევენ. ამიტომ, როგორც კი ზამთარი მიილეოდა, სოფლიდან ძალიან შორს, დიდი ხევის გადაღმა, გავრეკავდით და თევობით იკარგებოდნენ. არც ვეძებდით, თითქოს გამეტებული გვყავდა, მაგრამ მაგათ რა ნადირი მიეკარებოდა, ყველა მტაცებელზე უარესები იყვნენ. წინამძღოლი უზარმაზარი დედაღორი იყო, რომელსაც ფარონს ვეძახდით. ერთ წელს კარგი ზამთარი იყო, ოდნავ მოთოვა, ზომბა ახლოვდებოდა, ასევე ლიძენალი (ღორების დაკვლის რიტუალი), ყველას უხაროდა ეს დღე, მე კი ატანა არ მქონდა — ჯერ უზარმაზარ ტახებთან უნდა გეჭიდავა მუხლებამდე თოვლიან ლაფში ჩაფლულს, მერე ღორის აუტანელი, შემზარავი კივილი, მერე იმის თრევა და გაპუტვა, ყველაზე აუტანელი კი თბილი სისხლის მძიმე სუნი იყო, დღეები რომ მქონდა ნესტოებში ჩაგუბებული.

მოკლედ, ლიძენალი ახლოვდებოდა და ჩვენი მყრალ-ოხმივრიანი საღორეები ცივი და მოლიავებული იყო. მეზობელმა გადმო-სძახა ხუმრობით მამაჩემს, ნუ ღელავ, ლაფაქისთვის ღორის ყბას გამოგიგზავნიო („ლაფაქი“ ბარაქის მომტანის დიდი ხონჩაა, რომლითაც ოჯახის უფროსის კართან ხედება მეკვლეს). იმ ღამით ძლიერი თოვა დაინყო, დილით კი ჩვენი საჩეხი სავეს დაგვხვდა ღორებით, ნამატით გაორმაგებული. როცა მთაში ავდენილდით პირუტყვს, იქიდანაც იკარგებოდნენ (თითქოს ყველა სულიერს დაუბრუნდნენ), უფრო შორს მიდიოდნენ, იმ ადგილზე შორს, კვარაცხელიას ნაჯოგარს რომ ვეძახით. მაშინ ჩემი მეზობელი ხანშიშესული კაცი იყო, ჩემთან ერთ ქოხში ვიყავით. საუკეთესო ადამიანი იყო ავთანდილ ბაბუა, ბევრი რამ ვისწავლე მისგან. ერთხელაც საღამოხანს უცებ დაიძახა და ავიშვიშდა ეს საოცრად მშვიდი კაცი — „აუ, აუ, შენი ღორები გამოჩნდნენ...“ გავიხედე ერთი ქედის ქვემოთ „ლეღვარე ლაშხვნიარს“ რომ ვეძახით („ლეღვარე ლაშხვნიარ“ ხორცის შესანახი, უმზეო, გრილი ადგილი, თითქმის შუა ზაფხულამდე იდო თოვლი იმ ადგილას და ეტყობა, მონადირეები ნანადირევის ხორცს იქ ინახავდნენ), მაგრამ მე ის გამიკვირდა, ასე რატომ აღშფოთდა ეს კაცი ჩემი ღორების დანახვაზე. სანამ ამაზე ვფიქრობდი, ავთანდილ ბაბუამ გააგრძელა — „საშინელი ღამე გველის, დელგმა. უნდა მოვეშადოთ...“ ამან მთლად დამაბნია — რა დელგმა, იშა დეცი ნაკვიშ, „ჩიბუხში ჩასადები ღრუბელიც არ ჩანდა“. მაინც ავეყვი, დავფაცურდი, დავინყეთ ჩვენი საცოდავი მიწურის გამაგრება, ნახევრად ხის, ნახევრად კი ქვის რომ იყო, პატარა, უფანჯრო, ბნელი. ამასობაში ჩემმა ღორებმაც ჩამოაღნიეს, ცალკე ისინი ეშადებო-



დნენ, ვეებერთელა ქვის ქვეშ დაინყეს მინის თხრა, ისე ღრმად და ფართოდ ამოთხარეს, ეს დიდი ბრტყელი ქვა მთლიანად მათ თავს ზემოთ მოექცა და ღამე, როცა ყველა მხრიდან შემოაღწია ჩვენი საცოდავი მიწურის კედლებში ძლიერი სეტყვის მერე წამოსულმა ლეშხმა, ჩვენ კი მთელი ღამე ატუხული ვიყავით ერთადერთ მშრალ ბნელ კუთხეში, სწორედ მაშინ ვინატრე — ახლა ჩემი ღორების ბუნაგში ჩამაწვინა-მეთქი.

შეხვედრა შცნაურ ბიჭთან

ბახშუმბული, აქოშინებული მანქანა ჭიშკართან მივაყენე. გადმოვედი, ჭიშკარი რომ გამეღო. თავი მტკიოდა. ეტყობა, მთელი დღე საჭესთან ნაჯდომს წწევამ ამინია. საღამო ხანი იყო. ჭიშკარი როგორც კი გავალე, ისიც გამოჩნდა. შევატყვე, ნასვამი იყო. ძველი ზურგჩანთა ეკიდა, ხელში პატარა ნაჯახს ათამაშებდა. ეტყობა, სათიბიდან მოდიოდა. მივესალმე, მოვიკითხე, შინ შევიპატიჟე. უარი მითხრა, ნასვამი ვარ, წლებია, არ დამილევია და ახლა ისე ვარ, თითქოს თავიდან ვსწავლობ სიარულსო. დამშვიდობებისას სახელით რომ მივმართე, გაცინა, გეშლება, მე ივანე არ ვარ, მისი ძმა ვარო. ამან უფრო გამახარა, რა ხანია, ამ უცნაური ბედის ბიჭის ნახვა მინდოდა, მასთან საუბარი. თუმცა შინ შემოსვლა არ დამიძალბებია. ღამიდან, ნასვამი იყო, მერე კიდეც მეზობელ სოფლამდე რალაც მონაკვეთი მოკლე, ძნელი გზით უნდა გაველო — რიყეზე, მდინარეზე, რაზეც ხიდად ერთი ცალი თხმელის ხეა გადებული. ის იყო, ჭიშკრის დაკეტვას ვაპირებდი, რომ უცებ შემობრუნდა — ისე რატომაც არა, შენთან ერთ-ორ ჭიქა ღვინოს კი დავლევი! შევედი, ეზოში ვაშლების ქვეშ პატარა მაგიდა გვედგა; იქ დავსვი. დედაჩემი არ ჩანდა, ეტყობა, პირუტყვს უვლიდა. გამოვიტანე სახლიდან თევზები, პური, ჭყინტი ყველი, კიტრი, პომიდორი... ღვინო მართლა კარგი მქონდა, ცოლი რეკოლი, სამი წლის დაძველებით, მაგრამ სტუმრისთვის სულ-ერთი აღმოჩნდა, ოდნავ წრუპავდა, ეტყობა, მართლა საკმარისი დაელია. მე, მართალია, საერთოდ არ ვიყავი ქეიფის ხასიათზე, მაგრამ ვცდილობდი, არ შემტყობოდა. ის კი, მიუხედავად სიმთვრალისა, მაინც დაძაბული ჩანდა. მივხვდი, რალაცის თქმა სურდა, რალაც არ ასვენებდა. ბოლოს ისე უცნაურად მითხრა, მეც ლექსებს ვწერო, ვერანაირი ემოციის გამოხატვა ვერ მოვახერხე. ვერც ვერაფერი ვუთხარი. ერთი-ორი წამიკითხა კიდევაც, ლექსად ბევრი არაფერი (უფრო სწორად, წარმოდგენა არ ჰქონდა, ლექსად როგორ გამოეთქვა საკუთარი განცდები), მაგრამ ისეთი უკიდურესი სასონარკვეთა და მარტოობის განცდა იგრძნობოდა მის სიტყვებში, უფრო გამიმძაფრდა თავის ტკივილი. როცა ორივე ცოტა დავმშვიდდით, დავეწყე დანვრილებით

გამოკითხვა თავისი მეტად უცნაური ამბების. არ დამზარდა, ჩემდა გასაკვირად, სრული გულწრფელობით მიყვებოდა. მეც ვიჯექი გაქვავებული, გაშტერებული და ვუსმენდი. ბოლოს სწორედ ამ გულმოდგინებაში გამცა. უცებ გაჩუმდა, მანამდე თუ სადღაც ჩემს მიღმა იხედებოდა, ახლა მე შემომხედა, ოდნავ გაღიმებულმა თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა — შენ, მგონი, ამაზე დანერას აპირებ!

მოულოდნელად ხმამაღლა ავხარხარდი — მერე რა მოხდა, კაცო?! — არ გინდა, რა!.. — შენს არც სახელს ვახსენებ, არც გვარს თუ ასე გინდა. ეს ხომ საოცარი სანოველე ამბებია, გინდა — სარომანე?! — ჩემი სოფლები მაინც მიხვდებიან...

— კარგი, რა! ჩვენ სოფელში ვინ კითხულობს ჩემს ნაწერებს, იმის იქით კი თუ ვინმე წაიკითხა, შენი რა მისდის?! — მაინც არ გინდა... — კარგი, კარგი, მარტოხელა მწყემსო...

მარტოხელა მწყემსი

ზაფხულშია. სოფელში ვარ. უკვე მოსაღამოვდა. წლებია, წელიწადის ამ დროს აქ არ ვყოფილვარ. რალაცნაირი განცდით მავსებს თითქმის გაუცხოებული მშობლიური გარემო. ეს ნახევრად დაცლილი უსიცოცხლო სოფელი მხოლოდ მაფხულობით ივსება ახალგაზრდების მაცოცხლებელი ხმებით. ახლაც აქ მოუყრიათ თავი, ჩემი სახლის ახლოს, სოფლის კლუბთან. ყველა მხარეს იფანტება და ბნელი ხეებით მთების ძირამდე აღწევს მათი ხმების ექო. უსმენენ რომელიღაც უცხოურ მუსიკას. ზოგი ერთმანეთში უცხო ენაზე საუბრობს, ვისაც მათი არ ესმის (მათ შორის, მათივე ნათესავებს), მობილურ ტელეფონს ჩაშტერებია, ზოგიც ბურთს თამაშობს ხრამის პირას მავთულის ბადით შემოღობილ პატარა, განათებულ მოედანზე. მე კი ეზოში ვზივარ მსხლის ძველ, ხავსიან გადანაჭერზე და ვეღარ ვეხსენი სადღაც მეხსიერების ბნელ მხარეს სასიგანაო ნათურასავით აციმციმებულ მოგონებებს, სანამ ხევის გადაღმა კედელივით აღმართულ ტყის ზემოთ ჩემთვის კარგად ნაცნობ დივიან მოლთან რალაც ნათება არ შევნიშნე. „ვილაცას კოცონი აქვს დანთებული. ვინ უნდა იყოს? უკვე რა ხანია, აქ ტყეში არავინ დაღის“ — გავიფიქრე და მაშინვე გამახსენდა ახალგაზრდა ბიჭი მეზობელი სოფლიდან; ამ ახალგაზრდებივით ხმაურისანი და ხალისიანი, რომელმაც ერთ დღეს გაუგებარი მიზეზების გამო უარი თქვა ადამიანებთან ურთიერთობაზე და ტყის მიაშურა, პირუტყვი მოამრავლა და მას მერე დაღის მთებიდან მთებში სრულიად მარტო შემზარავი იდუმალეობით გარემოცული. და ესმის ახლა ხის პატარა გაჭვარტლულ მიწურში შუა ცეცხლთან მჯდარს, ყველის ამოყვანის დროს თბილ შრატში ხელებჩაყოფილს, მისი თანატოლ-

ების ეს ხმამაღალი გნისაი (ვიცი, რომ ესმის), ან იქნებ იქვე, ქოხთან ახლოს, იმ უზარმაზარ ნაძვს მიყუდებია, რომელზეც ოდესღაც დანით თუ ნაჯახით უკვე ხავსმოკიდებული სახელებია ამოკვეთილი და გამტერებული იხედება დაბლა, ხეებს შორის მოქცეული პატარა განათებული სოფლისკენ, საიდანაც ახალგაზრდების ეს მხიარული ხმები ისმის. დგას ხშირი, ბნელი ტვერები და სრული მარტოობით გარშემორტყმული.

ნეტავ რაზე ფიქრობს ახლა? ნეტავ რამ აიძულა?..

ფიქრნი მტკვრის პირად

მეზობელ სოფელში ცხოვრობდა. მაშინ ძალიან ახალგაზრდა იქნებოდა. მე სკოლაში დავედი იმავე სოფელში. არ ვიცი, ნერვებზე იყო აჭრილი, თუ ცუდი სიმთვრალე იცოდა, ხშირად მესმოდა — რამაზმა იმასთან იჩხუბა, რამაზმა ამას დაარტყა... ერთხელ ჩემს თვალწინ სიტყვის უთქმელად ეცა ჩემს სოფელს კაცს. დასცხეს ერთმანეთს. გავოგნდი. თურმე ძველი ხინჯი ჰქონია გულში ჩადებული. მოკლედ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი და ჩემი ოჯახის მიმართ კეთილგანწყობილი იყო და მეც თბილად მომიკითხავდა ხოლმე, არ მსიამოვნებდა მისი დანახვა — სულ დაძაბული ვიყავი. მაშინ არც ის მომეწონა, სკოლაში მიმავალ მოსწავლეებს რომ შეგვხვდა სისხამ დილით, ნახირს მიერეკებოდა ახლად ამწვანებული საძოვრებისაკენ ჩემი სოფლისაკენ მომავალი გზით. ერთხელში თხილის გრძელი ნკებლა ეჭირა, მეორეში — ტყემლის აყვავებული რტო. ჩვენ წინ ჩვენზე უფროსი ჩვენი სოფელი გოგოები მიდიოდნენ. გაჩერდა, ტყემლის რტო სამად დაანაწევრა და გოგოებს დაურიგა, შემდეგ კი დააყოლა: *გაზაფხულია მაინც ასეთი, კეთილი, როგორც კარგი ხარება, ახალგაზრდობით მოკისკასეთი ახარხარება.*

რალაცნაირად თქვა, სევდიანად, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა. მოგვიანებით ძლივს აღვიდგინე გონებაში ეს სტრიქონები, მაშინ ავტორის ვინაობაც არ ვიცოდი. მისი ეს საქციელი როგორ არ უნდა მომწონებოდა, მაგრამ მახსოვს, რომ არ მომეწონა.

ერთხელ ჩემს სოფელში რალაც დღესასწაული იყო. ზოგი სოფლის კლუბში ქეიფობდა, ზოგიც — გარეთ, უზარმაზარი კაკლის ქვეშ. კაცების უმეტესობა მთვრალი იყო. ამ დროს რამაზიც გამოჩნდა — როგორც იტყვიან, განგრეული მთვრალი. ვიფიქრე, ახლა ვილაცას აუხილდება და ატყვება აქ ერთი ამბავი-მეთქი. მან კი ტორტმანით გაიარა ხალხში, მაგიდაზე სავსე ჭიქას დაწვდა და იქვე სოფლის კლუბის პატარა სცენის კუთხეში გაჩერდა, მერე ყურადღებით მოითხოვა, ზოგი მართლა შებრუნდა მისკენ და გაისუსა, ზოგმაც ხელი აუქნია, ზოგს ყურადღებაც არ მიუქცევია, ყველა თავის სტიქიაში იყო. რამაზი კი რალაცნაირად შეირხა, გამოცოცხლდა, თვალები გაუბრწყინდა, თითქოს ამ უცნაურ, უსაშველოდ მოსაწყენ გარემოს ერთიანად მონყდა და ნელი, რბილი ხმით (ის ხმა თითქოს მას არ ეკუთვნოდა) დაიწყო ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის — „ფიქრნი მტკვრის პირად“ — წაკითხვა; დაიწყო და ამ ხმამ მეც წამილო სადღაც, სადღაც დიდი სევდით და იდუმალეობით მოცულ სამყაროში. ამ ყველაფერმა ერთიანად შემძრა, მსგავსი განცდა რომ არ დამმეფლებოდა, ალბათ არც გამახსენდებოდა ეს ამბავი ოცდათორმეტი წლის შემდეგ, გამახსენდა და სწორედ ახლა მივხვდი, რომ პირველად სწორედ მაშინ მიიზიდა და გაანათა პოეზიამ ჩემი დაბინდული გონება. პოეზია მანამდეც მიყვარდა, თუმცა, ეტყობა, მარტო ზედაპირულად ვტკბებოდი მეოცე საუკუნის პოეტების ესთეტიკით. ამ ხმამ კი თითქოს ძალით გამიტაცა და გამიზნულად დამკარგა იქ...

ახლა ზუსტად ისიც არ მახსოვს, როდის მორჩა კითხვას. იმ ფრაგმენტსლა ვიხსენებ, როგორ გაუჩინარდა ჩემი სოფლის მოსახვეში ბარბაცით მიმავალი. და იმ დღის შემდეგ როგორ შემიყვარდა ის კაცი, როგორ მიხაროდა მისი დანახვა.

წლების მერე საზღვარგარეთ წავედი — იქ მითხრეს, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულაო...



ჩიტი სახინჯლები

ქალბატონი ბუნებისგან დანაჩაგრი კი არა და — ლამაზია (ლამის მეტად). ხინკალს რომ ჭრის და მიირთმევს დანა-ჩანგლით, სადაური ქვეყნის ჩიტი არის ნეტავ?!

გაგიჟდები... როგორ...

ვეზუვი რომ ზანზარებდა, როგორი ხმა ჰქონდა მიწას. როგორ აღდგა ლაზარე და სთხოვა უფალს: ხომ დამიცავ.

როგორ შრება არალის ზღვა ზურგშექცევით ღმერთისაკენ. გოგომ როგორ არ ამიხსნა, მე ავეუხსენ ერთი საქმე.

ლა-სკალაში ნაირფერ ფერს როგორ იხდენს იარუსი. ცეცხლში როგორ დაიფერფლნენ ბრუნო, დარკი, იან ჰუსი.

როგორ მიაქვს ქარს ლექსები, როგორ გადატრუსდა ველი, უკვდავების კვარცხლბეკზე კი როგორ დადგა რუსთაველი.

ფუნჯმა როგორ შვა ნამდვილი სიდიადე ჯოკონდათი. ეჭვის ჭია, ჩავარდნილი ქმრის სხეულში როგორ დადის.

ბრბო და პოეტი

მე ლოცვა მიყვარს, თქვენ წყევლა-კრულვა. თქვენ სხეულს ნესტრავთ, მე კიდევ — ვკუწრნავ.

თქვენ იკრიჭებით და მე ვიცინი. დავალ ჩურჩულით, თქვენ კი — სისინით.

თქვენ „ბუხენვალდის — გიყვართ — ნაბატი“, მე კი — „მე ვარ და ჩემი ნაბადი“.

აქ როგორ გაჩნდით გაიძევრები?! თქვენ ედემიდან გაიძევებით.

სულს თუ ამომხდით. მომკლავთ, დამკრძალავთ, ჩემს პოეზიას თქვენ ვერ აკრძალავთ.

თოკგამობმულ ფინია ძალღს მისდევენ ორნი. ერთი ესენინია, მეორე კი ჩორნი.

სცენამ ესევეითარმა გადამტყორცნა უკან — სტუმრად ესენინთან ვარ ყმანვილი, მგლის ლუკმა.

რუსული ტყის თარგმნაში ვტეხე ბევრი ღამე, მგონი მეცა აღქაჯი, მგონი შიშიც ვჭამე.

იმ დროს ტკბილად ვიგონებ, რომ ვიყენებ, ვხარობ, მიმქრალ ქორონიკონებს შთაგონების წყაროდ.

დღესაც გაკრთნენ ახლიდან ზმანებანი შორნი — თოკმობმული ძალღი და ესენინთან ჩორნი.

საგურამო

ანდრია ბედუკაძეს

მთა, ხევ-ხუვები, ტყე-ველი და მოთქრიალე არაგვი ჩემს თვალში ლამაზ სიზმრებად გაიელვებენ ოდესმე. ნუმც დაგვლევია სიუხვის და სილამაზის მარაგი, რა ვქნათ, თუ ჟანგი თვლემს ხმალზე, ხავსი სამარის ლოდებზე.

ჯერ სასიცოცხლო ძალები, რადგან მთლად არ ამოვწურე, ვფიქრობ, დავდივარ, არ ვგრძნობ, რომ ტიაღი სული ამომდის. მთელი არსებით ვისწრაფი, როგორც მექასკენ მორწმუნე, გეოგრაფიულ კი არა — სულიერ საგურამომდის.

ანტუან!..

მოდი, ვიგიჟოთ ერთად, ანტუან მე და შენ დღეს — ფეიერვერკი შედგეს: გაცოცხლდი ჯიბრზე მტერთა, სანამ სიკვდილის ზღვართან ფარისეველებით სავსე პარიზელების თავზე ციდან მოვადენთ ზღართანს.

მიუხედავად იმისა, მე რომ გავჩნდი იმისთვის — ლექსები ვწერო,

ბურთს შევხაროდი (ეს დღემდე მომდევს), ბურთს — დედამიწის ფიზიკურ მოდელს.

ვიყავი მსმელი და არა მთვრალი, სულ მყავდა ერთი ოცნების ქალი.

ვერა გთმობთ: ჭადრაკს, გონების საზომს, მამულის დარდო, მერცხლების ჯაზო.

ჩემი ცოლ-შვილის საფლავის ქვებო, თქვენით სიცოცხლე როდემდე ვკვებო.

მწუხრი დაიწყო, ქვითინებს მარო, სადღაც ჩატყდება წიგნების თარო.

საქართველოსი რა გითხრა, მაგრამ გორს დავაკლდები ძალიან მაგრად.

პეტიჰულების მცდელებს

ჩემს სამტროდ ვინც გაისარჯა, უსუსურნი ლოგიკით ხართ — თქვენ რომ ჩანხართ და ის არ ჩანს, ყველას დედებს მოგიკითხნამთ.

ისევე

წლები გადის და ისევ უცდის გოდოს ბეკეტი, მიწისძვრის შემდეგ ისევ ფეხზე დგას უზბეკეთი,

მერცხალი ჩვენთან ჭერზე ბუდეს ისევ იშენებს, ეკლესიაში ისევ ისმის: ღმერთო, მიშველე,

დვალი უსაზღვრო კოსმოსს საზღვრებს ისევ უხზავც და მისი ხალხი ისევ მღერის „მუმღი მუხასა“...

ოქროყანული

შვილიშვილებთან არ მღლის თამაში ახალ ბაბუას და ძველ პურიტანს.

მერე კი ვთარგმნი ოქროყანაში პოეტებს „ვერცხლის საუკუნიდან“.

აქედან ნაცნობ სივრცეთა მზირალს ხანდახან სევდის მანუხებს კოჟრი. მოგონებების ჰამაკში ვზივარ და სიო მარწევს შორიდან კოჯრის.

ჰორიზონტზე იზმორება დაისი ლელიანში მწოლი ვეფხვის ტყავივით. შენ გიყვარდა ყვავილები და ისიც — თვით რომ გერქვა ჩემი ბალის ყვავილი.

მგონი ვრჩები მარადიულ მოვალედ, რომ ვერ ვმოსავ პოეტური ემბლემით უფლის ხელით შემოხაზულ ოვალებს თვალებისა — ჩემი დამტირებლების.

პოეტი

არ სჭირდებოდა უნარი შოვნის, მკითხველის ქებით თამამდებოდა. ეკავა ქუდს და ქალამანს შორის მედიუმობის თანამდებობა.

მაგრამ დამთავრდა ოცდამეერთე საუკუნეში მედიუმობა. როგორც უმგზავროდ მომცდარ მეეტლეს, თუმცა ექცევა ბედი უღმობლად,

მაინც როდენის „კოცნას“ იჟინებს კაცობრიობის ბოლო იდეად, რაც უტვინოსთვის სკვითი ინჟინერ გარინის ჰიპერბოლოიდა.

სახლს, სადაც არვინ არ იცხოვრა, ქუჩას მეორე ხარისხოვანს, —

ადგილებს ჩვენთა პაემანთა შეხედე თუ რა დაემართა:

ჩაყლაპეს დიდმა შენობებმა და დავრჩით მე და შენ ობლებად.

გამქრალ მეორე ხარისხოვნებს გაპრდები — ტკბილად დავიხსომებ.

ჩემმა ზოგიერთმა ლექსმა, შოკი რომ მოჰგვარა მავანს, ფრთების მაგრძნობინა შესხმა, მარსთან სადაცაა ავალ.

ხალხო, ვიდაცისთვის შოკი თუა ჩემი ლექსი, რავი, ხომ არ გამომესკვნა თოკი, ხომ არ ჩამომეხრჩო თავი?!.

ჩამი გავშვოვის ფოტო

პირველყოფილ განაზებით გოგოსავით იყურები და თვალები ლამაზები სულაც არ გაქვს ბრიყვულები.

უკვე იტან ნორჩი ყურის ნიჟარაში შესულ კნავილს. არ გაგთვალო მოჩრისული — დათვი მჭლე და შენ მსუქანი!

ჰვილო!

ვერ ავწერ ენით, ო, გორიჯვარმა როგორ იჯავრა სიკვდილი შენი.


დილის თავსატახი

ეგებ მეცნო, ვინ იყო, ხმას რომ ჩავნედომოდი და დიდხანს მეყურებინა ბიბლიური წვერისთვის. მითხრა სუფთა ქართულით:

არ გასულხარ მოდიდან, რაც არ უნდა გენიოს, ნუ შეიცვლი წერის სტილს.

ამოავსე შენწილად პოეზიის ამბარი და არ გაანიავო ეს დოვლათი უღმობლად. შენ როსტომი დაგიდგენს ჯერაც დაუსტამბავი ბოლო დროის ლექსების ქრესტომათიულობას.

ჯუანშერ ტიკარაძე



სიახა ნასასვლელისა

ახალმოკლული ბალახის სისხლის სუნმა
აავსო მომაკვდავის პალატა
და სძლია წამლებისა და უსასობის სუნს,
საავადმყოფოს კედლებში შეზრდილს და
შეყვითლებულს.

ცოტა ხნით, ცოტა ხნით.

მერე კი,
ვიდრე საბოლოოდ დაკარგავდა გონს,
უკანასკნელადაც ამოიბუტბუტა ის,
რისთვისაც გამოესისხლბორცებინა იგი
ამ ორმოცდათხუთმეტიოდე წლის წინ
კლდეების გულისგან,
ცეცხლმოდებული ტყეებისგან,
მთის მსუსხავი ჰაერისა
და პურის მომყვანი წვიმებისგან
სამზეოსა და სამთვარეოს შემოქმედს:
„მუხთალო წუთისოფელო,
ტანჯული შვილი გშორდები,
თუ ვინმეს ვალი მიმყვება,
იქიდან გავუსწორდები“.

მუსათგჳარდი. მე და მერაბმა ხეები დავრგაით

ჯერ გავიდა ერთი წელიწადი,
ახლა — მეორეც.
შენს ძვლებს ზემოთაც ამოყარა მიწადმოქცეველმა
ხარბი სარეველა.

ჯერ მოტრიალდა ის პირველი წელიწადი,
ახლა — ეს მეორეც.
ზემოთ და ახლოს მოქუფრული ცაა ნოემბრის.
შორს და ქვემოთ — ნოემბრის მოქუფრული ქალაქი.

ჩხვლეტს სულს ჰაერი უხილავი ნარ-ეკლით,
მე კი
დღესაც მგონია, რომ აქ არ წევხარ,
სახლში ხარ ახლა, მე და მერაბს იქ გველოდები.

სულ ცოტაც, ცოტაც...
აი, მწუხრისკენ გადაქანდა უკვე ჩვენი დღე.
გადავა მზე და მე და შენი ქმარიც წამოვალთ
შენკენ.

და შენც დავგვხვდები, ძველებურად გაგვიმლი სუფრას,
მოიბოდიშებ, — სულ ესაა, რაც მოვასწარი.
მივუჭახუნებთ მე და მერაბი
სიცოცხლით სავსე ჭიქებს ერთმანეთს,
ფანჯრებს გარეთ კი ცხადს და სიზმარს
შეაბურდავს ერთმანეთს ქარი...

გოროტი ლეძისი

მე რომ ცოტას კიდევ გავიზრდები
და იმოდენა მოვიყრები,
რომ სულ მომიძაბუნდება
გული და გონება
და კუნთები
ისედაც არაჰერაკლესებრი
და ველარ გავივლი
ჯერ ხელჯოხით
მერე ჩოჩიალათი
ბოლოს კი საერთოდ
და ჩავვარდები

მაშინ მე შიგნიდან გამოვარდვევ ჩემს მძალე სხეულს
როგორც ფანტასტიკური არსების ჭუპრი არღვევს
ფანტასტიკურ ფილმებში
ლორწოვან გარსს
გარს შემოფლაშულს
და ამოვიყრი ხეშეშ ტყავზე დინოზავრის ქერცლს
და მოკაუჭებულ თითებზე
ჰარპიების კლანჭებს გამოვისხამ
და გრიფონის ნისკარტით დაგიკორტნით სათითაოდ
ჩემზე მოგონებებს
და განყევლინებთ გაჩენის დღეს მარტო იმიტომ
რომ გაგაჩინეთ

გზა — ფიქრს, ფიქრი გზას ველარ ალაგზნებს,
რჯულსაც არტყია ჩვევის გაღია.
მზე ძლივს მილოღავს ზეცის აღმართზე —
ალბათ წუხელაც ბევრი დაღია.
და არის ჟამი თვალღია რულის —
ყინულის სიცხით და ცეცხლის თოშით —
როცა სხეულმა დატოვა სული
და ჩაიკარგა ცოცხლების ბრბოში.

დღის საზრუნავში ჩაფლულები
ჩვენ ვიღვიძებთ ღამით.

ჩვენ ვიღვიძებთ ღამით
და ვპოულობთ ჩვენს თავს შეუცნობლის წინაშე
მარტოდ დარჩენილს.

ჩვენ გვეშინია.

კბილებზე რაკუნობს ჭიქა,
აკანკალებული თითებით პირთან მიტანილი,
მაგრამ ვერ გვამშვიდებს წყალი.

ჩვენ გვეშინია.

ჩვენ გვღვიძავს ღამით
და ღვიძავს ჩვენში დღისით შესაცნობს.

ღამის ღვიძილში იკანრებიან
ექვები უსახო და უსახელო —
ჩვეულ ჩარჩოებში ჩაუტყეველი.

ღმერთო, ღმერთო, ღმერთო, —
ვამბობთ ჩვენ გულის ბაგაბუგში —
ისე,
გულის დასამშვიდებლად.

ჩვენ გვეშინია.

ჩვენ ველოდებით, ველოდებით მზით გათენებას,
რომ, აჰა, ისევ ჩავიძინოთ დღის საზრუნავში.

არაკი სარკისა და ფოტოალბომისა

1.
ეს მე ვარ ამ ფოტოზე...
ამ ფოტოზეც — 19 წლის...
არ გჯერა, სარკევ?...
ალარც მე.
ექვ.
2.
ექვ,
ახლა ისევ მაგ სხეულში რომ დამაბრუნებდეს ვინმე...
19 წლის...
ჯანდაბას, 26 იყოს.
ოღონდ ამ ტვინით — არა.
არა, არა,
ამ ტვინით — არა.
ღმერთმა დამიფაროს ამ ტვინით.
მარტო ცუდ ქალებში თუ ვიკარგებდი ამ ტვინით.
კარგ გოგოებთან კი...
მადლობელი დავრჩებოდი
პირველივე იშვიათი ეგზემპლარის,
ვინც პირდაპირ სახეში არ შემომამთქნარებდა.

ნოემბრის ქუში
დაამძიმდა
მღვიძართა ძილქუშს.
მთხლე ნისლში ცივი მკვდრები დადიან.
დაგვისზმრება
სხვა ფიქრები
ნისლს იქით. იქ. უჰ,
თუკი დაუსხლტი ღვიძილს, ცხადია.
ეფლობა თვალი
ბაც ჭანჭრობში.
შლის წარსულს ღია.
ქუჩისპირს დუნე გასდევს ლელქაში.
რისია ეს ხმა?

რა ღანდია?
ამ შიშს რა ჰქვია?
ვინ შეეფეთა ნისლში ხელგაშლილ
ორეულს? — სიკვდილს
(დუმს სამყარო —
ქენჯნის მევალე:
სიცოცხლეს სევდა ჰქვია რამხელა).
აქ თუ დაეცი,
ვერც ადგები,
გადაგქელავენ.
თუ დაიჩოქებ — სხვებს გადაქელავ.
აი, დასცქერის
კოჭლი სული
მოღვენილ ქალაქს:
ჩირქში იხრჩობა ბეტონის მძორი,
დაღლილი დრო კი
მივინყებულ
სიტყვებში მალავს
ბენვს, ხიდად ჩამწყდარს ორ სოფელს შორის.
და მზე შორია...
შორია ცა,
მიწაც შორია!
უფლის ხმაც წყდება დღეების ღრუში.
მღვიძართა ძილქუშს,
კერპების ლიქნს,
მკვდრების ბორიალს
ნისლში აზავებს ნოემბრის ქუში.

ლღვება მზე,
როგორც პლასტმასის ვეება ფრისბი
და მისი შავი წვეთები შიშხინით ორთქლდებიან
ამყაყებულ ოკეანეში.

დღეა? ღამეა?
გარღვეულ ცაში არამინიერი ღანდშაფტი იღანდება,
ქრება, იღანდება.

ალარაფერია მყარი აქ,
ამ აღარსამყაროში —
მოყელატინო შენობები, ბორცვები, გზაჯვარედინები,
მანქანები ისე ლივლივებენ,
როგორც სპილენძისფერი ჰორიზონტი
ავგისტოს ბულში.

დილაა? საღამოა?
საფეთქელში,
ტვინში,
ხერხემალში გირტყამს ყურით
არასდროს გაგონილი ბგერების ნაკადი —
ლაპარაკი? მოთქმა? სიმღერა? —
თითქოს ძილ-ბურანში გაბღანდული
ცნობიერებიდან წამოსული.

გაბმული ამოოხვრით იხსნება მიწა
და უკულმა წვიმს გოგირდის თავსხმა
და ზედაპირზე ამოდიან ურჩხულები და აჩრდილები.
სკდება, ფეთქდება, ინგრევა, ქრება,
ჩნდება, უჩინარდება,

ისევ ჩნდება და ისევ უჩინარდება
ერთუროს ჩაზრდილი სასრული და უსასრულო
და მერე უცებ, ღამის უადგილოდ
(ან ეგებ — თავიდანვე),
ამ უსხეულო ზათქსა და სიჩუმეში
ჯერ მონოტონური დაჟინებით გაისმის,
მერე კი პედანტური სიზუსტით გათვლილი
ინტერვალებით მეორდება
და თანდათანობით ძალას იკრებს
სხვაქვეყნიური აკვიატებული მელოდია —
აქაური მალვიძარას აბეზარი რინგტონის მსგავსად...

იღვიძებს, იღვიძებს ის,
ვის მოუსვენარ სიზმარშიც ვარსებობდით.



ნვინიანი დღეების შემდეგ, როგორც იქნა, გამოიღარა. შენ კი ბუზღუნებდი, აღარ დაადგა საშველი გამოდარებასო. ცვალებადია სამყარო და იმიტომაც ლამაზი. წლები ადამიანს ადინჯებს, შენ კი უფრო და უფრო მოუთმენელი ხდები, სად გეჩქარება? ზედმეტია ეგ ფორიაქი. ჩემი ნების გარეშე ხდება ყველაფერი. არ მოდუნდე, იფიზლე. ნეტავ შეიძლებოდეს გონების გადატვირთვა, ქვეცნობიერში დაღეჭილი მიძინებული ფუჭი და დამაზიანებელი აზრების ამოშანთვა. მოგკლავს ოცნებები. მცდარი აზრების ტყვეობაში ხარ, შემართება გაკლია. უნდა გამოფიზლდე, ძმაო, უნდა გაილვიძო, უნდა გამოხვიდე დამლუპველი ფიქრების ტყვეობიდან. სად იპოვო სათანადო ძალისხმევა? ძალისხმევა რწმენაშია. უნდა გწამდეს, რომ გაიმარჯვებ. ხომ გაგიგონია, ყველა წინააღმდეგობა რწმენით დაიძლევაო. შეუეჭვებელი რწმენა გჭირდება, რომ ყველა წინააღმდეგობას დაძლეე და დაამარცხებ, მაგრამ რწმენის მოპოვებასაც დიდი ბრძოლა, შრომა სჭირდება. შენ კი ხელი ჩაგიქნევია, მოწყენილობის ჭირსაც ეგუები, რომელიც მახრჩობელა გველივით ნელ-ნელა გთანგავს. ისიც კარგად იცი, რომ მარტო ამ ბრძოლაში მაინც ვერ გაიმარჯვებ, თუ ზეციური შემწეობა არ გექნა. ერთი სწორი გზა უნდა აირჩიო, ერთადერთი — ღვთის გზა ეს გზა.

ამას წინათ ქუჩაში ხეტიალისას ნაცნობ რედაქტორს გადაეყარე — გაგიხარდა, მიიკითხ-მოიკითხეთ ერთმანეთი და ნელი ბაასით გააგრძელეთ გზა.

— რამდენი ხანია, ჩემთვის არაფერი მოგიტანია, — გისაყვედურა რედაქტორმა, — რაღაც ახალი მინდა, განსხვავებული. ხომ ხედავ, წიგნმა მკითხველი დაკარგა.

— ჩემ ასაკში რა უნდა დავწერო ისეთი ორიგინალური, შენს ჟურნალს მკითხველი რომ გავუზარდო? — უპასუხე შენ.

— ასაკს ეგრე ალმაცერად ნუ უყურებ. შენც კარგად მოგხსენება, მცოვანების ასაკში რა შედეგები შექმნეს გოეთემ, ჰიუგომ.

— ხუმრობ რაღა.

— არა, მთელი სერიოზულობით გეუბნები. ჰონორარსაც კარგს მოგცემ.

— მოდი, თუ ძმა ხარ, ოცნებებს შევეშეათ. ბალის ბოლოს სახინკლეა. შევიდეთ. ხინკალი, ცივი ლუდი და ცოტა არაყი სხვა განზომილებაში გადაგიყვანს...

მეგობრებმა გეზი სახინკლისკენ აიღეს.

— იფიქრე ჩემს წინადადებაზე, — მზარზე ხელი მოუთათუნა რედაქტორმა...

— რაო, განსხვავებული? — ფიქრობდა გიორგი და წინვოვანი ტყის ბილიკს მიუყვებოდა. მთის ჯანსაღ მკურნალ ჰაერს ნება-ნება ისუნთქავდა, შეჰყურებდა ცამდე ატყორცნილ წინვოვან ხეებს, რომლებიც ქარის ოდნავი დაბერვისას ნაჯაფარი კაცივით სუნთქავდნენ, თითქოს ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ.

შვილებმა დაბადების დღესთან დაკავშირებით საჩუქარი მოუმზადეს — საგზური მაღალმთიან კურორტზე. ზაფხული ჯერ კიდევ არ იყო კარგად შესული ძალაში, მაგრამ ქალაქში უკვე შემანუხებლად ცხელოდა. აქ კი სასიამოვნოდ გრილოდა. გრილოდა კი არა, ხანდახან გვარიანად ციოდა.

გათენდებოდა თუ არა, გამოდიოდა საცხოვრებლიდან და ადგილმდებარეობას სწავლობდა. იმ დღესაც ჩვეულებისამებრ მიუყვებოდა გზას. გზის ერთ მხარეს — ფერდობს შეფენილი ტყე, გზის მეორე მხარეს — საცხოვრებელი კომპლექსი, იმის მიღმა — ისევ უკიდევანოდ გამწვანებული, მათ ზემოთ კი — უმცენარო, მოტიტვლებული, მრგვალთავიანი მთები, რომელთა ხევ-ხუევებში ჯერ კიდევ შემორჩენილიყო უბინოებადკარგული თოვლი. ძალიან აინტერესებდა ტყის მცენარეები. ფიქრობდა, ადგილობრივებს დავეკითხებო.

დაჭედლი (ცხენების თქარათქურმა უკან მიახედა, ახალგაზრდა მხედრები თოხარიკით მიუყვებოდნენ მოასფალტებულ გზას და ერთმანეთში მხიარულად საუბრობდნენ. როგორც შემდეგ გაარკვია, პატარა ბიზნესი ჰქონიათ და გარკვეული გასამრჯელოს ფასად დამსვენებლებს ასეირნებდნენ. განსაკუთრებით ბავშვებს უხაროდ-ათ ცხენზე შეჯდომა. დინჯი, თვინიერი ცხენები იყვნენ. ზუჭუჭა, გრძელთმიანმა ბიჭმა, რომელსაც ნავარდისას ისე გაჰბურძგნოდა თმები, რომ თვალები თითქმის აღარ უჩანდა, ცხენი შეათამაშა და ხალისიანად ჰკითხა:

— ხომ არ გაისეირნებდი?

— ნამეტანი დინჯია მენი ცხენი, მე უფრო ფიცხელი ცხენები მომწონს, — უთხრა ღიმილით.

ახალგაზრდამ ცხენი შეაჩერა და დაკვირვებით შეათვალიერა ქალარა კაცი, მერე გულიანად გადაიხარხარა:

— ვაფასებ, ბაბუა, თქვენს იუმორს. ისე, ეგეთი ცხენებიც გვყავს, იმედია, ისევ შევხვდებით, — მერე ბიჭმა წინ მიმავალი მხედრებისკენ გაიხედა, ლაგამი მიუშვა, ცხენს მსუბუქად ჰკრა დეზი და წაჰაბ-წკუპით გაეშურა თანატოლებისაკენ.

ცხენოსნები ჩოროთი გაუდგნენ გზას. ამხედრდით, აბო, ამხედრდით. ჩემი ხნის კაცის ამხედრება იქნება? რომ გადმომაგდოს, ხომ მომიჭრა თავი. აბა, იმას ხომ არ ვეცყოდი, შევშინდიო. ისე, შეიძლება, მოსინჯოს კაცმა. წინაპრები ლამის კუბოს

როლანდ გიორგაძე

ოზობას ქსელივითაა დასერილი სამყაროს გზები



კარამდე მისულნი დააგელვებდნენ ცხენებს, იმიტომაც იყვნენ გამართულნი და ჯანმრთელები.

მოსახვევს რომ გაცდა, გზის პირას ჩამოშვდარი მოსაუბრე კაცები შენიშნა.

— კაი გამარჯობა, მეგობრებო! — მიესალმა ღიმილით.

კაცები წამოიწივნენ და გამარჯობას გამარჯობით უპასუხეს.

— როგორც გეტყობათ, ადგილობრივები ბრძანდებით. შეკითხვა მაქვს თქვენთან. თუ ნამეტნავად არ შეწუხდებით, იქნებ მიპასუხოთ, — დაიწყო მორიდებით, — გათენდება თუ არა, სიხარულით და აღმაფრენით შევცქერი ამ სილამაზეს. ეუსმენ ცამდე ატყორცნილი ხეების ჩურჩულს. წარმოგიდგენიათ, თითქოს მესაუბრებიან, მაგრამ სამწუხაროდ არ მესმის მათი ენა. იქნებ გამარჯობით, რა სახეობის მცენარეებია ამ ტყეში.

პატარა ღუმილის შემდეგ ფეხზე წამოიშალნენ. ერთმა მათგანმა ცოტა გაკვირვებით შეხედა, მერე ტყისკენ გაეცა მზერა და თქვა:

— მაგ საქმეში იმედა თუ დაგეხმარებათ. ხის ოსტატია, შეიძლება ითქვას, დურგალი, შეიძლება ითქვას, ხის მხატვრულად დამმუშავებელი.

იმედას სინითლემ გადაჰკრა სახეზე, თითქოს დაიმორცხვიაო:

— აბა, რა გითხრათ, პროფესიით მძლოლი ვარ, მგზავრები გადაამყავს უბნიდან უბანში. ხეზე მუშაობა კი ჩემთვის გატაცებაა. ყველაფრის მცოდნეობას ვერ დავიჩემებ, მაგრამ რაც ვიცი, იმის შესახებ შემიძლია, მოგიტხროთ. როგორც ხედავთ, აქ ძირითადად წინვოვანი ტყეა: ნაძვი, ფიჭვი, სოჭი, არის აგრეთვე ფოთლოვანი მცენა-

რეები — მუხა, ნიფელა, მურყანი, რცხილა, ნეკერჩხალი და კიდევ სხვები, რომელთა სახელები, სამწუხაროდ, არც მე ვიცი. რაც უფრო მაღლა აუყვებით მთას, წინვოვანთა და ფოთლოვანთა საფარი მცირდება, მათ ადგილს კენკროვანები იკავებენ: ჭანავი, ჯახველა, ქალაქელები ძახველს ეძახიან, მისი ნაყენი უებარი წამალია ხველებისას. როცა ნაყოფით დაიხუნძლება, არაფერი სჯობს მის ნახვას, განსაკუთრებით მაშინ, როცა დაათოვს. ანთილებული მორცხვი ქალწულებივით იმზირებიან თოვლის საფარიდან. ნაყოფი ცოტა მჟავა, მაგრამ ძალზე არომატული. ასევე შეხვდებით მოცვს და თხილს. ხო, კიდევ დეკა, კინალამ გამომრჩა, მის ფოთლებს ჩაისავით ვაყენებთ.

ძალზე ენაწყლიანი, კეთილმოსურნე ადამიანი აღმოჩნდა იმედა. როგორც ჩანდა, გულმართალი და ალალი კაცი იყო.

— იმედა ბატონო, იქნებ დამდოთ პატივი და ამიხსნათ, რომელია სოჭი, არასდროს მინახავს.

— მაგაზე ადვილი რაა, — იმედამ გაიცინა, კარგი ნაცნობივით ხელი გამოსდო და საცხოვრებელი კომპლექსისკენ გაუძღვა, — ეს წინვოვანები კარგა ხნის გადმორგულია. აბა, დააკვირდი, მდინარეზე გადასვლისას კაბაკალთავებული ქალებივით რომ აუეცავთ ტოტები, ნაძვებია. ესენი ფიჭვებია — ნახე, როგორი ტოტები აქეთ, ოდნავ დაშვებული, მაგრამ მაინც ჰორიზონტალური, სახლზე გადმოკიდებული აივნებივით. ეს კი სოჭია, თანაც ვერცხლისფერი, ნითელ წიგნშია შეტანილი. მის გვერდით რომ დგას, გეც სოჭია, ოღონდ მწვანე ფერის. განსხვავება მხოლოდ ფერშია. ფიჭვი და სოჭი ძალიან ჰგავან ერთმანეთს, წინვის სიგრძეშია განსხვავება. ფიჭვებს შეიძლება ოდნავ გრძელი წიწვები ჰქონდეთ. ნაძვი და ფიჭვი მერქნის აგებულებითაც განსხვავდებიან. ფიჭვის კანი დახეთქილი და ღარიანია, ნაძვის — მთლიანი, ღარების გარეშე. დურგლებს ნაძვი ურჩევნიათ სამუშაოდ, უფრო მყარია და დიდხანს ძლებს. სოჭის მერქანი კი უფრო რბილია. ამდენი ხანია, ვსაუბრობთ, კარგი იქნება, თუ ერთმანეთს გავიცნობთ.

— გიორგი, ჩემო ბატონო.

— ჩემი სახელი კი უკვე იცით. მე, ნელანაც ვთქვი, ავტობუსის მძღოლი ვარ. თუ დრო გაქვთ, შემიძლია, ეს პატარა დაბა შემოგატაროთ.

— მადლობის მეტი რა მეთქმის, ოღონდ ორიოდ ნუთით სახლში ავირბენ.

— ათი ნუთი კიდევ მაქვს დგომის დრო, — თქვა იმედამ.

გიორგი აჩქარებული ნაბიჯით, ილღია-

ში წიგნამოდებული, დაბრუნდა. მგზავრები ავტობუსში ჩასხდნენ. იმედა გზადაგზა აჩვენებდა დასახლების ღირსშესანიშნაობებს. გიორგის უკვირდა ცხენიანი ეტლების სიმრავლე, აგერ შეკაზმული ვირიკი გამოჩნდა, რომელზეც ხუთიოდე წლის ბიჭი შემოსკუპულიყო.

— გიორგი ბატონო, ეს არის ცენტრი, აქვეა ბანკი, აგარული ბაზარი, აფთიაქები და სხვადასხვა სავაჭრო ობიექტი.

ბანკის წინ ხალხის ჩოჩქოლმა მიიქცია გიორგის ყურადღება. შემადლებული ადგილიდან ვილაც კაცი ხმამაღლა ლაპარაკობდა. ხან მარჯვნივ გაიქნევდა ხელს, ხან — მარცხნივ, ხან შეჰყვირებდა და ხან დინჯად ლაპარაკობდა.

— იმედა ბატონო, ვფიქრობდი ქალაქის მიტინგობანას დავაღწიე-მეთქი თავი და აქაც მიტინგი?

— არაა ეს მიტინგი, გიორგი ბატონო. ერთი უცნაური კაცია, არ უნდა იყოს მთლად დალაგებული, თითქმის ყოველდღე დასაქ, ლექციებს უტარებს აქ მყოფთ. მიეჩვია ხალხი და აღარ აქცევენ ყურადღებას.

კაცმა არ იცის, საიდან ჩამოეხეტა, სახელიც კი არ ვიცით, ყველა მათხოვარს ეძახის, მათხოვრობით გააქვს თავი.

ავტობუსმა დაბას შემოუარა და გიორგის საცხოვრებელთან გაჩერდა. სანამ ჩავიდოდა, მძღოლს წიგნი გაუწოდა:

— ეს თქვენ ჩემგან საჩუქრად.

იმედამ წიგნი გამოართვა, ყდას დახედა და ავტორის გვარი და სახელი წაიკითხა.

— ეს ხომ თქვენ ხართ? — იმედამ ხელები გაშალა და სახეგაბადრული შეაცქერდა. გიორგის გაეღიმა, — ახლა ყველაფერი ნათელია, კი გამიკვირდა ამდენი კითხვები. ჩემს ცხოვრებაში პირველად ვესაუბრები ცოცხალ მწერალს. მიგულეთ თქვენს მეგობრად. მე დღეგამომგებით ვმუშაობ, აქაური ვარ, ნებისმიერი საკითხის მოგვარებაში დაგეხმარებით, გაგაცნობთ ჩემს მეგობრებს და შეგასწავლით არა მარტო ტყეს, არამედ მათ ბინადრებსაც. დროებით, გიორგი ბატონო.

— არავეთარი ბატონო, უბრალოდ გიორგი, — ავტობუსიდან ჩადიოდა, ზურგს უკან იმედას ხმა რომ მოესმა:

— რას გაიხარებს ჩემი პედაგოგი ცოლი?! წიგნები მაგას უყვარს თუ უყვარს. არ დამიჯერებს. სახლში რომ მიგიყვან და თავზე დაგაყენებ, მერე ხომ დაიჯერებს.

გახალისებული გიორგი სახლისკენ გაემართა. სანამ კიბეს აუყვებოდა, ცას ახედა, ნისლი ცხვრის ფარასავით ეშვებოდა ხეობაში.

ღილით გიორგიმ გადანყვიტა, ფეხდა-ფეხ შემოევლო და დაეთვალიერებინა დაბა. სახლიდან გავიდა და მოასფალტებულ გზატკეცილს გაუყვა. დიდი ქალაქის თავბრუდამხვევ რიტმსა და გუგუნს თავდაღწეული გახალისებული მიუყვებოდა პატარა დასახლების ქუჩებს. ათვალიერებდა სახლებს, გამვლელ-გამომვლელებს, არავის არსად ეჩქარებოდა. გაოცება გამოიწვია უცხოელების სიჭარბე, განსაკუთრებით შაოსანმა ჩადრიანმა ქალებმა. სამოთხესავითაა ეს ქვეყანა, ყველა აქეთ მოისწრაფვის, მტერიც და მოყვარეც. თვალში გეცემოდა შენობებზე გაკრული მსუსხავი აბრები — იყიდება, იყიდება, იყიდება. ვაი, ჩემო თავო, რავა ყველაფერი იყიდება ამ ღვთივკუროთხეულ მხარეში.

თავქვე დაუყვა ქუჩას, ფიქრობდა, ბაზარში შევივლი და ხილს გავიყოლებო. ბაზარს იქით, ბანკის შენობასთან, შეჯგუფებული ხალხი შენიშნა და ცნობისმოყვარეობამ იქით გადაადგმევინა ფეხი. ბანკში შესასვლელი კიბის ბოლო საფეხურზე იდგა საკმაოდ შელანძლულსამოსიანი, წვეროსანი, ჭარმაგი, მხრებგაშლილი, შეხედული მამაკაცი და ხალხს ესაუბრებოდა ხან დინჯად, ხანაც — გაცხარებით. ახლოს მივიდა, თვალეში შეაცქერდა. ორატორმა დაჟინებული მზერა იგრძნო და ჭალარაშერეული წარბების ქვემოდან თაფლისფერი, გაცი-სკროვნებული თვალები შეანათა. მისმა მზერამ გიორგი თითქოს გააშეშა, ყველა ძარღვი და კუნთი დაეძაბა. თვალმოუშორებლად უცქერდა უცნობი, მერე ირგვლივმოყვარე მზერა იგრძნო, ბოლოს ზეცას ახედა. გიორგიმ თავბრუსხვევის მაგვარი იგრძნო, მერე თითქოს თვალზე ლიბრიც გადაეკრა, მხოლოდ ხმა ესმოდა საიდანაც, მიღმიერიდან. მომწუსხველი, მომაჯადოებელი, ხავერდოვანი რბილი ხმა. ყურში გალობასავით ჩაესმოდა:

— ფილოსოფია სიბრძნის სიყვარულს,

ასეც შეიძლება ითქვას, სიბრძნის მოყვარ-ეს ნიშნავს. ასე გვასწავლიდნენ — ფილო-სოფია მეცნიერებაა, მსოფლმხედველო-ბაა, იდეებისა და შეხედულებების სისტე-მაა სამყაროზე და მასში ადამიანის ადგილ-ზე.

გაოგნებული გიორგი ვერასოდეს წარ-მოიდგენდა, თუ ქუჩაში მოისმენდა ლექც-იას ფილოსოფიაზე და ის ასეთი სასიამოვნო მოსასმენი იქნებოდა.

კაცი აზრებით დახეტილობდა მიწიდან ზეცისკენ და უკან — ხან დალაგებულად, ხანაც ჭკუაარეულივით. როდის-როდის დაუბრუნდა სააქაოს და ახლა დიალექტი-კაზე დაიწყო საუბარი:

— მეგობრებო, დიალექტიკა არის მსჯე-ელობა, კამათის ხელოვნება, მოძღვრება განვითარების შესახებ.

ხალხის მცირე ჯგუფი უგულისყუროდ უსმენდა, ზოგიც ოხუნჯობდა, ისევ შეუბე-რა თავისებურადო. ზოგმა ხელი ჩაიქნია და იქაურობას გაშორდა. ერთმა შუახანს მი-ტანებულმა გლეხმა, რომელიც ვირს ამოს-დგომოდა გვერდით, თანაგრძნობით თქვა:

— ისევ გარეკა ამ უბედურმა. ხან ისეთ სიბრძნეს წამოისვრის, გაცოცებისგან თვა-ლები შუბლზე აგიავ, ხან კი ისეთ სისულე-ლეს დააბრეხვებს, მისი საცოდაობით შეძ-რულს ტირილი მოგინდება. სადაც კი ორ-სამ კაცს ნახავს ერთად, ასეთ გაურკვეველ თემებზე ბუუტურობს.

მოედანი თითქმის დაცარიელდა, გიორ-გი ახლოს მივიდა მოქადაგესთან და როდე-საც მომხსენებელმა რაციონალიზმზე დაი-წყო საუბარი, მოედნიდან საერთოდ გაიკ-რიფა ხალხი. უცნობი დადუმდა, შეყოვნდა, მიიხედ-მოიხედა. მის წინ ერთადერთი ად-ამიანი იდგა. გიორგი მოკრძალებით შესც-ქეროდა უცნობს, რომელსაც თვალები ხან აემღვრეოდა და ხანაც ისე გაუცისკროვ-ნდებოდა, მთელ სამყაროს დაინახავდი მა-სში. მერე რაღაც არამინიერმა ღიმილმა დაუფარა სახე, კიბის საფეხურები დინჯად ჩამოიარა, გიორგის მიუახლოვდა, ხელი გა-უწოდა, კეთილი თვალები შეანათა და უთხ-რა:

— გამარჯობა, მეგობარო.

გიორგიმ ხელი შეაგება და უცნობის მა-ნთივით გავარვარებული ხელი მუჭში მოი-ქცია. დენის დარტყმას ჰგავდა შეხება, ჟრ-უანტელმა თავიდან ფეხებამდე დაუარა. წუთის შემდეგ უცნობმა ხელი გაითავისუ-ფლა და გიორგის რამდენიმე ნაბიჯით გას-ცდა, მერე შეყოვნდა, მობრუნდა და ჰკი-თხა:

— თუ გცალიათ, პატარა გავიაროთ.

გიორგის გაეღიმა:

— ჩემზე მოცლილი ახლა ეს ნაძვის ხეც კი არაა.

— მოცლილი ნაძვის ხე? — უცნობს ღი-მილმა დაუფარა სახე, მერე კი ისეთი გადა-იხარხარა, გამვლელების ყურადღება მი-იქცია.

ერთხანს უბრად მიდიოდნენ. ქარიშხ-ლიანი ფიქრები მიჯრით იჭრებოდნენ გიო-რგის თავში — ნეტავ ვინ არის? მგონი, ჰიპ-ნოზიორია, აბა, რანაირად მიმაჯაჭვა ერთ ადგილს?! უცნობმა თვალი შეავლო, თითქ-ოს მიუხვდა ნაფიქრალს. სასაუზმეს ჩაუა-რეს, მადისალმძვრელი სურნელი ქუჩას მო-სდებოდა. უცნობმა ფეხი შეანელა, გიორგ-ის გვერდიდან გახედა და მორიდებით ჰკი-თხა:

— თუ გაქვთ საშუალება, ორი დღის უჭ-მელი ვარ.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, — მღე-ლვარებით უთხრა გიორგიმ.

შევიდნენ სასაუზმეში და მაგიდას მიუ-სხდნენ. მალე ახალგაზრდა, მოხდენილი მიმტანი გამოჩნდა.

— რას მიირთმევთ? — იკითხა მიმტანმა და გაკვირვებული თვალებით შეათვალიე-რა უცნობი.

გიორგიმ არჩევანი უცნობს მიანდო, რომელმაც თხოვნით უთხრა:

— თუ შეიძლება, ერთი ბოთლი ნითელი ღვინო.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, — დაბ-ნეულად თქვა გიორგიმ.

უცნობმა ყურადღებით შეათვალიერა მომხმელელი გოგონა:

— არაფერი ისე არ ამშვენებს სამყარ-ოს, როგორც ქალთა მოდგმა, ამოუცნობი ფენომენი. კაცი კი არ შეიქმნა ქალისათვის, არამედ ქალი კაცისთვის — პავლე მოცი-ქულის ეპისტოლე კორინთელთა მიმართ, თავი მეთერთმეტე, მუხლი თერთმეტი.

„ნეტავ ვინ არის ეს უცნაური კაცი? რა-

ღაც გამოცანას მიწყობს წუთისოფელი, ზედისწერაა თუ შემთხვევით გადავეყარე?“ — გაიფიქრა გიორგიმ.

მას შემდეგ, თითქმის ყოველდღე, დაბ-არებულებივით ხვდებოდნენ ერთმანეთს ბანკთან. ხუთი კაცი მაინც რომ ყოფილიყო, უცნობი ორატორობას იწყებდა. განსაკუთ-რებით ფილოსოფიურ და რელიგიურ საკი-თხებზე მსჯელობდა. დაიწყებდა დინჯად, პატარა ხანში კი სრულიად განსხვავებულ განზომილებაში აღმოჩნდებოდა. ამ დროს იგი მინიერს აღარ ჰგავდა, თითქოს არც იყო მინაზე, თითქოს ეს სამყარო უკაცრიე-ლი იყო მისთვის. როდის-როდის დაბრუ-ნდებოდა, მიანათებდა გიორგის სიკეთით სავსე თაფლისფერ თვალებს და მორიდებ-ით ჰკითხავდა, შენც აქ ხარო? გიორგი შე-პყრობილივით დადიოდა. არავინ და აღა-რაფერი აინტერესებდა, გარდა ერთისა, ამოეცნო ეს იღუმალი პიროვნება, ერთ წუ-თს ზეცნობიერი არსებასავით რომ საუბრ-ობდა და წამის მერე ჭკუაზე გადასულივით იქცეოდა.

იმ დღეს, მორიგი გამოსვლის შემდეგ, გიორგის ხელი გამოსდო და ჩვეულებისა-მებრ სასაუზმისკენ გასწიეს. ჩამოსხდნენ. კაცმა კითხვაჩაბნებარი თვალები მიანათა გიორგის და ჰკითხა:

— რატომ ერთხელაც მაინც არ მკითხე, ვინ ვარ? — პასუხს არ დალოდებია და გა-ნაგრძო, — ვაფასებ შენ თავშეკავებას და მოთმინებას, — ფეხზე წამოინია, გიორგის ხელი მხარზე მეგობრულად მოუთათუნა და უთხრა, — ახლა კი ჩემთან წავიდეთ.

— ჯერ გვესადილა.

— არა, დღეს მე გიმასპინძლდები.

გაუყვნენ ქუჩას, გაცდნენ ორსართუ-ლიანი სახლების მწკრივს. გიორგი შეყოვნ-და, მის წინ მხოლოდ ტრიალი მინდორი გა-დაშლილიყო.

— მეგობარო, რატომ შეყოვნდი?

— სად მივდივართ? — გიორგიმ გულუ-ბრყვილოდ იკითხა.

უცნობმა წინ გაიშვირა ხელი. გიორგიმ ტყის პირას რაღაც შენობა შენიშნა. კარგა ხანს იარეს და ბოლოს უცნაურ ნაგებობას მიაღწენენ.

— აი, ეს არის, მეგობარო, ჩემი სახლი, — თქვა უცნობმა ხარხარით და ღვარად მომსკდარი ოფლი ხელუკუღმა მოიწმინდა.

გიორგი სახტად დარჩა. ეს იყო საბძე-ლი, ნალია, ბოსელი, თავლა — ყველაფერი, ოღონდ არა სახლი, რომლის უკანა ნაწილი ტყის სიღრმეში იყო შეჭრილი.

— როგორ მოგწონს, მეგობარო?

გამოაფხიზლა უცნობის ხმამ და სანამ პასუხს გასცემდა ფარღალალა ფიცრულის კარი ჭრიალით გააღო.

— შემოდი, შემოდი, სტუმარი ღვთისაა.

გიორგი შევიდა. ნახევრად ბნელოდა, მხოლოდ ჭუჭრუტანებიდან ირიბად შემოჭ-რილი მზის სხივები ანათებდა საცხოვრისს. ორი რკინის საწოლი, შუაში მაგიდა, ორი სკამი. კედელზე მიჭედებული, ხის ყუთის თავზე შემოდგმული ნავთის ლამფა და ია-ტაკზე მიმოფანტული წიგნები. ისევ ხმამ გამოაფხიზლა:

— დაჯექი, დაჯექი.

გიორგიმ სკამი გამოაჩოჩა და ფრთხი-ლად ჩამოჯდა. უცნობიც ჩამოჯდა. ღრი-ჭოებიან მაგიდაზე საქმელი ელაგა. შუაში მრგვალად მოხარშული დედალი, გარშემო ხაჭაპურები, დანამული დოქი, მწვანილი, კიტრი, პამიდორი, ნიგეზიანი ბადრიჯანი და ორი ბორჯომის ბოთლი. უცნობმა გიო-რგის გაკვირვებულ სახეს რომ შეხედა, კე-თილად გაუღიმა.

— მოთმინება, მეგობარო, მოთმინება. სიმშვიდისა და მოთმინების წინაშე ყველა-ზე ბოროტი ძალაც კი უძლურია. რა თქმა უნდა, ჩემი სახელი გაინტერესებს, — ცოტა ხანს შეყოვნდა, მერე გაიღიმა და განაგრ-ძო, — ისე, სახელს რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, სახელს მიღმა რა იმალება. ჩემი სახელი მათხოვარია, ასე მიცნობს ყველა.

„ჯერ კიდევ არ მენდობა“ — გაიფიქრა გიორგიმ.

— ისე, ყველანი ღვთის გლახები ვართ, ხელი ღვთისკენ გვაქვს გაშვერილი. ორაზ-როვანი მსჯელობა, დედამინის ზურგზე ჯერ არ დაბადებულა ადამიანი, ბოლომდე გულწრფელი რომ იყოს. დაველოდები, დრო ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს, — მათხოვარი განაგრძობდა, — ყველაზე რთული ადამიანის ბუნების შეცნობაა. რამ-დენ მეგობარს უღალატია, რამდენს კრი-ტიკულ მომენტში შეუქცევია ზურგი. ზი-რაქი ამბობს: თუ მეგობრის შეძენა გასურს,

განსაცდელში შეიძინე და მყისვე ნუ მიენ-დობიო. ერთგული მეგობარი მტკიცე სიმ-აგრეა, მისი მპოვნელი საგანძურის მპოვ-ნელიაო, — თქვა და დადუმდა. მერე ფეხზე წამოდგა, შუბლშეჭმუნხილმა ფრთილი ნაბიჯებით გაიარ-გამოიარა, სადღაც უსი-ერში ქროდა მისი გონება. შემდეგ ისევ ჩა-მოჯდა და შუბლიდან საავერო ღრულები გადაყრილი დიდხანს ღიმილშეპარული სა-ხით მიაჩერდა გიორგის. მტანჯველი დუ-მილის შემდეგ, როგორც იქნა, ხმა ამოიღო, — ამბიციურ და პატივმოყვარე ადამიანს მეგობრობა არ შეუძლია. ჭკვიანი კაცი ყო-ველთვის მოერიდება ქებისმოყვარე და მა-ქებარ ადამიანს.

„ნეტავ რას ელის ჩემგან?“ — ძლივს მო-ასწრო გიორგიმ გაფიქრება, უცნობმა გუ-ლთამხილველივით რომ თქვა:

— გაკვირვებული თვალებით მიყურებ, ცალკერძ შიში გაგკრავს ხოლმე გულში, ცალკერძ ცნობისმოყვარეობა გკლავს, თუ ვინ ვარ — მინიერი არსება, თუ მოჩვენება. ჰა, რას მეტყვი, გიორგი? — შეყოვნდა, თი-თქოს პასუხს ელოდა, წამის მერე კი დასძი-ნა, — არც ერთი შენი პასუხი არ იქნება ჭე-შმარიტებასთან ახლოს, მე თვითონაც არ ვიცი, ვინ ვარ. ისიც ვერ ამიხსნია, რატომ დაგიახლოვდი, მაგრამ იმას კი ვგრძნობ, შენი გამოჩენით ჩემში რაღაც რომ შეიცვა-ლა. წუთისოფელი ამოუცნობი მოვლენე-ბითაა სავსე, ჩვეულებრივმა, თითქოსდა უმნიშვნელო შემთხვევამ, პატარა დეტალ-მა შეიძლება, მთელი შენი მომავალი ცხოვ-რება განსაზღვროს, შეცვალოს და ამოატ-რიალოს. ათი-თერთმეტი წლისა ვიქნებო-დი, ერთ საღამოს მეზობლის მეათეკლასე-ლი გოგო დედაჩემთან რომ მოვიდა და უთხრა, მარტო ვარ სახლში, ღამით მარტო დარჩნის მეშინია და იქნებ შენი შვილი გა-მოუშვა ჩემთანო, ხნის გამცემი რომ მეყო-ლება, აღარ შემეშინდებოა. ჩვენთან დარჩ-იო, უთხრა დედაჩემმა. არა, სახლს მარტო ვერ დავტოვებო. დედაჩემმა მითხრა, აბა, შენ იცი, ტარიელ მკლავაძე, გოგოს ვინმემ ბუზი არ აუფრინოსო. ნათქვამისთვის ყუ-რადღეზე არ მიმიქცევია და მეზობელს გავე-ყვიე. ყველაზე მეტად რამაც გამაკვირვა იყო ის, რომ იმ ღამეს იმ გოგომ თავისთან დამიწვინა. მე მალე დამეძინა. ხანდახან უჩ-ვეულო შეხება გამომადვიძებდა ხოლმე, მაგრამ მალევე ვიძინებდი. ის ღამეც ჩვეუ-ლებრივად გათენდა, როგორც სხვა ღამეე-ბი გათენებულა. ვითომ არაფერი, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ უცნაურობები დამეწყო, რაღაც შეიცვალა ჩემში. თითქოს ვიღაც სხვა ჩამისახლდა სხეულში. დანო-ლისთანავე ვიძინებდი, მერე ვდგებოდი და დავდიოდი. თითქოს ამაში უჩვეულო არა-ფერია, მაგრამ მე მძინარე დავდიოდი. ასეთ ადამიანებს მთვარეულებს ეძახიან. შეწუხ-დნენ ჩემები და ექიმთან წამიყვანეს. დიდხ-ანს მიკვლევდნენ და ბოლოს, როგორც იქ-ნა, დიაგნოზი დასვეს — „ღიონცეფალური პაროქსიზმები“. ფიზიკურად კი ვიყავი მი-ნაზე, მაგრამ ჩემი სული სად დაეხეტებო-და, ამის ახსნა მე არ შემიძლო, ყველაფერი ბურუსში იყო გახვეული. თითქოს რაღაც უსხეულო და უფორმო არსებებს ვხედავ-დი, რომლებიც არაფერს მეუბნებოდნენ. საკვირველი ის იყო, რომ არ მეშინოდა. ად-ვილად შემძრობოდი, სხეულს ვერ ვგრძ-ნობდი, თითქოს უწონო ვიყავი. მოვლენებ-ის აღქმას ვერ ვასწრებდი, რომ რაღაც ძა-ლა მალვიძებდა. და კიდევ ერთი, იმ ღამის შემდეგ გამიჩნდა გაუცნობიერებელი ინ-ტერესი გოგონებისადმი. ასაკთან ერთად ლტოლვა და ინტერესი საწინააღმდეგო სქე-სის მიმართ სულ უფრო მიმძაფრდებოდა. შეხედული, წარმოსადგეი ახალგაზრდა კა-ცი ვიყავი, გოგოები ადონისს მეძახდნენ — გეცოდინებათ, მამაკაცური სილამაზის ეტალონი ბერძნულ მითოლოგიაში. შინა-განად ძალზე მორცხვი ვიყავი და დიდ ყუ-რადლებას მათ მიმართ არ ვიჩენდი. ამის გამო ბევრი ფარულად თუ ამკარად მტრო-ბდა. ერთ საღამოს ბაბუამ მითხრა — შენ, ბაბუა, მოხდენილი ვაჟკაცი ხარ და ქალებს მუდამ დააინტერესებ. უნდა გახსოვდეს, ღმერთმა ერთი ქალი გვიბოძა თანამეცხე-დრედ. შეურყვნელად უნდა შეინახოს სარე-ცელი კაცმაც და ქალმაცო. ბოლო კლასებ-ში ფიზიკა-მათემატიკამ გამიტაცა, შემდეგ-ომში ფილოსოფიამ და რელიგიამ. ღამეულ სიზმრებს, მოჩვენებებს, დაუცხრომელ ლტოლვას საწინააღმდეგო სქესისადმი სწავლით და ფიზიკური ვარჯიშით ვთრგუ-ნავდი. ეს ყველაფერი არაადამიანურ ძალ-ისხმევას მოითხოვდა ჩემგან. სკოლის დამ-

თავრების შემდეგ ჩავირიცხე ფიზიკა-მათ-ემატიკის ფაკულტეტზე. ძალზე დამინტე-რესა ბირთვულმა ფიზიკამ. მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიე ამ სფეროში, ვესწ-რებოდი სხვადასხვა სამეცნიერო კონფერ-ენციას. უნივერსიტეტის დამთავრების შე-მდეგ რუსეთში რომელიღაც დახურულ ინ-სტიტუტში მიმიწვიეს. საიდუმლო იარაღზე უნდა მემუშავა. ღამეებს ვათენებდი, მაგრ-ამ ერთ მშვენიერ დღეს ყველაფრის ინტერ-ესი დაეკარგე. მე დამოუკიდებელ სამშობ-ლოზე ვოცნებობდი და თუ რაიმეს შექმნას შევძლებდი, ჩემი ქვეყნისთვის უნდა მემე-ქმნა. ეს კი იმ დროს ყოვლად წარმოუდგე-ნელი იყო. ძალზე უგულისწარმო გავხდი. ამასთან ძილში ღამის ზმანებები და ხეტია-ლი გამიმძაფრდა. მიყურეს, მიყურეს და ბოლოს უკან გამომიშვეს. საიდუმლო იარა-ლის შექმნის იდეა კი მოსვენებას არ მაძლ-ევდა. თავდაცვის სისტემაზე ვმუშაობდი, რომელიც გამოსროლილ ჭურვს თუ ქობი-ნს უკანვე დააბრუნებდა. ჩამოვედი და ფი-ზიკის ინსტიტუტში დავეიწყე საქმიანობა.

იჯდა გიორგი, უსმენდა და თან ფიქ-რობდა, ნეტავ რა უნდა ჩემგან, რატომ მი-ამბობს თავის ცხოვრების შესახებ. ხანდახ-ან რა მწყობრად და საინტერესოდ საუბ-რობს. ღმერთო, ამომახსენევინე, რა იმალე-ბა ამ პიროვნების მიღმა.

ფიქრის ჩათავებაც კი ვერ მოასწრო, უცნობი ფეხზე რომ წამოიჭრა, ჰაერს ხელი მოუქნია, თითქოს კაცს სილა გაანწაო და შეჰყვირა:

— აღარ ჩამომშორდები, მახინჯო სუ-ლო? რაც უნდა მეგრძოლო, შენი არასდრ-ოს გავხდები.

უცებ ეს ახოვანი მამაკაცი მოსხლეტით დანარცხა იატაკს. გორავდა, თითქოს ვი-ლაცას ექიდებოდა, თავის დაღწევას ცდი-ლობდა, გაურკვეველ სიტყვებს ისროდა. გიორგი ახლოს მივიდა, უნდავო, ფეხზე წა-მოეყენებინა. ძირს მფორთხავმა წამოინია, ამღვრეული თვალებით შეხედა და ისეთი შემოჰკრა, ბურთივით მოისროლა კუთხე-ში. გიორგი მაინც არ შეეპუა, ფეხზე წამო-ვარდა, გაახსენდა მთვარეულებს წყალი აფხიზლებდა, დასწვდა ბორჯომის ბოთლს და სითხე სახეში შეასხა. შეკრთა მბორგავი და ზურგით იატაკზე გაიშლართა. ცოცხა-ლი ადამიანის ნიშან-წყალი აღარ ეტყობო-და. შეშინებული გიორგი ინსტინქტურად დოქს დასწვდა, ჭიქა ღვინით შეავსო, პირი გაუღო და ერთი ყლუპი დააღვევინა. უცნო-ბმა თვალა გაახილა, წამოდგა, სკამზე ჩა-მოჯდა, მზერა გიორგის მიაპყრო და დაბ-ნეულმა იკითხა:

— რა მოხდა?

გიორგის არაფერი უპასუხია, ღვინით საესე ჭიქა სულმოუთქმელად გადაჰკრა და სადგომიდან გამოვიდა.

იმ უჩვეულო დღის შემდეგ გიორგი სახ-ლს აღარ გასცილებია. ხან იჯდა, ხან ინვა, ხან წიგნს გადამლიდა, მაგრამ გულს ვერა-ფერს უდებდა, მხოლოდ თავის თავს ებაა-სებოდა — ახია შენზე, დასასვენებლად ჩა-მოხვედი და რა თავგადასავლები აგიტყდა. დატკბი ბუნების მშვენიერებით. დასვენებ-ის მაგივრად ღამეები არ გძინავს. შეეშვი იმ კაცზე ფიქრს, როგორც ჩანს, ავადმყოფია, თავის გაჭირვება ეყოფა. რამდენი დასვე-ნებელია ამ დაბაში, რომელი ერთი დაუახ-ლოვდა, ან რომელ ერთს გადაუშალა გუ-ლი? შეეშვი, რამე შარსა და ხათაბალაში არ გაყო თავი. უნდოდა, დაევიწყებინა უცნო-ბი, მაგრამ მისი ხატება თავში ლურსმანიე-ით ჩასჭედოდა, რაზეც არ უნდა ეფიქრა, საბოლოოდ მაინც უცნობზე ჩერდებოდა. უძილობით გატანჯული მომდევნო დღ-ეს ადრიაანად წამოვარდა ზეზე და ბევრი ფიქრისა და ყოყმანის გარეშე დაბის ცენტ-რისკენ გასწია. ღამის ზმანებებმა მოსვე-ნება დაუკარგა. უცნობის ხატებას ჭრილო-ბასავით დაეღო პირი. ამოუცნობი, რაღაც დაუძლეველი ძალა მისკენ მიაქანებდა. რო-გორც იქნა, მიაღწია ბანკამდე. უცნობი კი-ბეზე ორ ძაღლს შუა ჩამომჯდარიყო და გი-ორგის გაოცება რომ შეატყო, მშვიდად უთ-ხრა:

— ეს ძაღლები ჩემი ყველაზე ერთგული მეგობრები არიან, რომლებიც არასოდეს მიგატოვებენ განსაცდელში და არასოდეს გიგალატებენ, — ძაღლებს თავზე ხელი გა-დაუსვა, ფეხზე წამოდგა, გიორგის გადაე-ხვია და ცრემლი წასკდა.

გიორგიმ ძლივს შეიკავა თავი, რომ არ აცრემლებულიყო.

გაგრძელება მე-13 გვერდზე

რწმუნე ანი ერნოს მცირე რომანის „ქალის“ კითხვას დაიწყებს და ამოიკითხავს:

„დედაჩემი მოკვდა 7 აპრილს, ორშაბათს, პონტუაზის საავადმყოფოს მოხუცთა სახლში, სადაც მე ის ორი წლის წინ დავტოვე. მედლამ ტელეფონში მითხრა: „დედათქვენი ამ დღით საუზმის შემდეგ აღესრულა. ათი საათი იქნებოდა.“ მყის მკითხველს უნებურად არასწორი ასოციაცია უჩნდება. ეს ალბერ კამიუს გახმაურებულ რომანზე „უცხო“ გადამისამართება და წინასწარ განხილული ელოდება ეგზისტენციალისტი კამიუს სამყაროში ხელახალ „სტუმრობას“, მით უფრო, რომ ორივე დეპრესიის სტილით არის დაწერილი.

და თუმცა ანი ერნოს ამ რომანშიც, როგორც „უცხოში“, მოქმედებს არა ერთი მიზეზი, არამედ მიზეზთა ჯამი, და მაინც, ეს არის სრულიად ახალი, ფართო პერსპექტივიდან ფრანგი მწერლის მცდელობა არა გაუცხოების პოზიციიდან დაინახოს დედა, არამედ მთლიანად, მთელი სისავსით (რომელშიც გაუცხოება მხოლოდ და მხოლოდ ერთი კუთხეა). დედის ნებისმიერი თვისება ერთმანეთს რომ ენინააღმდეგება, ნაწარმოებში ერთ ძაფზე აასხას და აქციოს არა მარტო უმშვენიერესი ყელსაბამ-სამკაულად, არამედ დედის პორტრეტის ყველა ჩრდილოვან-ნათელი მხარის გამოსავლენ — შემღებ გასაღებადაც.

ანი ერნო, როგორც ამას ფილოსოფოსი და მთარგმნელი ვალერი ოთხოზორია აღნიშნავს, აფართოებს ჩვენი ხედვის ფოკუსს:

„ის წერს დედაზე არა მარტო როგორც დედაზე, არამედ დედაზე, როგორც ქალზე, რომელსაც ვერ ხედავდა, სანამ ის ცოცხალი იყო. სწორედ დედის სიკვდილი და სიკვდილამდე მისი ტრაგიკული მსხვერვეა გახდა ის მიზეზი, რომელმაც მწერალი იმ პორიზონტის წინაშე დააყენა, სადაც დედის, როგორც ქალის, სილუეტი სრულად გამოჩნდა.“

ამ ხედვის გაფართოებულმა ფოკუსმა უნებურად გამახსენა და წარმოსახვით დამანახა ლიტერატურის, ხელოვნების, ფილოსოფიის, ზოგადად კულტურის, გასვლა საზღვრებიდან — როცა კულტურა ცდილობს, „დაკარგოს“, „გათავისუფლდეს“ ადამიანური არსის გამომხატველი პოზიციიდან. როცა ლიტერატურა ტოვებს თავის საზღვრებს და ახერხებს, კოსმოსის უსაზღვრო სივრციდან განჭვრიტოს და შეაფასოს ადამიანის მიერ შექმნილი ლიტერატურა, თუმცა ეს უკვე ლიტერატურა არაა, ეს უკვე ნაშლილი და გადალახული საზღვრებია, საიდანაც ვიღაც (თუმცა ეს ვიღაც აღარ არის ჩაკეტილი თავის მოცემულ საზღვრებში) შეპყურებს და სწავლობს მას.

როცა ამ ახალი ხედვიდან დედა შეიძლება, გარდაისახოს უბრალო ქალად, მაგრამ ამ გარდასახვას, რასაც მოჰყვება დედაში „დაკარგული“ ქალის აღდგინება, იქნებ დედის სახის — დედის განსაკუთრებული ადგილისა, თუ სტატუსის მთლიანად ნაშლაც მოჰყვებს?

მაგრამ არა. ეს ამ რომანში რაღაც უცნაურობით არ ხდება. ამაზე მეტყველებს დედის სიკვდილის შემდგომ დაწერილი ეს ფრაზები:

„მისი სახება კვლავ ისეთია, როგორსაც ჩემს ბავშვობაში ვხედავდი, განიერი და თეთრი ჩრდილი ჩემს ზემოთ.“

ანი:

„უცაბედად, ქალი, რომელმაც ჩემს ცხოვრებაში უდიდესი ეკალი დატოვა, იმ აფრიკელ დედაბაბ წარმომიდგება, ზურგზე მიკრული ქალიშვილის პატარა მკლავი რომ უჭირავთ, როცა მკვეთი ქალი მათ კლიტორს აჭრის.“

ანი ერნო წერს, რომ ეს წიგნი არც რომანია და არც ბიოგრაფია — რაღაც ისტორიის, სოციოლოგიისა და ლიტერატურის კვეთაზეა. კვეთა, ანუ რაღაც უფრო მეტი, ვიდრე რომანი, რაღაც უფრო მეტი, ვიდრე ბიოგრაფია, ისტორია, სოციოლოგია... ეს თავად ცხოვრების ნაკადში შეჭრის ხელახალი მცდელობაა, რადგან ეს არის ქალიშვილის მიერ დედის მოგონების ისე გამომხიზება, რომ შეიძლება უფრო მეტად კი არ მიუახლოვოს მას, არამედ თავისთავზე და დედაზე მოგონებას აქციოს იმ ცხოვრების, იმ წუთის სისავსედ, რომელშიც საგანთა ერთობლიობა, განცდათა ურთიერთგადაკვეთა ქმნის სიხარულის, სევდისა და რაღაც უმიზეზოს, რაღაც დაფარულის განცდას. დედა ძვირფასია!.. მაგრამ არა იმიტომ, რომ ის იდეალურია, ან კეთილია, ან ბრძენ-

ია, ან შრომისმოყვარეა... ის ძვირფასია, რადგან დედაა, სამყაროს კარიბჭეა, რომლიდანაც თავად, მისი ქალიშვილი მოველინა სამყაროს... იქნებ წიგნის ყველაზე დიდი ღირსება ისაა, რომ არათუ არაფერი განიმარტება, არამედ მინიშნებაც კი არ ხდება. ყველაფერი უბრალოდ ცოცხლდება, როგორც ყოფიერების საიდუმლოება, რომლის ყველა წვრილმანი, ყველა დეტალი ძვირფასია, როგორც ყოფიერების ნაწილია, ყოფიერების ამოუცნობი და მაინც ჩვენთვის როგორღაც საწვდომი საგნისა, რადგან ჩვენ მასში ვმოქმედებთ, მასში ვმოფლობთ. ასეა ამ შემთხვევაშიც, ანი ერნო ნაბიჯ-ნაბიჯ აღადგენს ყოფიერების სიღრმეში ყოფნის საიდუმლოს — ის თავისთავად ღირებულია...

იქნებ მკითხველს ილუზია გაუჩნდეს, რომ ამ საიდუმლოების — თავისთავად ყოფიერებაში ყოფნის ამ ღირებულების — ერთ-ერთი საუკეთესო ინტერპრეტაციაა ანი ერნოს მიერ რომანს წამძღვრებული ჰეგელის ფრაზა:

ჟაკლინ სირადე

ნაკითხულია ფრანც კაფკას „წერილი მამას“

ვალერი ოთხოზორიას ახალი თარგმანის
ანი ერნოს „ქალის“ მიხედვით



„შეცდომაა მტკიცება, თითქოს წინააღმდეგობა მოუხელთებელია, რამდენადაც ცოცხალის ტკივილია, სადაც ის ნამდვილად არსებობს.“

ზოგი იმასაც ფიქრობს, რომ ეს სიმპტომატურია. თუმცა ფრიად დამაფიქრებელია, ვფიქრობ, საჭოჭმანოც. რადგან ჰეგელის ფრაზა არადაამაჯერებლად ჟღერს, უფრო სწორედ, ის თავად ჰეგელის სამყაროში არ „ისმინება“. ეგზისტენციალისტთა (კირკეგორის მეთაურობით) ჰეგელის კრიტიკაში (თავისთავად მას მოჰყვა „ფილოსოფიის მესწიერული წესის“ დასამარცხება) მოიაზრებოდა წინააღმდეგობა „ფილოსოფიური სამყაროები, რომელშიც ფილოსოფიას ადამიანის „ეგზისტენცია“ არასოდეს უქცევია თავისი კვლევის, თავისი აზროვნების განხილვის საგნად.

და ძალიან უცნაურია, რომ ანი ერნოს „ქალი“, რომელშიც ყოფიერების ონტოლოგიური სტრუქტურა იხსნება, შორსა დგას როგორც ჰეგელის ფილოსოფიური სამყაროსაგან, ასევე კლასიკურ-პათეტური რომანებისაგან. რადგან თანამედროვე რომანი (როგორც თანამედროვე სამყაროს გამომხატველი) „(...) უარყოფს მორალურ დოგმატიზმს, ვარაუდს, რომ არსებობს ერთადერთი მორალური ჭეშმარიტება და ერთადერთი მორალური კოდექსი, რომლის მიხედვით უნდა იცხოვროს ადამიანი“ (ვახტანგ გორგიშელი).

და მაინც, ეს რომანი სრულიად ახალი მოცემულობაა. ანი ერნო გრძნობს უბრალო ფრაზების ძალას, თუნდაც კლიშეების.

ამის საჩვენებლად ორი ორიენტირს ავირჩევდი, რადგან ეს რომანი მხოლოდ და მხოლოდ შეიძლება დაწერილიყო კაფკას „წერილი მამას“ და ალბერ კამიუს „უცხოს“ შემდგომ.

საინტერესოა, რომ ჯვარცმას, რომელიც უნდა ჩაატანონ გარდაცვლილ დედას სასახლეში ორი ლურსმანი აკლია. ეს ერთგვარი მინიშნებაა, რომ ჯვარცმის მისტერია აღსრულდა, იმ თანამედროვე სამყაროში, რომელიც უკვე დიდი ხანია კაფკას ნაწარმოებებიდან იკითხება და გაიაზრე-

ბა. ამის სრულყოფილ სურათს გვიხატავს მწერალი:

„დედაჩემი კუბოში იწვა, თავი უკან გადავარდნოდა. ხელებით ჯვარცმას ჩაბლაუჭებოდა. თავიდან ბინტი მოეშორებინათ და მაქმანიანი ღამის პერანგი ჩაეცმიათ.“

და რატომ? რას ნიშნავს, რომ ანი ერნო იმგვარ ნაწარმოებს ქმნის, რომელშიც ქრისტეს მისტერია არა მარტო ახალ განზომილებაში გაიაზრება, არამედ რაღაც კანონზომიერებიდან გამომდინარე ის თავისთავად კაფკას „წერილი მამას“ მიხედვითაც უნდა იქნეს ინტერპრეტირებული.

და რას ნიშნავს კაფკასთან, კერძოდ, მის ამ მცირე მოცულობის ნაწარმოებთან დგომა-მოფლობა? ან ავსტრიელი მწერლის შემდგომ გზის გაგრძელება?

რომანში ჯვარცმა შედგა, თუმცა ქრისტეს გზაზე მავალი ქალი მაქმანიანი ღამის პერანგშია გამოწყობილი.

ორ ლურსმან ნაკლულს ჯვარცმა და მაქმანიანი ღამის პერანგი იმ თანამედროვე სამყაროს ქმნის, რომელშიც ძველი აღ-

თქმის ერთ-ერთი უპირობო მეზუთე მცნება დაირღვა:

„პატივი-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რაითა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელი იყვენ ქუეყანასა ზედა.“

დედის უპირობო პატივისცემა დარღვეულია, უფრო მეტიც, მის დასანახად ისევე ცნობადი ხის ნაყოფის ხელახალი მიღება დასჭირდათ, რათა დედაში ქალი შეეცნოთ. თუმცა ანი ერნოს უდავოდ გათავისებული აქვს კაფკას მამისადმი მიწერილი სიტყვები:

„არასოდეს მესმოდა შენი სრული გულგრილობა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი ტკივილი და სირცხვილი შეგეძლო გამოგენვია შენი სიტყვებით, თითქოს შენს ძალაუფლებაზე წარმოდგენაც კი არ გქონდა.“

ანი:

„(...) არანსიერებაში და ბოროტებაში კი არ მადანაშაულებდი (...), არამედ გულგრილობაში, გაუცხოებაში, უმადურობაში. თანაც ამას ისე მსაყვედურობ, თითქოს ამ ყველაფერში დამნაშავე მე ვარ (...) და ეს იმდროს, როცა შენი ბრალეულობა მხოლოდ იმაში თუ მდგომარეობს, რომ ჩემ მიმართ ზედმეტად კეთილი იყავი.“

ანი ერნო ცხადად ხედავს დედის ყველა ნაკლს, მაგალითად, თუ როგორ კოხტაობს ის საზოგადოების წინაშე, ზაფხულში, ეტრატაში, ის შეპყურებს მამის გარდაცვალების შემდგომ ჩასულ დედას, რომელიც უბანში მავი კაბით ცხადდება, თუმცა იქვე ლოდებთან სამგლოვიარო კაბას ცისფერ, დიდყვავილებიან კრეპის კაბით ცვლის.

ან, როცა დედა ეკლესიაში ღვთისმშობლისადმი საგალობელს მღეროდა, მთხრობელს ეს ტირილს ანდომებდა და მისადმი ზიზღი უჩნდებოდა ან, როცა ქალიშვილი ხანდახან ზედმეტად მიაშტერდებოდა, გალიზიანებული ეკითხებოდა: „ჩემს ყიდვას, ხომ არ აპირებ?“

დედა მას ეძახდა ხან აქლემს, ხან გომბიოს, პატარა კახპას, გულისამრევს, იოლად სცემდა, უმეტესად სილას აწნავდა, ზოგჯერ მხარზე მუშტს ურტყამდა, თუმ-

ცა ხუთ წუთში გულში იხუტებდა და მისი „თოჯინა“ ხდებოდა.

ყველაზე მეტად კი ეწადა, ქალიშვილისთვის მიეცა ის, რაც მას ცხოვრებაში დააკლდა, თუმცა ამისთვის იმდენს შრომობდა და ხელმომჭირნეობას ეწეოდა, რომ თავს ვერ ერეოდა: „ძალიან ძვირი გვიჯდება“, ან „იმდენი რამე გაქვს და მაინც არა ხარ კმაყოფილი.“

არ იყო ადვილი ამგვარი მოცემულობით დედის მიღება, მისი სიყვარული, მისი პატივისცემა, მისი თანაგრძნობა, მაგრამ მთხრობელმა ეს შეძლო...

ეს არის წიგნი, რომელშიც ლოგიკური ფრაზა: სოკრატე მოკვდავია — ლოგიკის არტახებს ამსხვრევს და ცოცხლდება სუბიექტის ცნობიერებაში... სუბიექტი აცნობიერებს და განიცდის, რომ ადამიანი მოკვდავია... რომ შეიძლება, დაბერდეს, უაზროდ იტანჯებოდეს, მისი არ ესმოდა.

ჩვენ ვიცნობთ ისეთ კლასიკურ ნაწარმოებებს, რომელშიც საუბარი ადამიანის მაღალ ღირებულებებზე პათეტიკური ხმით წარმოითქმება. ამით იმის თქმა მინდა, რომ კლასიკურ-პათეტიკური ტონალობა — ადამიანის თანაგრძნობაზე, ჰუმანიზმზე, სიკეთეზე ამ წიგნში არ გვხვდება. ქალიშვილის მოკუმული ბაგეებიდან არცერთ ღირებულებაზე, არცერთ მორალურ შეგონებაზე არ მიმდინარეობს საუბარი. ეს უფრო სევდაა და თანაგრძნობა ადამიანისადმი, როგორიც ისაა, ზუსტად ისეთი, თავისი წინააღმდეგობრივი ხასიათითა და თვისებებით, ზუსტად ისეთი, როგორადაც ის თავისთავს მოიაზრებს.

ეს დედის მიღებაა, მხოლოდ იმის შემდგომ, რაც ძველი აღთქმის მეზუთე მცნება დაარღიეს — დედა უპირობოდ მიიღეს, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ფრანც კაფკას „წერილი მამას“ წაიკითხეს და „დაძლიეს“.

თანამედროვე სამყაროს — კულტურის ახალი თვალთა გრძნობებით, სასოწარკვეთით, შმაგი რისხვით სამყაროს აღქმა. ანი ერნოც გრძნობების მეშვეობით ახერხებს ხედვას. დედა ავად ხდება, ის ნელ-ნელა კარგავს თავის პიროვნულ თვისებებს, მასში ცხოველური ინსტინქტი მძლავრობს, თუმცა ამას ქალიშვილი სიცოცხლისადმი ლტოლვის, სიცოცხლის გამაგებელი ნყურვილის „ხმადა“ აღიქვამს მხოლოდ:

„(...) მას სურდა ეცოცხლა, გაუმდგომი ცდილობდა წამოდგომას, ეყრდნობოდა მრთელ ბარძაყს და იგლეჯდა წელზე შემოხვეულ ზეწარს. ეპოტინებოდა ყველაფერს გარშემო. სულ შიოდა, მთელი ენერგია მის პირში კონცენტრირდებოდა. მოსწონდა, როცა კოცნიდნენ, თავადაც მიუშვერდა ტურჩებს საკოცნელად. ის იყო პატარა გოგონა, რომელიც არ იზრდება.“

ალბერ კამიუს „უცხოში“, როცა მერსო თავისი გრძნობებით, ტკივილებით განიწმინდება, ეს მისთვის გაშიშვლებაა და სულ-იერი გამოფხიზლება და აღმოჩენა, რომ ის უშფოთველი გულგრილობის ატმოსფეროში ცხოვრობს, სადაც სიყვარული, სიკეთე, უანგარობა... მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის თამაშის გამოხატულებაა, მისი ნიღბის ჩვენება.

ამიტომაც მას მხოლოდ და მხოლოდ ის შეუძლია, რომ თავისი სიკვდილის დასჯის დღეს მასთან ბევრი მაყურებელი მოვიდეს ერთი სურვილით — მას თავიანთი ნამდვილი სახე — დაფარული ჭეშმარიტება გასუცხადონ. ეს მერსოსადმი ბრბოს სიძულვილის ყიფინაა, სიძულვილის ენა მერსოსადმი მიმართული.

მთხრობლისათვის კი გამოფხიზლებას მოჰყვება კლიშეებად ქცეული ჭეშმარიტების გაცოცხლება — დედაში დაფარული ქალის აღმოჩენა და მისი ხელახალი შეყვარება-მიღება.

და როცა ქალიშვილის სიყვარულს, მის ამგვარ მძაფრ გრძნობებს ეცნობი, შეიძლება, ისიც კი იფიქრო, რომ რომელიმე სენტიმენტალურ რომანს კითხულობ, ან პათეტიკური ნაწარმოებიდან ამონარიდს ეცნობი:

„მინდოდა, კიდევ ერთხელ მენახა დედაჩემი და მის მკერდზე კომპის აყვავებული რტოები დამეწყო, რომლებიც ჩანთაში მქონდა.“

ან, როცა დედის გარდაცვალებიდან უკვე გასული თვეების შემდგომ, ის სარდაფში ჩადის, იქ პოულობს დედის ჩემოდანს, მის საფულეს, ზაფხულის ჩანთას და შარფებს და მას აღარაფრით შეუძლია, მიი-

ლოს ისეთი ჩვეულებრივი სცენაც კი, როგორიცაა საყაასბოში ადამიანთა გაფაციცებული შერჩევა ხორცის ნაჭრისა. მიიჩნევა, რომ ამ რომანში ანი ერნო არც თავის თავს ადანაშაულებს და არც საზოგადოებას. თუმცა ფაქტების ამგვარ დალაგებას თავისთავად საზოგადოების მიერ უკვე დადგენილი წესების, კანონების, შეხედულებების შესწორება — სწავლება ძალუძს.

მთარგმნელის ვალერი ოთხოზორიას ზუსტი აღნიშვნით ანი ერნოს დედას „სრულიად დაემსხვრა იდენტობა“. მასში გამოჩნდა „ცხოველური“.

და მაინც, საზოგადოების გულგრილობის გამამართლებელ არგუმენტს: „ის ამას არ იმსახურებდა“ (ანი ერნო „ქალი“), რაც ერთგვარი განაცხადია, რომ მათთვის დედა უკვე დიდი ხნის მკვდარი იყო, რასაც ავტორი მხოლოდ შემფოთების გამომხატველი ფრაზით პასუხობს:

„შესაძლოა, ერთ დღესაც მთელი საზოგადოება ამ აზრზე დადგეს.“

მაგრამ ამ შემფოთებაში უკვე მოცემულია ტკივილი იმის გამო, რომ საზოგადოება ასეთი გულგრილია და არა ამ „უშფოთველი გულგრილობის“ (ალბერ კამიუ „უცხო“) უპირობოდ მიღება და მისი ერთგვარ ჭეშმარიტებად მიჩნევა. არა, ეს რომანი თანამედროვე სამყაროს ერთგვარი დაძლევაა. როცა ანი ერნო წერს:

„ის აღარსად აღარ იქნება მთელ სამყაროში.“

ეს არ არის ფრაგმენტი კლასიკური ნაწარმოებიდან, მაგრამ არც ჩვენთვის უკვე ნაცნობი თანამედროვე სამყაროდან. ის ახალი განზომილებიდან მომდინარე სრულიად ახალი სიტყვაა — ახალი განცდაა.

სომერსეტ მოემი წერს:

„(...) უბრალოება ყალბია, თუ იმას არ ამბობ, რაც უნდა გეთქვას“.

ანი ერნოს ღირსება კი სწორედ ისაა, რომ გულწრფელია — მართალია, ამბობს იმას, რაც უნდა ეთქვას; ის წერს:

„მე ველარასოდეს გავიგებ მის ხმას. სწორედ მან, მისმა სიტყვებმა, მისმა ხელეზმა, მისმა ჟესტებმა, მისმა სიცილის და სიარულის მანერამ შეაერთა ის ქალი, რომელიც ვარ, იმ ბავშვთან, რომელიც ვიყავი. გამოიწყდა უკანასკნელი ძაფი იმ სამყაროსთან საიდანაც გამოვედი“.

„ახლა ყველაფერი შეკავშირდა“ (ანი ერნო „ქალი“).

მაგრამ ეს ფრაზა დაიწერა მას შემდეგ, რაც ფრანც კაფკას „წერილი“ მამას და ალბერ კამიუს „უცხო“ წაიკითხეს.

საბედნიეროდ, საზოგადოებამ უკვე შენიშნა ინტელექტუალი, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული მთარგმნელი ვალერი ოთხოზორია.

და უკვე ანი ერნოს წიგნის გაცნობისას ეს შესანიშნავი თარგმანი კიდევ ერთხელ გაგაცნობიერებინებს, როგორ „ცვლის“ მთარგმნელი დედნის ტექსტს იმის შესაბამისად, თუ სულიერი კიბის რომელ საფეხურზე დგას.

და როცა მთარგმნელის წინასიტყვაობას ეცნობი (რომელმაც განმარტებებიც დაურთო ტექსტს).

„ერნო (...) თავის რომანებს წერს, როგორც „ანალიზებს“ — ცხადია, არ არის დაცლილი დანაშაულის გრძნობისგან (...) წერა ანი ერნოსთვის, უპირველეს ყოვლისა, აქტია ამგვარი სინდისის ქენჯნისა და „დანაშაულის“ გამოძიების“ — „სენტიმენტალური თავგადასავლების“ წინააღმდეგ“.

და იქვე ვკითხულობთ ყველაზე მნიშვნელოვანს:

„ერნო ამსხვრევს ეგოიზმს, თავის ეგოიზმს: წერო ბრალის გრძნობით, წერო, როგორც დამნაშავემ, ეგოიზმის ერთ-ერთი პიკა“.

ვალერი ოთხოზორია „წინასიტყვაობა — ანი ერნოს „ქალის“ შესახებ.

ამ შეფასებაში მოჩანს ვალერი ოთხოზორიას ძალადი კულტურა, რომელმაც ფრიდრიხ ნიცშეს, მიშელ ფუკოს, ზიგმუნდ ფროიდის სკოლის კავეითლები გაითავისა, რითაც ისევ დასტურდება ის აზრი, რომ რაც უფრო მაღალ საფეხურზე დგას მთარგმნელი, მით უფრო ფაქიზი ნიუანსების, ტექსტში დაფარული შიდაპირების ამოკითხვა ძალუძს, რისი წყალობითაც ხდება დედანთან „მიახლოება“. ვალერი ოთხოზორიამ ნობელიანტი მწერლის ამ რომანით ეს შეძლო.

როლანდ გიორგაძე

ოპობას ქსელივითაა დასერილი სამყაროს გზები



გაგრძელება

— ეჰ, ჩემო გიორგი, მარტოსულობა კაცობრიობის ყველაზე დიდი სატკივარია და მის დაძლევას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. დიდიმოაზროვნეები ბევრს ფიქრობდნენ ამ დილემაზე, ეგზისტენციალიზმის მთელი აზრი სარტრთან ერთ ფრაზაშია მოქცეული — „არსებობა წინ უსწრებს არსს“, ანუ ადამიანი ჯერ არსებობს, შემდეგ განსაზღვრავს თავის თავს. ადამიანი მარტოა სამყაროში და არანაირი დახმარების იმედი არ უნდა ჰქონდესო. საკამათოა, მაგრამ მეც დაახლოებით ასე ვფიქრობ. მხოლოდ ჭეშმარიტი მორწმუნენი არ იტანჯებიან მარტოსულობით, მათთან ყოველთვის უზენაესია. არ ვიცი, როგორ ამოხტა ეს ფრაზა ქვეცნობიერიდან. არც ის ვიცი, ვინაა ავტორი. რაღაც ამოუცნობი მოვლენები ხდება ჩემს თავს. ხშირად ვერ ვიხსენებ, ცოტა ხნის წინ რაზე ვფიქრობდი, მაგრამ ზეპირად შემიძლია, მოვიყვანო ციტატები წლების წინ თვალგადავლებული ტექსტებიდან. მე ხან აქ ვარ, ხან — იქ. რაც იმ დღეს ჩემ სახლში მოხდა, ჩემი ნების გარეშე მოხდა, ისე შეგაშინე, დაბიდან ახარგებასაც კი აპირებდი. სამწუხაროდ, ვერ ვარ ჩემი ნებელობის ბატონ-პატრონი. ასეთ კაცთან ურთიერთობა და მეგობრობა ძალზე რთულია. იმიტომ ვარ მარტოსული და ეული.

მოედანზე ხალხის ნაკადმა იმატა. ზოგნი ჯგუფ ჯგუფად იდგნენ და ერთმანეთს ემუსიანებოდნენ, რალაც ამბებს ჰყვებოდნენ და შიგადაშიგ იცინოდნენ კიდევ. უცნობი ფეხზე წამოიმართა და იქაურობას თვალს მოავლო. მერე გიორგის მიმართა:

— ხედავ, აუდიტორია უკვე შეესებულა, ჩემი გამოსვლის დროა. დიდ მაღლობას მოგახსენებთ, მეგობრებო, მობრძანებისთვის. ჩვენი დღევანდელი განხილვის თემა მწერლობაა. მოგესხენებათ, რომ კაცობრიობა დიდად დავალებულია მწერლების მიმართ. მწერალი იმ ეპოქის უნებლო მემკვიდრეა, რომელშიაც უხდება ცხოვრება. თვალნათლივ სურათს გვიხატავს საზოგადოების მორალურ-ზნეობრივი პრინციპებისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ. ჩემზე წარუშლელი კვალი დატოვა ილიას „ივერიამ“. ვფურცლავდი და ცხვირში მელიტინებოდა მეცხრამეტე საუკუნის სურნელი. თითქოს კინომატინანეს ვუცქერდი. ყველა საუკუნეს თავისი დამახასიათებელი სურნელი აქვს. მწერალი ან ღმერთთანაა ან სატანასთან. სულიწმინდის მიერ შთაგონებული ნაწარმოებები მორალურ-ზნეობრივია, დაცემული ანგელოზების მიერ შთაგონებული გამრყეველ-დამამდაბლებელი ქვენაგრძნობების გამღმერთებელი. მწერალს ყოველთვის უნდა ახსოვდეს არისტოტელეს კათარსისის თეორია, რომლის თანახმადაც, ლიტერატურულ ნაწარმოებს ევალება ადამიანის სულიერი განწმენდა.

დროში შეუზღუდავი ორატორი გაუჩერებლად საუბრობდა, ვის აღარ გადასწვდა. ჩარლზ დიკენსს შემოქმედება მოუწონა, მაგრამ საქციელი დაუწუნა. ათი შვილის პატრონმა ოჯახი დაანგრია და ვილაც ჩვიდმეტი წლის გომბიოს გაეკიდაო. გიორგის გასაკვირად, ამჯერად უცნობი დინჯად საუბრობდა, ემოციების გარეშე, ერთხელაც არ შეუყვია. ხალხი კი, როგორც ცხოვრების კიბეზე, ისე ადიოდ-ჩამოდიოდა ბანკში ამავე საფეხურებზე. გაიხვდავდნენ შელანძლულსამოსიან ორატორისკენ, პატარა ხანს შეყოვნდებოდნენ, ზოგიერთი ხურდა ფულს ჩაუგდებდა ხის თეფშზე, ზო-

გიც შესაბრალისად თავს გადააქნევდა და უკანმოუხედავად მიდიოდნენ. უცნობმა მცირე ხმით შეწყვიტა საუბარი, მიმოიხედა, გაიარა-გამოიარა, თან დაფინებით უცქერდა შეთხელეზულ მასას, გეგონებოდა, ვილაცას ეძებსო. მერე ორივე ხელით ჭაღარა თმა თითებით უკან გადაივარცხნა და ისევ განაგრძო.

გიორგიმაც მოავლო თვალი პატარა მოედანს — კაციშვილი არ უსმენდა ორატორს. მოედანიც თითქმის დაცარიელდა. მისდა გასაკვირად, მანაც ყოველგვარი ინტერესი დაკარგა მქადაგებლის მიმართ, საშინელი მოწყენილობა დაეუფლა, ისევ იჩინა თავი ყველაფრის დამთრგუნველმა ვერაგმა სენმა, არადა, ეგონა, რომ თავი დააღწია. ამ აღმოჩენამ გააკვირვა და შეაშინა. მოეშვა, მოდუნდა, მოითენია, თითქოს მუხლებში ძალა გამოეცალა და ნაქცევის შიშმა კიბეზე ჩამოაჯინა. ნაწყვეტ-ნაწყვეტ ესმოდა მფრინავი ფრაზები. ამჯერად ოსკარ უაილდზე საუბრობდა — ჰედონისტური მიმართულების მიმდევარი იყო, რომლის მიხედვითაც განცხრომა და სიამოვნება წარმოადგენს ცხოვრების ნამდვილ მიზანს და უდიდეს სიკეთესო, ისე კი განსაკუთრებული ტალანტი ჰქონდაო. ანდრეი ჟიდთან საუბარში სინანულით უღიარებია, რომ გენოსოობისკენ მონოდება პირად ცხოვრებას შესწირა. არა მარტო შემოქმედებით ფასდება მწერალი, არამედ მისი პირადი ცხოვრებით. გაგონილი გექნებათ ინგლისური გამოთქმა: „მშვენიერია მხოლოდ ის, ვისი მოქმედებაც მშვენიერია“.

გიორგი ძალზე ცუდად გრძნობდა თავს, ისევე შიშმა შეიპყრო. გონება არ დაეკარგო, გაიფიქრა, ძლივს წამოიწია ფეხზე და მოედნის ბოლოსკენ გაემართა. პატარა შადრევანთან ჩამოჯდა, პეშვით წყალი ამოიღო და სახეზე შეისხა, ცოტა კიდევ მოსვა. მოედანი გაუკაცრიელებულიყო. მხოლოდ უცნობი იდგა კიბის თავში და ვილაცას ესაუბრებოდა. გაუკვირდა, არასდროს უნახავს ვინმესთან მოსაუბრე. ახალგაზრდა კაცი იყო, ბანკის თანამშრომლის უნიფორმა ეცვა. მცირეხანს ისაუბრეს, მერე ახალგაზრდამ უცნობს პატარა ჩანთა გაუწოდა და ბანკში შევიდა.

გიორგის დარჩენა აღარ უნდოდა და ნახვლაც ეუხერხულებოდა. თავჩაღუნულს უცნობი მიუახლოვდა და მხარზე ხელი დაადო. გიორგიმ თავი წამოსწია, უცნობი ძალზე სერიოზული სახით უცქერდა.

— გიორგი, ცუდად გამოიყურები, გადაღლილი სახე გაქვს, ეს მოჭარბებულმა ემოციებმა იცის. უმჯობესი იქნება, თუ ნახვალ და დაისვენებ. მეც უნდა წავიდე, — მეტი არაფერი უთქვამს, შებრუნდა და წავიდა.

გიორგი პატარა ხანს კიდევ იჯდა, მერე წამოდგა და სახლისაკენ მიმავალ ქუჩას გაუყვა. ტყუილად ფიქრობს ადამიანი, რომ ის მარტოა. ფიქრი ხომ ცოცხალი ადამიანის თანმდევი. ქუჩაში კი ხალხის მასა მდორედ მიედინებოდა. მხიარულობდნენ, იცინოდნენ, რაღაც ამბებს ჰყვებოდნენ. ბავშვები ცელქობდნენ, დიდები აშუნათებდნენ. გზის ერთ მხარეს ფერდობს მიჯრით ჩანწყობილ დასახლებულ სახლებს იწონებდნენ თავს. მათ ზემოთ კი წინწნარი, უფრო ზემოთ — უკიდევანო ცა. გზის მეორე მხარეს ვრცელი მინდორი, რომლის ბოლო ტყის კიდეც მისწვდებოდა. აქვე იყო ავტობუსის გაჩერება, უფრო ქვემოთ კვადროციკლების გასაქირავებელი პუნქტი და სა-

ჯინიბო. აქ ყოველთვის ხალხმრავლობა იყო. ერთობოდნენ, ისვენებდნენ, ცხენებს დააგელვებდნენ. გიორგის უკნიდან ხმა მოესმა:

— ბაბუ, ბაბუ!

შეყოვნდა, შეტრიალდა, მისკენ თმაგაჩეჩილი ახალგაზრდა ღმილით მოემართებოდა. მიუახლოვდა და ხელი გაუწოდა:

— ბაბუ, ძალიან ჩაფიქრებული მოდიოდი და არ შემეძლო, რომ არ შეგხმინებოდი. აქ არ არის სევდის ადგილი, აქ მხიარულების და სიცოცხლის ადგილია.

გიორგის გაეღიმა და ახალგაზრდას ხელი ჩამოართვა.

— ალბათ შეეჩვიეთ და შეეგუეთ აქაურობას, — უთხრა ბიჭმა.

— როდესაც შევეგუე და შევეჩვიე, მაშინ მოვიდა აქაურობის დატევების დრო.

— ბაბუ, დედა მყავს იმერელი. საოცარია, მაგრამ ძალიან გაეხარ ჩემ იმერელ ბაბუას. გახედე ცხენებს, რომელზეც გინდა, ამხედრდი. მაშინ ცხენი დამიწუნე, მკვირცხლი ცხენები მომწონსო. ა, ბატონო, მკვირცხლი ცხენი, ნახე, როგორ ცქმუტავს, როგორ კისკასობს. რამდენ ხანსაც გინდა, იმდენ ხანს იჯირითე.

— გეზუმრე, რა დროს ჩემი ცხენით ჯირითია.

— არა, ბაბუ, აუცილებლად უნდა ამხედრდე, ძალიან მინდა, გუნება-განწყობილება გამოგიკეთო.

— თანახმა ვარ, ოღონდ პირველ ჯერზე დაღვინებული ცხენით გავისეირნებ.

— ბაბუ, ჩემი სახელი ბაჩუკია, აქ ყველა ბაში-აჩუკს მეძახის, — ბიჭმა ცხენი მოიყვანა.

გიორგიმ ხელი უნაგირის კეხს ჩასჭიდა, უზანგში ფეხი შედგა, წამოიწია, ბაჩუკიც წამოეშველა, ოდნავ უბიძგა და ცხენს ზურგზე მოექცა.

— აჰა, ალვირი. ახალგაზრდობაში ხომ გიჭენებია ცხენი, ჰოდა, გაიხსენე ახალგაზრდობა. ტანი უნდა ააყოლო ცხენის მოძრაობას, მოკლედ, უნდა იცეკვო.

გიორგიმ ალვირი ჩაბლუჯა და ცხენს დეზი ჰკრა. ცხენი დაიძრა.

— მეც გამოიყვებო, ბაბუ.

პატარა ხანს წყვილად მიდიოდნენ. ორმოცდაათი მეტრის გავლის შემდეგ ბაჩუკიმ ცხენი შეაჩერა.

— ბაბუ, ძალზე მალე აუღე ალლო. ახლა მივბრუნდები, ბავშვებს გავასეირნებ, ესაა ჩემი საქმე და ჩემი შემოსავლის წყარო. შეგიძლია, ცოტა ტემპსაც მოუმატო, კარგად გამოგდის, — ბიჭმა ცხენი შეაბრუნა და გაქუსლა.

„რაო, კარგად გამოგდისო?“ — გიორგიმ ცხენს ალვირი მიუშვა და მსუბუქად დეზიც შემოჰკრა. ცხენმა ნაბიჯს აუჩქარა. არ გათამამდე, გიორგი. ხომ არ დაგავიწყდა სიყმაწვილის ჟამს როგორ მოგისროლა ულაყმა. ცხენის კი არა, შენი ბრალი იყო. მდინარეში ნაბანავებ, უბელო ცხენს სველი რომ მოახტი ზურგზე, აბა, რა დაგემართებოდა?! ხო, თავს იწონებდი, რა დასამალია, მაშინ გოგონას აწონებდა თავს, სველ ცხენზე ამხედრებული ისარივით რომ მოწყდი ადგილიდან, მოსახვევში ველოსიპედის წკარუნმა დააფრთხო ცხენი და შენც ვენახებში მოგისროლა. ძალზე ჭკვიანი ცხენი იყო, არ გაქცეულა, თითქოს გეგობდიშეოდა, დარცხვენილი გეულობა. შენ ხელი მოუთათუნე კისერზე, შებლზე აკოცე, ვითომ არაფერი მომხდარა. ისევ შეასკუპდი, შემოაბრუნე და მდინარისკენ გაქუსლე. როგორც კი ცხენმა წინა ფეხები წყალში ჩაყო, ზენამოიმართე და მდინარეში თავით გადაეშვი. ასე ჩამორევცხე იმ დღის სირცხვილი. ახლა კი ის დროა, ახალგაზრდობა გავისხენო.

მიიხედ-მოიხედა, შეჩერდა, თითქოს ჭოჭმანობდა გადანწყვტილების მართებულობაში, მერე ღრმად ამოისუნთქა, ცხენს დეზები ძალუმად შემოჰკრა, წინ გადაიხარა და ალვირი მიუშვა. ცხენი ადგილს მოსწყდა, წამიერად მოეჩვენა, თითქოს ფრთები შეისხა და გაფრინდა. შემხვედრი ჰაერის მასა ქარიშხალივით სცემდა სახეში, რამაც კიდევ უფრო გაახელა, მოწყდა ყოველგვარ მინიერს და ზეცას გახედა. ვილაც უხილავი მხედარი თეთრ ღრუბელს დასალიერისკენ მიაქანებდა. „უნდა დავეწხო, უნდა დავეწხო“ — ქროდა გონებაში. წლების სიმძიმე უკვალოდ გამქრალიყო. ჭაბუკივით მიაჭენებდა მერანს, კარგა ხანს მიქროდა და როცა ტყისპირს შეეჩეხა, მაშინ დაუბრუნდა აწმყოს.

დასასრული შემდეგ ნომერი

„ადამიანის არსება სიმარტოვესთან ურთიერთობით, სიმარტოვის განცდით იხსნება, თუ ხასიათდება. არც ერთი ადამიანის სიმარტოვე მეორისას არ ჰგავს.“

თამაზ ჭილაძე

*„სიცოცხლე
ცარიელ
ჩარჩოსაც
ჰგავს...“*

ნუგზარ ზაზანაშვილი

კოტე ჯანდიერის მოთხრობა „კონკიას ღამე“ სიმარტოვის რეკვიემა. სიმარტოვის, რაღაცნაირად ხელშესახები, კვამლითაა შეწოვილი ოთახი, სადაც მოციმციმე ეკრანის წინ ტახტზე მოკალათებული „სისხლამდე ტურნაჭმული“ ქალი ქმარს ელოდება.

დავაკვირდეთ:

„საფერფლეში ფილტრამდე ჩამწვარი, დაეიწყებული სიგარეტი ხრჩოლავდა... ირგვლივ ყველაფერი — რბილი სავარძლები, ნოხი, ჭურჭლისა და წიგნის თაროები, ბოჰემიური, თუ, ვინ იცის კიდევ სადაური, ძვირფასი მინის ჭალი ერთთავად მტვრის თხელ, გულგრილ ფენას დაეფარა. ამ სახლში ყველაფერი მამის ნაყიდი იყო... წიგნების გარდა.“

ეს ინერტული, ჰეარამოტუმბული სამუზეუმო პავილიონია, მულაჟი, ფიტული, სიცოცხლის იმიტაციის ილუზია. ქალი კი მკვდარი ავეჯით დამძიმებულ სიცარიელის აკვარიუმში ჩაკეტილი, შემწყვდეული ასოციალური მუშია. სხვათა შორის, სიმარტოვის სპირალური ექოები ყველაზე მძაფრად სწორედ თხრობის კამერტონის წყალობით შეიგრძნობა. კოტე ჯანდიერისეულ სიმშვიდეს ერთგვარი დეფორმირებულ ტოტებიანი, უფოთლო ხეებით საცხე სივრცის სევდის ტონალობა დაჰკრავს („ერთხელ გავბედე უკან გახედვა და დავინახე გარდაცვლილი დღეები ჩემი — დღეთა გვამები“ — აპოლინერი), რაც, ცხადია, ოჯახური სიმყუდროვის სიყალბის და ფატალური უენერგიობის მომასწავებელია.

„აღეფსთა, ფშეგიშხა, აცეტუკი“ — ეს უცნაური, წარმართული შელოცვის მსგავსი სიტყვები უეცრად ერთმანეთის მიყოლებით ამოტყევიდნენ მოლოდინით დაქანცული ქალის გონებაში. ვინ იცის უკვე მერამდენად, ყველაზე მძიმე წუთებში, სასონარკვეთის ქვიშიან ნაპირზე მდგარს სწორედ ეს სიტყვები ახსენდებოდა.“ — აი, ამ ფრაზას შეეყავართ „კონკიას ღამის“ ატმოსფეროში, მის, ასე ვთქვათ, ჰერმეტულ საოკოფაგში, სადაც, „ყველა ოთახში ანთებული ჭაღების კამკამა შუქი კიდევ უფრო დაუნდობლად უსვამდა ხაზს სიცარიელეს“.

აღეფსთა, ფშეგიშხა, აცეტუკი — გაგრის ქედზე მდებარე მთებია, გუდაუთაში, რომლებიც ნაფლეთებად, ნაგლეჯებადქცეული ფიქრის გენერატორად იქცევა. ფიქრი (წარსულის სუსხში „ჩაჭედილი“ მოგონება) ერთადერთი სასიცოცხლო სივრცეა, საიდანაც ქალი თავის დღევანდელ „მეს“, თავის,მექანიზმამდე დაყვანილ, მდგომარეობას აფასებს, აღიქვამს. ეს აღქმა, ცხადია, მტკივნეულია, ბრაზის ალით შენითლებული, სიგაჟის ნაპერწკლებით აბრჭყვიალებული, წამონთებული. ცოტაც და ყველაფერი ნგრევის ქაოსში ჩაინთქმება, ცოტაც და უკანასკნელი სვეტი გამოეცლება მათი ოჯახის დაჩრჩილულ სიმყუდროვეს. ერთი პიესის პერსონაჟის სიტყვები მახსენდება: „ოჯახი ხომ დათმობების სისხლიანი გილოტიონაა, რომელსაც ჩვენივე ნებით ვუშვერთ მოსაჭრელად განწირულ თავებს.“ ქალმა ეს გვიან გააცნობიერა. ახლა მხოლოდ ბრაზისა და ზიზღის ლორწოდ-ქცეული შეგრძნებების ამონთხევის დროა დარჩა. ეს ღამე დასასრულის დასაწყისის ათვლის წერტილია, ოღონდ რისი დასაწყისის?!

როცა გბეზრდება

მაგრამ თავს ვერ ანებებ

*მექანიკურ როიალს ემსგავსები
რომელიც დგას*

*წვიმის წვეთებიან ფანჯარასთან
და თავისთვის უკრავს თავისთვის
უკრავს თავისთვის...*

ვიკვიატებ ფრაგმენტს შესანიშნავი პოეტის, ნუგზარ ზაზანაშვილის ლექსიდან და

ასოციაციურად ვაკავშირებ ლოდინის ქანდაკებად ქცეული ქართველი „კონკიას“ სახესთან, მისი განწყობილების შინაგან სტრუქტურასთან. გარკვეული გაგებით, ეს ქალი ინერტული პენელოპეს ერთგვარი ინტერტექსტუალური მოდელიც კია, ოღონდ მას თავისი კვაზი ოდისევსი ჰყავს: სნობი, ყალბი და ცარიელი. სიცარიელის ხახადაფჩენილი უფსკრული თვლემს ქალსა და მამას შორის, ცოლსა და ქმარს შორის. შვილი კი მათი ერთობის ერთადერთი რუტინული გამართლებაა, დამლა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ქალი ვერც შვილთან ამყარებს ნორმალურ კონტაქტს: კონკიას ზღაპარი, რეალურად, თავისი ცხოვრების მხატვრული ვერსიაა, ანტი ჰეფი ენდი. ამდენად, მათი ლაპარაკი მონოლოგური სტრუქტურისაა. უბ-



რალოდ, აუტანელია დეფორმირებულ გამოსახულებიანი ეკრანის წინ ჯდომა; ოთახში, სადაც უკეთესიზორის თავზე მონდრიარის რეპროდუქციაა გაკრული (გარდაცვლილი მამის ფოტოს ნაცვლად), ნივთები გვამებს დამსგავსებიან. იქნებ, „მტვრის თხელი, გულგრილი ფენა“, მეტაფორული ნაკითხვით, მრავალწლიანი თანაცხოვრების შედეგად დარჩენილი ფერფლია, ტოქსიკური ნარჩენია ანდაც საკუთარ არსებაში, როგორც კარცერში, ვერთქმის სევდის გამო გამოშრალი, გამოფიტული ცრემლის ნაფშვენი.

მიუხედავად იმისა, რომ წლების მანძილზე ქალი ყოველთვის სიბრაზესა და სიცარიელეს შორის იყო მოქცეული, მან როგორღაც „იგრძნო, რომ სადღაც, მოქანცული გონების კიდზე, სიბრაზის ქარი აწყდებოდა. მაღე ეს ქარი ძალას მოიკრებდა და აუმღვრევდა ტვინს, შეურაცხყოფის მწველი მტვერი გადაეფარებოდა ცნობიერებას. იქნებ უკეთესიც იყო, რომ მომავალი ქარიშხლისათვის ამჯერად მაინც არ დაეხვედრებინა გაუთავებელი ბრძოლით დაფლეთილი და მორყეული ქარსაცავი ზოლები გზა მიეცა მისთვის, რათა თავისი ჯოჯოხეთური ქროლვით მოემსხვრია ამდენი ხნის ნაშენები შეკავების ჯებირები...“

„შეკავების ჯებირები“ — ოჯახური კომპრომისების, დათმობების სახიერი მეტაფორა! მაგრამ, როგორც ბოლოს აღმოჩნდება, ეს მრისხანე, შურისმაძიებლური ენერგეტიკა მხოლოდ შინაგანი ჯანყის დონეზე რჩება. ჩვენ ვერ ვიხილავთ მის ვერბალურ ტრანსფორმაციას, რადგან ქალის ბრაზის ენერგია არ არის სტიქიური, არამედ წამიერი, იმპულსური, მილევადი. შესაბამისად, მოთხრობაში ასახული ღამის დროს წარმოქმნილი შეგრძნებები სიცარიელის ციკლურ, მანკიერ წრეში მოძრაობენ. ქალის ემოციური ენერგია უფრო მთვლემარე ვულკანის განცდას ზადებს. ტექსტის ფინალური ფრაზა, რომლის მიხედვითაც „შურისძიების აღქაჯების მფარველი მთვარე ტბის მთვლემარე და საშიშ წყლებში ბანაობდა“, შესაძლოა ერთი შეხედვით აჩენდეს მისტიკის სისაზარდის (თუ საზარელი მისტიკურობის!) განწყობილებას, მაგრამ, თუ კარგად დავაკვირდებით და გავიხსენებთ წყლის სიმბოლოს ფსიქოანალიტიკურ ინტერპრეტაციას (მოგეხსენებათ, ქვეცნობიერთან ასოცირდება!), აღმოვაჩენთ, რომ ეს უფრო იმ ფანტომური ტკივილების ექოს გამომძახელია, მამასთან დიალოგის გახსენებისას რომ საცნაურდება.

ჭეშმარიტი პროზაიკოსი რომ დეტალეზშიც შეიცნობა — ეს აქსიომაა. კოტე ჯანდიერის მოთხრობის შინაგანი სამყარო („კონკიას ღამე“ მოცულობით ყველაზე პატარა მოთხრობაა მის ნაწარმოებებს შორის, თუმცა საკმაოდ რთული ინტერტექსტუალური ფაქტურა აქვს — ხილული თუ უხილავი პლასტების გათვალისწინებით!) სწორედ დეტალებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებითაც გამოირჩევა,

თუმცა ვიდრე ამ მომენტზე შევჩერდებოდე, ჯერ აღეფსთა, ფშეგიშხა და აცეტუკი გავიხსენოთ. როგორც უკვე ითქვა, ნაწარმოები სწორედ ამ ფრაზით იხსნება, სწორედ ეს ფრაზა განსაზღვრავს და არეგულირებს თხრობის ტონალობას, ტონალურ ვარიაციებს, ატმოსფეროს ხასიათს და ენის ცივ ნათებას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს მთები (რინის ტბასთან ერთად) უბრალო ლანდშაფტური რეკვიზიტის ფუნქციის მატარებლები კი არ არიან, არამედ მუწჯ (და საკმაოდ ქმედით!) პერსონაჟებადაც გვევლინებიან. ქალმა მათ შესახებ პირველად მამისგან გაიგო, როდესაც 1980 წლის 25 სექტემბერს, მწვანედ მოლივლივე ტბას გასცქეროდნენ რესტორნის ვეებერთელა ფანჯრიდან:

გუგა მგელაძე

ფანტომური ტკივილის ექო

„ყველაზე თვალისმომჭრელი აქ ტბაა, — ამბობდა მამა, — მაგრამ რომ არ იყოს ეს მთები, ეს აღებსთა, ფშეგიშხა და აცეტუკი, არც ეს პატარძალი იარსებებდა. ეს მთები აჩერებენ ღრუბლებს, თავის კალთებზე ატოვებინებენ ტენს, სათავეს აძლევენ წყაროებს, მათ დინებას მიმართულებას უწესებენ, მერე წინ ელობებიან, აგუბებენ და თვითონვე უგებენ სარეცელს ტბას...“ „მიმართულების მიმცემი“, მცველი მთები მამის ძალაუფლებას განასახიერებენ. ერთგვარ მორალურ ფილტრს, რის მიხედვითაც მან საკუთარ შვილს „ნათელი“ ცხოვრების სასათბურე პირობები შეუქმნა. ეს ყოველივე, ცხადია, მზრუნველობითაა ნაკარნახევი და არა კონტროლის სურვილით:

„მე მინდოდა, რომ გარშემო ყოველთვის კარგი წიგნები, ნახატები და მუსიკა გქონოდა. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მთელი ეს პოეტები, ოპერის მომღერლები და მხატვრები, რომლებსაც დღემდე ვაჭმევ, ვაცმევ და ზოგჯერ ფულსაც ვუტვინი ჯიბეში, დაბალი რასის წარმომადგენლად, უფრო სწორად, მეწველ ძროხად მთვლიან...“ — ისმენს ქალიშვილი.

მამა გავლენიანი ტექნოკრატია არამხოლოდ თავის სამშენებლო სამმართველოში, არამედ, სხვადასხვა ელიტელს (მათ შორის, სახელგნებო!) წრეებში. ისინი სწორედ მისი ფულით ფინანსდებიან. ენებებიან, ემლიქვნელებიან. ქალი კი გვიან, ძალიან გვიან გააცნობიერებს მათი ინტელექტუალური დისკუსიების მთელ სიყალბეს, პრანჭიაობას, გავლენის ცენტრთან სიახლოვის დაუოკებელ წყურვილს და სწრაფვას, რადგან მისი ქმარი, პროფესიით ხელოვნებათმცოდნე, სწორედ ამ საზოგადოების „ღირსეული“ წარმომადგენელი აღმოჩნდება — პლასტმასის კაცი, ფულის რელიგიის მსახური და ქრონიკული უსიყვარულობით დაავადებული სნობი.

სხვათა შორის, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ „კონკიას ღამე“ ინტერტექსტუალური მოთხრობაა და შექსპირის „ლირთან“ ავლენს არაერთ, პირდაპირ თუ საკმაოდ დაშიფრულ, პარალელს. ქარიშხლის მოტივი ან ცოლის მიერ მამსაზრდის (წარსულში) და ქმართან (ანმეოში) დიალოგისას გამოყენებული სიტყვა „პილიკოკიც“ ამის დასტურია (ვისაც „ლირი“ წაუკითხავს კარგად ემახსოვრება ვინ და რა სიტუაციაში წარმოთქვამს მას).

ზემოთ დეტალის მნიშვნელობა ვახსენე და შეუძლებელია, არ გამოვყოთ ერთი მომენტი, რომელიც, ვფიქრობ, „კონკიას ღამის“ იდეის და სათქმელის სახიერ სიმბოლოდაც შეგვიძლია, გავიაზროთ.

ქმრის მოლოდინისგან აწრიალებული ცოლი ტელევიზორს რთავს და ფანჯარაში იცქირება:

„ყველგან ჩაექრთ შუქები, მხოლოდ მოპირდაპირე სახლის ერთ სარკმელში დაინახა სინათლე და განათებული ოთხკუთხედის ფონზე აშკარად გამოკვეთილი ქალის შუქი სილუეტი წყვდიადის სარკეში

არეკლილი მისივე ორეულივით. იქაც უცდიდნენ ვილაცას.“

დააკვირდით ამ მომენტს: „წყვდიადის სარკეში არეკლილი მისივე ორეულივით.“ შესაძლოა, იქ მართლაც მისი სულიერი ტყუპისცალი ცხოვრობს, მასავით დალდასმული, ენერგიაამოჭმული და მონოტონური დღეებისგან გამოფიტული ქალი. ლოდინი ტანჯვის ფორმაა, ხოლო თავად იმდენად ინერტულია, იმდენად უსუსური, რომ წლების მანძილზე დაგუბებული ბრაზის ლავაც კი ამონთხევამდე გრილდება.

1980 წლის 25 სექტემბერს მამასთან გამართული დიალოგი, შეიძლება ითქვას, ერთადერთი მოქმედი „ნივთმტკიცებაა“ ანმეოში არსებული კრიზისის გასაანალიზებლად, რადგან იყო მათ საუბარში გაფრთხილება, შიში, ავის მოლოდინი, და დაღლილი მამის მარტოობა. სევდაც იყო. ქალიშვილის ზრდისას რაღაც მთავარი და არსებითი გამოჩრა, გამოეპარა, ამ დანაკარგმა კი თავი წლების შემდეგ, ყალბ კაცზე დაქორწინების შედეგად იჩინა, სიცარიელის აკვარიუმში.

ამ მოთხრობის გადაკითხვისას კიდევ ერთხელ, უკვე მერამდენედ ვგრძნობ უცნაური სიმწარის შეგრძნებას. სხვების არ ვიცი და კითხვის პროცესში გარკვეულ შეგრძნებებს თუ ემოციებს ჩემთვის გემოსთან ერთად ფერიც კი აქვთ ხოლმე. ასე ვხედავ. ასე აღვიქვამ. ასე აღიბეჭდება ჩემს მეხსიერებაში. „კონკიას ღამის“ ტრაგიკულ მელანქოლიას და სიმარტოვეს მიტოვებულ, დასანგრევად განწირულ სახლში დარჩენილ უფეხო თოჯინას შევადარებდი, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენია ფანტომური ტკივილის ექო.

კოტე ჯანდიერის მოთხრობების წაკითხვის შემდეგ ჩემმა მეგობარმა მითხრა: იცი, რა მგონია, წინცოები, საბოლოო ჯამში, ასეთ კონკიებად იქცევიან ხოლმე. საინტერესო მოსაზრებად მეჩვენა: „დაპატიჟება კინოში“ ხომ ტრაგიკულად ღსრულებდა. წინცო ავარიამი ილუპება. რომ ეცოცხლა, ალბათ, ისიც რიგითი კონკიას ბედს გაიზიარებდა.

P.S.

„პროზის წერის პროცესი ჩემთვის ის ხანმოკლე სიამოვნებაა, რომლის უფლება-საც პერიოდულად მაძლევს ფიზიკური არსებობისთვის ბრძოლისა და ახლობლებზე ზრუნვის დაუსრულებელი ეპოპეა, პერიოდული დეპრესიები და სუფრის რიტუალები“ — კოტე ჯანდიერის ეს ფრაზა გასაოცოძის მიერ შედგენილ კრებულში „მარილი ქვეყნისა“ ამოვიკითხე. იგი მწერლის მონატრებული ხმის დიდი დაბრუნებაა სალიტერატურო სივრცეში. პუბლიცისტური წერილების, ესეისტიკის, დიალოგებისა და დღიურების საკმაოდ ტევადი (აზრობრივთან ერთად, კომპოზიციის დისცპლინური შეგრძნებით აგებული) წიგნი მისი, როგორც გემოვნებიანი ლიტერატორის და ფხიზელი ანალიტიკოსის მსოფლალქმის, ფასეულობათა „კოდების“ ამსახველი სივრცეა.

პრაქტიკულად, საკუთარ მოთხრობებზე, პირველად იმპულსებზე, სამწერლო ლაბორატორიულ „ჩვევებსა“ თუ წერის მაგიაზე: ტექსტის კომპოზიციაზე, ენის ფაქტურაზე საუბრობს ძალიან ცოტას. თითქმის არაფერს, რადგან, როგორც ჩანს, მისთვის წერის რიტუალურობის განცდა, მთავარი და არსებითია, გაუთქმელი, მოუხელთებელი. მთავარი ისიცაა, რომ მისი ტკივილები ისედაც დაფლეთილი და სისხლშემხმარი მარლებივით ფრიალებენ მოთხრობიდან მოთხრობაში.

საკუთარ პროზასა და სამწერლო გამოცდილებაზე ვერა, მაგრამ სხვების შემოქმედებისადმი მიძღვნილ ესეებს უხვად იპოვით: ნუგზარ შატაიძეზე, პეტრე ოცხელზე, რეზო გაბრიაძეზე...

ვნახოთ, როგორ ახასიათებს „ენის მუდმივი ბინადარის“, ნუგზარ შატაიძის „პურის მოთხრობას“: „ეს არის ენობრივი ჯადოსნობით მხატვრულ რეალობად გადაქცეული ეთნოგრაფიული ნაშრომი, რომელმაც ქართული ენის სტიქიაში მარადიული სასუფეველი გაუჩინა უძველეს სამიწათმოქმედო ცივილიზაციას, იმ დაკარგულ სულიერ სამყაროს და უფაქიზეს ყოფით კულტურას, რომლის გარეშეც ჩვენთვის სამშობლოს განცდა უსრული და ხარვეზიანი იქნებოდა.“

ტევადი ლაკონიზმი — აი, კოტე ჯანდიერის ახალი კრებულის თვისება, მისი, ასე ვთქვათ, აზრობრივ-ემოციური კარკასი...

*„მშვენიერი საღამოა,
სიყვარულით სავსე
დედა, და და მე ერთად ვართ
ბედნიერად ასე.“*

ესმა ონიანი

სწირად მიიქრია ამ ზამბახისფერ სამებაზე — ესმა ონიანი დასთან და დედასთან ერთად. ამ სამების ფრესკებიც მოთვალეირებია — ესმას ნახატები „დედა შალით“, „დედა ქარგავს ანუ ჩემი და ნიგნი“, „დედა კრეპდეშინის კაბაში“ და ასე შემდეგ... ყველა მათგანზე საოცრად ნატიფი და იდუმალი სამყაროა, მსუყე მენამულ-ვარდისფერსა და გამთენიისფერში შემღვრეული სამყარო, უფრო კი სამოთხე — ამ სიტყვის ყველაზე ადამიანური, წრფელი და ბავშვური გაგებით. დედის ხატება ღვთისმშობლის სილბოხსა და სიფაქიზესაც იტევს და მითოსურ-ფოლკლორულ იერსაც — ადგილის დედის მკაფიო და ცეცხლოვანი მზერის ნაპერწკლებით...

ამ სამების დედამიწური განზომილება პირველად ესმა ონიანმა დაარღვია — 1999 წელს, უმნიშვნელოვანესი მხატვარი და პოეტი გარდაიცვალა. რამდენიმე წლის შემდეგ მისი არაჩვეულებრივი დედაც — ეკატერინე აბაშიძე — იმიერ სამყაროში გადასახლდა. მარტო დარჩა ესმას ერთადერთი და — ირინე ონიანი. მარტო, მაგრამ დიდი მისიით, რომლის აღსრულებაც საკუთარ თავს უპირველეს პასუხისმგებლობად დააკისრა — ეზრუნა და ეპატრონა ესმა ონიანის შემოქმედებისათვის.

სულ ცოტა ხნის წინ, დეკემბრის მიწურულს, ირინე ონიანიც გარდაიცვალა. ეს ამბავი რომ გავიგე, დიდ სევდასთან ერთად, უცნაური განცდითაც განვიმსჯეალე — ის ზამბახისფერი სამება წარმოვიდგინე, მარადისობის თვალწინვდენელ ნათელში აღმდგარი და გამთლიანებული; წარმოვიდგინე, როგორ შეხვდებოდნენ ერთმანეთს დედა და ორი ქალიშვილი, როგორ შეკრავდა სამყაროს შემოქმედი — ყველაზე დიდი მხატვარი — ამ სამების ხელახალ კომპოზიციას, როგორი მაღლითა და სიკეთით გადმოშუქდებოდა ეს ხატება ჩვენს თავს, ჩამოგვაფრქვევდა სულისშემძვრელ ღიმოლს სიყვარულისას, ჭეშმარიტი სიყვარულისას...

რადგან, ყველაფერი, რაც მათ უკავშირდება, სწორედ ჭეშმარიტი სიყვარულის სახელით აღესრულებოდა ამ სამყაროში.

იშვიათად შემხვედრია საკუთარი ქვეყნის ისეთი უანგარო და პირუთენელი პატრიოტი, როგორიც ქალბატონი ირინე იყო. სამშობლოს მიმართ მსახურების წყურვილით, პიროვნული თუ სამოქალაქო მრწამსით, იმ წინაპრებს ჰგავდა, ვისაც ხშირად დავიმონმებთ ხოლმე ნამდვილი მამულიშვილობის მაგალითებად — მე-19 საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გმირებს, დიდ ადამიანებს, ვისთვისაც „მე“ - ზე მთავარი „ჩვენ“ იყო და ვინც საკუთარი დროის ათვისას საქვეყნო დროიდან იწყებდა; ხშირად უთქვამს ქალბატონ ირინეს, ილია ჭავჭავაძე ისე მიყვარს, როგორც მშობლიური ბაბუა, ისე ახლოს ვგრძნობ, თითქოს ჩემი პირადი ნათესავი იყოსო. არც არასდროს გამკვირვებია, მისი ცხოვრების და მუშაკობის შემხედველს, მეც ეს შთაბეჭდილება მიჩნდებოდა — დიდი სული იძვროდა ონიანების ოჯახში, ღვთაებრივი, ქართული სული.

ირინე ონიანი ამ სულის მატარებელი იყო და ძალიან გამიმართლა, რომ ვიცნობდი მას. მქონდა ურთიერთობის პატივი...

*„ჯერ სინათლეა,
ჩუმი ქუჩით მოვყავართ დედას,
დაგვბრუნის სუნი მოყვითალო,
ვარდისფრად მფრქვევი
ტკბილი კოკრებით...“*

აღმაშენებლის გამზირზე, მეტრო მარჯანიშვილის გასწვრივ, ერთი სადარბაზოს კედელს მარმარილოს აბრა ამშვენებს — ამ სახლში ცხოვრობდა მხატვარი და პოეტი ესმა ონიანი... ვინც ამ წარწერას სადარბაზოში შეჰყოლია და მცხუთე სართულზე, ესმა ონიანის სახლში, აღმოჩენილა, ალბათ არც არასოდეს დაავინყდება ის რძისფერი სინათლე და სიმყუდროვე, რომელიც ამ სახლში იდგა, მისი ერთადერთი მასპინძლის — ირინე ონიანის რუდუნებით და მზრუნველობით. ესმას სახელოსნოდ მოწყობილ სხვენშიც ვყოფილვარ ჯერ კიდევ მაშინ,

როცა იქ დიდი შემოქმედის ხსოვნის საღამოები იმართებოდა. მომწუსხველი იყო ესმას ნახატებს შორის ყოფნა, ამ ტილოების გამოსხივება, საღებავშემხმარი ფუნჯების, ფანქრების, ფერჩამკვდარი ქილების და მოლბერტების თვალიერება... ყველაფერში იგრძნობოდა ესმას ნაკვალევი, თითქოს აგერ ახლა შეანმინდა ქსოვილს ფუნჯი და ცოტა ხნით გავიდა...

ირინე ონიანი მთელ ქალაქში ცნობილი ოფთალმოლოგი იყო, მისი პროფესიონალ-

ნინო სადღობელაშვილი

ბანძის მცველი

ირინე ონიანის ხსოვნას

იზმი იმაშიც ჩანდა, რომ თავისი დიდი მისიის მიუხედავად, რაც მისგან წარმოუდგენლად დიდ დროს და შრომას მოითხოვდა, არასოდეს არცერთი პაციენტისთვის არ უღალატია, არცერთი მოსწავლისთვის მისხალიც არ დაუკლია. პირიქით, დღემდე საუბრობენ მისი კოლეგიალური კეთილსინდისიერების და ბრწყინვალე ექიმობის შესახებ.

ბოლო წლებში კი ყოველგვარი სამსახურისგან გაითავისუფლა თავი, რათა ყველაზე დიდი მსახურება ზედმიწევნით აღესრულებინა — ესმა ონიანის შემოქმედება კიდევ უფრო მეტ მკითხველამდე და მაყურებელამდე მიეტანა.

ეს იყო თავდაუზოგავი, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, თავგანწირული ბრძოლა და მუშაკობა, რათა შეელო ყველა კარი, გამომცემლობა იქნებოდა თუ მუზეუმი, სამინისტრო თუ საკრებულო, ყველასთვის ხმა მიეწვდინა, მოსწავლე იქნებოდა თუ სტუდენტი, აკადემიკოსი თუ დეპუტატი, მწერალი თუ მხატვარი — ესმა ონიანს დანახვა და დაფასება სჭირდება!..

დღეს, როცა ესმა ონიანი ყველამ იცის, თითქოს გაუგებარიც კია, რაში სჭირდებოდა ამ სახელის პოპულარიზაციას ასეთი „ძალდატანება“, თუმცა მნიშვნელოვანია დროისა და კონტექსტის გააზრება — როდის ქმნიდა და რა დამოკიდებულება იყო მის მიმართ; რას ითხოვდა საბჭოთა ეპოქა ხელოვანისგან და რა მიიღო ესმა ონიანისგან; ის რას ითხოვს თანამედროვე პრაგმატული-ციფრული სამყარო ხელოვანისგან და რას ნიშნავს ესმა ონიანის შემოქმედება?!

ესმა ონიანის მხატვრული სამყაროს გააზრება მხოლოდ ეპოქალურ ჭრილში წარმოუდგენელია. ის მარადიული და დიდებულია, ის ნებისმიერ ეპოქაზე მაღლა დგას, ოღონდ კი არ უპირისპირდება მას, არამედ იმდენად თვითმყოფადი და მთლიანია, რომ თავად ეპოქა ვერ იტევს, ვერ სწვდება. არც მისი ტალანტებისთვის თვალის გასწორება ყოფილა ადვილი. იყვნენ ესმა ონიანის გარშემო მისი დამფასებლებიც და თაყვანისმცემლებიც, თუმცა უფრო ბევრი იყვნენ ისეთები, ვისაც არ ესმოდა ან არ (ვერ) ხედავდა, ვისთვისაც უფრო მნიშვნელოვანი მხატვრული კონიუნქტურა იყო. ასე გაჩნდა ამბები იმის შესახებ, რომ ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთები არ ბეჭდავდნენ ესმა ონიანის პოეზიას, გალერეები სხვა მხატვრებს უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ და ასე შემდეგ.

ესმასთვის ეს მეორეხარისხოვანი, წარმავალი ამბავი იყო. თავის უზარმაზარ შემოქმედებით სამყაროში დედოფლად მყოფი, ღვთაებრივი შთაგონებით სავსე და სულიწმინდის მაღლით აღბეჭდილი, მსგავს საკითხებს ცხოვრების უმწეო ჩხვლეტებად მიიჩნევდა მხოლოდ. მაგრამ ეს ასე არ იყო ირინე ონიანისთვის — მისი უპირველესი გულშემატიკერისთვის, რომლის წინაშეც განვლო ძვირფასი დის ცხოვრების ყველა ეპიზოდმა და ალბათ არაერთხელ შეესწრო

ისეთ ფაქტსაც, რამაც ესმას დაცვისა და მასზე ზრუნვის განცდა გაუძძაფრა.

ირინე ონიანი ამ მზრუნველობით იყო მოცულიც, შთაგონებულიც და შეძრულიც. ჩქარობდა, რომ ყველაფერი მოესწრო, შიშობდა, გარდაცვალების შემდეგ ესმას გულშემატიკერები არ გამოლოდნენ. ბავშვივით ხარობდა დის შემოქმედების ყოველი წარმატებით, საყოველთაო აღიარებით. პირადად ეცნობოდა მის მკითხველებს, უამბობდა ესმაზე... მუშაობდა არქივზე, აგრო-



ვებდა მასალებს, გარშემო იკრებდა ესმას ნამდვილ დამფასებლებს და მეგობრებს, რომლებთან ერთადაც, ესმა ონიანის გარდაცვალების შემდეგ, უამრავი რამ გააკეთა!..

როგორ არ ვახსენო ონიანების ოჯახის დიდი მეგობარი, ქალბატონი ირინეს თანამებრძოლი — მხატვარი გოგი წერეთელი, თავადაც ნამდვილი ხელოვანი („გენიალურის“ და „დიდებულის“ ნაცვლად ესმა ყოველთვის ამ სიტყვას იყენებდა — „ნამდვილი“), სავსე ქრისტიანული კეთილშობილებით და პატიოსნებით. მასთან ერთად ორი უზარმაზარი ალბომი გამოსცა ქალბატონმა ირინემ. გოგი წერეთელმა გააფორმა ესმა ონიანის ლიტერატურული კრებულებიც. გიორგი წერეთელი პანდემიის პერიოდში, კოვიდით გარდაიცვალა. ქალბატონი ირინესთვის ეს პირველი დიდი დარტყმა იყო, დიდი გულშემატიკერარი გამოეცალა... მახსოვს მისი მწუხარე ხმა, როცა ბატონ გოგიზე საუბრობდა, მისი ცრემლიანი ხმა და ფიქრი...

რამდენიმე წლის წინ ესმა ონიანის ნახატები ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმში დაბინავდა. ეს ქალბატონი ირინესთვის დიდი შვება და ერთგვარი გამარჯვება იყო — მისი ნატყბა ახდა, ესმას შემოქმედებამ იმ სივრცეში დაიდო ბნია, სადაც მას უამრავი მნახველი ეყოლება. მხატვრობასთან ერთად, ბოლო წლებში, უფრო და უფრო მკაფიოდ გაისმა ესმას პოეზიაც — მსახიობ ნინო კასრაძისა და გამომცემლობა „ინტელექტის“ ერთობლივმა ნაშუქვარმა მთელი საქართველო მოიარა, უამრავმა ახალგაზრდამ შეიტყო ამ დიდებული პოეზიის შესახებ, მოიწუსა და განიმსჭვალა მისით!..

ქალბატონი ირინე ესმას წიგნებსა და ალბომებს უშურველად არიგებდა, ვისთვის აღარ უჩუქებია! რამდენჯერმე შეესწრებოდა — ესტუმრებოდა უცნობი მკითხველი, ესმას თაყვანისმცემელი, გამოუტანდა ქალბატონი ირინე ალბომს, თრთოლივით შემოხსნიდა პარკს, გადაშლიდა მის წინ, კრძალვით და ბოდიშებით ნააწერდა — ამას მე კი არ უნდა ვაკეთებდე, ესმა უნდა აკეთებდესო... მიყვარდა, როცა ამბების მოყვლის გუნებაზე დგებოდა ხოლმე. გვიყვებ-



ბოდა მათ ბავშვობაზე, სვანეთსა და იმერთში გატარებულ ზღაპრულ დღეებზე, ესმას სტუდენტობაზე, მისი მუშაობის რიტუალზე... ოთახში ერთ ადგილს მიგვანიშნებდა ხოლმე — აქ დგებოდა და საათობით ლოცულობდა, ყოველთვის ერთსა და იმავე დროს უნდა აღესრულებინა ეს ლოცვაო. ერთხელ დაუდევრად ზუსტად იმ ფანჯრის წინ გავიარე, სადაც თვალდახუჭული იდგაო. იგრძნო, თვალეები გაახილა, ისეთი წყრომით შემომხედა, რომ გული შემეკუმშა — მიგხვდი, რომ რაღაც ისეთი სხივი გადავუჭერი, რომელიც ზეცასთან აკავშირებდაო...

*„ღვთისმშობლობის თეთრი სტუმრები
სარგვეშის სერზე,*

აბაშიძეთა საჯვარეზე

(ბებიას სიტყვებს ახლა

*ფაიფურის ასდის წელ-გრილი, —
უძღომლობის, კვლავ ვერაფრით*

ამის ვერ ნახვის

პატარა თავბრუ),

ღვთისმშობლის შუქით,

ენკენისთვის მზეში სარგვეში

თბილი კვამლის,

როდინების სურნელით ბოლავს...“

ერთხელ დოკუმენტური ფილმის გადასაღებად ირინე ონიანთან ერთად მოვიარეთ მათი მშობლიური სოფლები ლენტეხსა და ხარაგაულში — სარგვეში და სასაში. ეს დღე სიკვდილამდე მემახსოვრება, თავისი შინაგანი სივრცეებით, დროზე აღმატებული უდროობით, თეთრი დარდითა და ნუგეშით... ერთ დღეში მოვიარეთ ორივე სოფელი, და „დღეც იყო უფრო დიდი წუთი-სოფელზე...“ როგორი ნაპერწკლები ედგა თვალეებში, როცა სასაში (ლენტეხის რაიონში), წინაპრების სახლის ეზოში დადიოდა, ყველა ხეს ეფერებოდა!.. დედულეთში კი სარგვეშის სახლი (ხარაგაულის რაიონი) ესმას ნახატიდან აღიდგინა. გზა აღარ ახსოვდა, კითხვა-კითხვითაც ვერ მივაგნებდით — ყველა კარი გამოკეტილი იყო, ბოქლომებით გადარაზული, ადამიანის სული აღარ ჭაჭანებდა ამ ღვთაებრივად ლამაზ, ჩვილ და ლურჯ-მომწვანო მხარეში...

ესმა ხატავდა და წერდა სარგვეშზე, მისი მხატვრული მესხიერების ნაწილი იყო, ქალბატონმა ირინემაც ამ მესხიერებით იპოვა — ჩამაბრუნა მისი ჭავჭავი მოლილოვიე ქედებს შორის ერთი გამოარჩია — სამი ცაცხვით მონიშნული. ამ ცაცხვების დანახვა ბავშვობიდან გულს გვიფორიაქებდაო, ამბობდა, ზაფხულობით, სოფელს რომ მოვა-დგებოდით, ავტობუსიდან რომ გამოჩნდებოდა, ეს ნიშნავდა, რომ უკვე ახლოს ვიყავითო. დიდ ეზოში კაკალი იდგა, გადაღმა — ძმათა სახლები. მახსოვს, როგორც გადავულე — ეზოს სიღრმეში რომ შედის, შავი კაბით და შინდისფერი თმით, მყარად მიაბიჯებს, თითქოს ძველ სახლში მიეჩქარება, თითქოს იმ სახლში ახლაც გრძელი და ფერადი სუფრბა გამოსული და მხოლოდ მას ელოდებოდა, ყველანი რომ შემოუსხდნენ და დაიწყონ ლალი და კამკამა, იმერული ლხინი...

12 იანვარს ირინე ონიანი 90 წლის გახდებოდა. ვერ შეასრულა ადამიანად ყოფნის 90 წელი, გადავიდა მარადისობაში, სადაც აღარ ითვლება არც დრო და არც ასაკი, სადაც ნათელის მეუფებაა და სიყვარულიც ჰგებებს უკუნისამდე... ბევრი გაიხსენებს ირინე ონიანს, ბევრი იტყვის მისი საარაკო დედამამიშვილობის შესახებ, ქართული კულტურის ისტორიას დარჩება ეს ქალი, როგორც მაგალითი ძვირფასი შემოქმედების მცველისა და გულშემატიკერისა. კიდევ უფრო ამოჩნდება მისი ფარული თუ ხილული სიქველევები, მისი მამულიშვილური მრწამსისა და უღალატო მოქალაქეობის ამბები. სადაც ესმა ონიანს ახსენებენ, იქ ირინეზეც იტყვიან — ადამიანთა სამყაროს ხომ ყოველთვის სჭირდება მოჭირნახულებები, განძის მცველები და რაინდები, ვინც თავისი პერფექციონიზმით და თავდადებით სიკვდილამდე ემსახურება იდეალებს და სხვასაც უზიარებს მათ...

მადლობა ირინე ონიანს ყველაფრისთვის. სამარადისო ნათელი ჰქონდეს მის სულს. შვებად და ნუგეშად ჰქონდეს სააქაოს უწყება — რაც უფრო მეტად გავადრო, ესმა ონიანის შემოქმედება უფრო და უფრო გაბრწყინდება, როგორც მარგალიტი პატიოსანი და როგორც სიყვარული ნამდვილი. ხოლო დიდი წვლილი ამ გაბრწყინებაში ირინე ონიანისა იქნება...

ლევან ბრეგაძე

გემი „არგო“ და გემი „ილიჩი“



ტიციან ტაბიძის ლექსი „ქართლის ცხოვრება“, რომელსაც სათაურის ქვეშ უზის „შესავალი“, პოეტის სიცოცხლეში გამოცემულ კრებულებში არ იძებნება. ის არ არის არც რეპრესირებული ავტორის რეაბილიტაციის შემდეგ გამოსულ პირველ წიგნში — „ლექსები, პოემები, თარგმანი“ („სახელგამი“, 1955). პირველად გამოჩნდა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ 1960 წელს დასტამბულ პოეტის თხზულებათა რჩეულში. ის იქ დაუთარილებელია (ლექსების უმეტესობა ამ „რჩეულში“ დათარილებულია).

ტიციან ტაბიძის თხზულებათა სამტომეულის პირველ ტომში („ლიტერატურა და ხელოვნება“, 1966) „ქართლის ცხოვრება“ 1933 წლით არის დათარილებული, ისევე, როგორც 1985 წელს გამოცემულ კრებულში („ლექსები, პოემები, პროზა, წერილები“; გამომცემლობა „მერანი“).

გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის 2015 წლის გამოცემაში ლექსის დაწერის თარიღად 1926 წლის 24 აგვისტოა აღნიშნული და იქვე დაწერის ადგილიც არის მითითებული: სოჭი-გაგრა, როგორც ეს ხელნაწერებშია (გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში დაცულია ამ ლექსის სამი სრული და ერთი თავნაკლული ავტოგრაფი, რომლებიც მცირეოდენ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამ კრებულის პუბლიკაციას საფუძველად დასდებია N29244-7,8 ხელნაწერი, მომწვანო ფერის მელნით შესრულებული).

როგორც ჩანს, ლექსი პრესაში არ გამოქვეყნებულა და მისი პირველი პუბლიკაცია, დიდი ალბათობით, ზემოთ დასახელებულ 1960 წლის გამოცემაში განხორციელებულა.

ამ ავსტროფიანი ლექსის ერთი (მესამე სტროფი) ასე ჟღერს:

*„გემი „ილიჩი“ დადგა სოჭაში,
რითი არ არის ახალი არგო.
მოგონებების ვიხრწობი ჭაში,
მინდა ამ გრძნობას ლექსი მოვარგო“.*

გემი „არგო“, რომლითაც არგონავტები მოვიდნენ კოლხეთში და ვერაგული გამცემლობის (ღალატის) წყალობით ნაგვართვეს ოქროს ვერძი, უარყოფითი ემოციების აღმძვრელია ქართველის გულში. ხოლო სოჭში შემოსული გემის, სახელად „ილიჩის“, მასთან შედარება, მეტიც — გაიგივება, აშკარად ანტისაბჭოურ ელფერს ანიჭებს ციტირებულ სტროფს.

ამ ლექსის ზოგიერთი სხვა სტრიქონიც ხელს უწყობს ხსენებული განწყობის წარმოქმნას:

*„ნაღველმა გული რომ გადაღვსა —
ჩემო სამშობლოვ, შენ მომაგონდი“.*

*„და გადავწყვიტე ასე უეცრად
დავწერო შენი სისხლის პოემა“.*

*„რაც უნდა ენა გადამირაზონ,
მე ვიტყვი ჩვენი გზების დაბურდვას“.*

„დაბურდვას“ ანუ არევ-დარევას, ანენ-დაწნევას, როგორც ამას ქველ-ი განმარტავს (მუზეუმის გამოცემის გარდა ყველა სხვა გამოცემაში არის „დაბურდვას“, რაც ან კორექტურის ან დედნის არასწორად ამოკითხვის შედეგია — ყველა ხელნაწერში იკითხება „დაბურდვას“).

„ახალი არგო“ — ამ სინტაგმას სხვა ლექსებშიც იყენებს ტიციანი. ვნახოთ, რა კონოტაცია ახლავს ამ სიტყვებს იქ.

იმავე წლით დათარილებულ ლექსში „ევქსინის პონტი“ (გაგრა. 1926) ასეთი სტრიქონებია:

*„რაც უნდა გითხრა — იქნება სიტყვა,
გამოუთქმელი მძირავს მეწყერი,
ძველი მითოსის ტალღები მირტყამს
და ახალ არგოსს,*

ორფეოსს, ემღერი“.

ამ სტროფის ნაბეჭდი ვერსია („რჩეული ლექსები“, 1934, გვ. 117) ლექსიკურად, ორთოგრაფიულად და პუნქტუაციით განსხვავდება ლიტერატურის მუზეუმის გამო-

ცემაში წარმოდგენილი ტექსტისაგან (მისი სათაურია „და ნაზი, როგორც ევქსინის პონტი“: ხელნაწერი N20850 - 3):

*„ძველ ქარიშხალის ტალღები მირტყამს
და ახალ არგოსს*

ორფეოსს ემღერი“. (გვ. 113).

ორივე ვერსია მეტად ბუნდოვანია, ამიტომ ძნელია არამართო სინტაგმა „ახალი არგოს“ კონოტაციაზე, არამედ მთელი სტრიქონის („და ახალ არგოსს, ორფეოსს, ემღერი“) აზრობრივ შინაარსზე საუბარიც.

ამიტომ ოთხი წლით ადრე (1922, 20 სექტ.) დათარილებულ ლექსს „ორპირის ოქროპირს“ მივაკითხოთ, სადაც აგრეთვე არის სინტაგმა „ახალი არგო“:

*„კიდევ დაშრება ბევრი ზღვა,
ბევრი მდინარე,
ჩვენ ოქროს ნაპირს მოადგება
ახალი არგო“.*

*ყველამ ბევრი სვა,
ბევრი სჭამა (ღმერთმა შეარგოს),
ყველა დაარტყამს თავზე უროს,
თუკი ნახა ხალხი მძინარე“.* (მუზეუმის გამოცემა, გვ. 85; შდრ. 1960 წლის გამოცემა, გვ. 170).

აქ „ახალი არგო“ ძველივით სამტროდ მოსულ ძალას უნდა ნიშნავდეს. ანუ: კვლავაც ახალ უბედურებებს უნდა ველოდოთ მომხდურთაგანო.

1937 წლით დათარილებულ ლექსში, რომლის სათაურია „ორპირელი კომკავშირელი კრემლში“, არგონავტები მეკობრეებად არიან მოხსენიებულნი:

*„ასე ახდება ცხადად სიზმარიც
და არგონავტთა მეკობრის აფრებს
განახლებული კოლხეთის მხარე
წინ დაახვედრებს კავკასის ალპებს“.* (1960 წლის გამოცემა, გვ. 31; შდრ. მუზეუმის გამოცემა, გვ. 227).

აქაც არგონავტები უარყოფით კონტექსტში არიან ნახსენებნი.

დავუბრუნდეთ ფრაზას ლექსიდან „ქართლის ცხოვრება“ — „გემი „ილიჩი“ დადგა სოჭაში, რითი არ არის ახალი არგო“. აშკარაა, რომ სოჭში შემოსული რუსული გემი, რომელსაც საბჭოთა იმპერიის დამფუძნებლის სახელი ჰქვია, აგრესორთან არის გათანაბრებული, იმ აგრესორთან, ვინც ათასწლეულების წინ „ოქროს ვერძი“ ნაგვართვა. ამ აზრის გაჩენას აძლიერებს სოჭის ხსენებაც, რომელიც ლექსის დაწერიდან რამდენიმე წლის წინ (1918 წლის 7 ივლისიდან 1919 წლის 6 თებერვლამდე)

საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა, ვიდრე მას რსფსრ არ შეიერთებდა. ყოველივე ამის გათვალისწინების შემდეგ სრულიად აშკარაა ამ ორი გემის — „არგოსა“ და „ილიჩის“ მხატვრული შედარების და, არსებითად, მათი გაიგივების ანტისაბჭოთა შინაარსი. ალბათ ამის გამო არ ჩანდა ეს ლექსი დიდხანს პოეტის კრებულებში, ვიდრე შალვა დემეტრაძემ არ შეიტანა იგი 1960 წელს გამოსულ პოეტის „რჩეულში“ (წიგნს აწერია: „წიგნი შეადგინა და დასაბეჭდად გამოსცა შალვა დემეტრაძემ“. გარეშე რედაქტორი ამ წიგნს არ ჰყოლია. წინა, 1955 წლის, გამოცემას კი, რომელიც ასევე შალვა დემეტრაძის შედგენილი იყო, გარეშე რედაქტორიც ჰყავდა — ირაკლი აბაშიძე).

ახლა რაც შეეხება გემს სახელად „ილიჩი“. თავდაპირველად მას ერქვა „იმპერატორი ნიკოლოზ II“. შოტლანდიის ქალაქ დამბარტონში ააგეს 1894 წელს. სწორედ ამ წელს ავიდა ტახტზე ნიკოლოზ II. იმ დროს ხომალდი გემზარიაზე იდგა და მას ახალი იმპერატორის პატივსაცემად მისი სახელი უწოდეს. იმ დროისათვის მძლავრი ხომალდი გახლდათ, 112 მეტრის სიგრძის იყო, ჰქონდა 8 მეტრის წყალშიგი, მოძრაობდა 12 კვანძის სიჩქარით.

1917 წელს, როცა ცარიზმი დაემხო, გემს სახელი გამოუცვალეს და „ვეჩე“ დაარქვეს, რაც სლავურში სახალხო კრებას ნიშნავს. მაგრამ ეს სახელი მას დიდხანს არ უტარებია. მალე ის ოდესის პორტში ჩაძირეს რევოლუციონერებმა, ვინაიდან თეთრგვარდიელები მის გატაცებას და იმით საზღვარგარეთ ევაკუაციას აპირებდნენ. შემდეგ კი გემი წყლიდან ამოსწიეს, გაარემონტეს და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის სახელი უწოდეს.

მეორე მსოფლიო ომის წლებში „ილიჩი“ ვლადივოსტოკსა და აშშ-ის ნავსადგურებს შორის მიმოდიოდა. 1944 წლის 17 აპრილს რემონტზე დადგა პორტლენდში (აშშ), რა დროსაც დაკარგა მდგარობა და ჩაიძირა. ქარხნის ადმინისტრაციამ თავისი დანაშაული აღიარა, მაგრამ უარი თქვა გემის აღდგენაზე. კომპენსაციის სახით საბჭოთა კავშირს ორი სხვა გემი გადასცეს, რომელთაც რუსებმა „ურალი“ და „მიხაილ ლომონოსოვი“ დაარქვეს (<https://welder-history-livejournal.com/110408.html>).

ასე სავალალოდ დაასრულა გემმა „ილიჩმა“ არსებობა, თუმცა მრავლისმეტყველი მხატვრული შედარების ნაწილად შემოჩრა ქართულ პოეზიას.



გემი „ილიჩი“ (ყოფილი „იმპერატორი ნიკოლოზ II“, ყოფილი „ვეჩე“)

ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს კულტურისა
და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მხარეალთა სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940



9 772346 794004